

ლიტერატურული გაზეთი

№6 (118) 28 მარტი - 10 აპრილი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



რუსუდან რუხაძე

ფამუქთან შეხვედრა ახლა ინყება

ჯონ სტეინბეკის და ჰაინრიხ ბიოლის შემდეგ ორჰან ფამუქი მესამე ნობელიანტი მწერალია, რომელიც საქართველოს ეწვია. 60 ენაზე ნათარგმნი თურქი ავტორი 18 ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, მთელ მსოფლიოში კი მისი რომანების 11 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. სწორედ მისი რომანების დამსახურებაა უკანასკნელ წლებში საქართველოდან თურქეთში ლიტერატურული ტურიზმის განვითარება. მკითხველი პილიგრიმები სტამბოლში იმისათვის მიემგზავრებიან, რომ საკუთარი თვალთა იხილონ ნიშანთაში და ჩუქურჯუმა, ის უბნები, სადაც ფამუქის პერსონაჟები დაიარებიან და ცხოვრობენ; ჩაიხანებში თურქული ჩაისა და ტკბილეულის დაგემოვნების შემდეგ კი „უმანკოების მუზეუმისკენ“ ფეხით გაუყვანენ ვინრო ქუჩას ფუსუნის კაბის, სიგარეტის ნამწვავების, ლიმონათის ბოთლების, საპნების, ძველი სტამბოლისა და სტამბოლელების შავ-თეთრი ფოტოების დასათვალიერებლად, პერსონაჟების ნივთებით მოყოლილი დიდი სიყვარულის მთელი სიმძაფრით შესაგრძობად. 13 მარტს კი ქართველმა მკითხველმა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ მწერალს თბილისში, რუსთაველის თეატრში უმასპინძლა.

ფამუქს მასპინძელი ქალაქი თოვლიანი, სევდიანი და პოეტური წარმოედგინა. მართალია, თოვლი არ დახვდა, თუმცა წინასწარი განწყობა, რომ თბილისი მელანქოლიური ქალაქია განუმეორებელი ისტორიუ-

ლი შრეებით, მაინც გაუმართლდა. მშობლიური ქალაქისადმი მიძღვნილ ავტობიოგრაფიულ წიგნზე კი ამბობს, რომ მისი ბიოგრაფია და ქალაქის ქრონიკა ერთმანეთში ბუნებრივად გადაიხლართა, რადგან მისი მთელი ცხოვრება და შემოქმედება სწორედ სტამბოლს უკავშირდება. „წიგნის წერისას აღმოვაჩინე — სევდანასთან, ტკივილთან, ეჭვიანობასთან თუ სიყვარულთან დაკავშირებული რამდენი მოგონება გვიგროვდება ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყველაფრის წიგნში ჩატევა წარმოუდგენელია. ავტობიოგრაფიის წერა იმის გახსენება კი არაა, რაც მოხდა, არამედ ნაწილობრივ ამის დაინყება. ტექსტის რედაქტირებისას ამა თუ იმ პასაჟის ამოღება ჩემთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.“ ავტობიოგრაფიულ წიგნში არ შევიდა ის წლები, როდესაც ახალგაზრდა ორჰან ფამუქი პოეზიით იყო გატაცებული, ამას კი წარუმატებლობით ხსნის. „ჩვენ პოეზიის დიდი ტრადიცია გაგვაჩნია, მაგრამ მე ვიყავი ცუდი პოეტი. პოეტს ერი ალიქვამს უფლის კურთხეულად, ღვთაებრივ ადამიანად, რომელსაც მეტაფიზიკური ძალები აწერიან ლექსებს. მე კი მივხვდი, რომ არ ვიყავი იღბლიანი, ღმერთი არ მეხმარებოდა და არ მკარნახობდა. ამიტომაც გადავწყვიტე, თავმდაბლობა გამოემჩინა და რომანების წერა დამეწყა.“

საუბრის ის ნაწილი, რომელიც მხატვრობისა და მწერლობის ურთიერთკავშირს ეხებოდა, მეტ-ნაკლებად ნაცნობი იყო იმ მკითხველებსთვის, ვისაც მისი ესეების კრებული

„გულუბრყვილო და სენტიმენტალური რომანისტი“ აქვს წაკითხული. ორჰან ფამუქი ათზე მეტი უნივერსიტეტის, მათ შორის კოლუმბიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია, სადაც სტუდენტებს სწორედ მხატვრობის და მწერლობის ისტორიულ ურთიერთკავშირზე უკითხავს ლექციებს. „მხატვრობა და მწერლობა მონათესავე დარგებია, მათ ერთი და იგივე გავლენის მოხდენა შეუძლიათ ადამიანებზე. როდესაც ვკითხულობთ წიგნს, სიტყვები და ვიზუალური ხატები თანაბრად ზემოქმედებენ ჩვენს წარმოსახვაზე. სწორედ მხატვრობის წყალობით გავხდით ვიზუალური მწერალი, ჩემი პროზა ილუსტრაციაა. ზოგი მწერალი სიტყვებით ზემოქმედებს მკითხველზე, ზოგიც ხატებით. მაგალითად, დოსტოვესკი ვერბალური მწერალია, ტოლსტოი და პრუსტი კი — ვიზუალური.“ მიუხედავად იმისა, რომ მხატვრობას და არქიტექტურას მომავალმა მწერალმა ადრეულ ასაკშივე დაანება თავი, აღნიშნავს, რომ ხატვის დროს თავს უფრო ბედნიერად გრძობს, მაგრამ ნაკლებად კრეატიულია, მწერლობის დროს პირიქით, არც თუ ისე ბედნიერია, მაგრამ გაცილებით შემოქმედებითი.

პერსონაჟებად, ძირითადად, მისივე ოჯახის წევრები და მეგობრები გამოჰყავს, მაგალითად, „მდუმარე სახლში“ პირდაპირ გადაიტანა საკუთარი ბებიის და მისი მზარეულის ურთიერთობა. „ჩემმა ბებებმა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან, ქმრების გარდაცვალების შემდეგ მარტოობაში 25-30 წელი იცხოვრეს. ნაწილობრივ ეს ავსახე რომანში. „მე მქვია ნითელი“ კი საერთოდ ჩემი ოჯახის ქრონიკაა. გასაოცარია, რომ დედამ იქვე ამომიციხო, თუმცა ყველაზე დიდი კომპლიმენტი მისგან სწორედ ამ წიგნის გამო მივიღე.“ ფამუქმა იმ ერთადერთ გამოუქვეყნებულ რომანზეც ისაუბრა, რომელიც 1978-80 წლებში დაწერა. „ეს 300 გვერდიანი პოლიტიკური რომანია, მაგრამ არა პროპაგანდისტული, უფრო ნოსტალგიური. მასში ასახულია ჩემი მემარცხენე, ანარქისტი მეგობრების მსჯელობები პოლიტიკურ საკითხებზე. სწორედ მათი თხოვნით აღარ გამოვაქვეყნე ეს წიგ-

ნი. ახლა მინდა დავასრულო, შესავალსაც დავურთავ და განვმარტავ, რომელია ადრინდელი და ახლანდელი თავები. წლების განმავლობაში განწყობები იცვლება, ახლა ჩემს მეგობრებსაც სხვაგვარად აღვიქვამ.“

თურქი მკითხველების ფავორიტი „შავი წიგნი“ ყოფილა. თურმე, იმდენად უყვართ და მოსწონთ, რომ სამშობლოში ხშირად ეუბნებიან კიდევ ავტორს, ამაზე უკეთესს ველ-არაფერს შექმნი და რატომღა აგრძელებ წერასო. ფამუქი კი მუშაობას განაგრძობს და ცდილობს, საკუთარ რომანებში მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ შეკითხვებს გასცეს პასუხი, მაგალითად, რა ემართება ადამიანს, როდესაც იგი შეყვარებულია. ფამუქისთვის უცნობია შემოქმედებითი კრიზისი. სამოქალაქო ინჟინრების შთამომავალს ყველაფერი წინასწარ აქვს განსაზღვრული და დაგეგმილი, მისთვის მწერლობა მკაცრად ორგანიზებული შრომაა. „წინასწარ საფუძვლიანად ვემზადები, სამუშაო გეგმა მაქვს ჩამოყალიბებული. თუ სადმე შევეფერხდი, სხვა თავის წერას ვიწყებ. მუშაობისთვის მჭირდება ოთახი და მეტნაკლები სიმშვიდე. კალამი სულ თან მაქვს, ვწერ ხელით და მუშაობის დროს არ ვეკარები კომპიუტერს და ინტერნეტს. დანარჩენი წარმოსახვის ამბავია.“

რაც შეეხება „თოვლს“, რომანის მოქმედება ყარსში ხდება, რომელიც ფამუქს თბილისს აგონებს. „ამბავი უკვე მქონდა, უბრალოდ ადგილზე მინდოდა, გავცნობოდი იქაურ ამბებს და ერთ-ერთი გაზეთისთვის რეპორტაჟის მოსამზადებლად ყარსში გავემგზავრე. არაერთი საინტერესო ინტერვიუ ჩავწერე, იქაურები თამამად და გულახდილად მიყვებოდნენ მათი ქალაქის პრობლემებზე, მკვლევრობებზე, პროსტიტუციაზე, კორუფციაზე ხელისუფლებაში. ბევრი საშინელი ამბავი მოვისმინე. გამომგზავრების წინ კი გამაფრთხილეს, დაწერე ყველაფერი რაც გაიმბეთ, ოღონდ მხოლოდ კარგი ამბები ჩვენი ქალაქის შესახებ...“ „თოვლს“ კრიტიკა მოჰყვა თურქეთში, მეც არაერთი პრობლემა შემხვდა ამ რომანის გამო.“

IX



„აპა, დადუმდები...“

სოსო პაიჭაძე, გიორგი ბაქანიძე, ჯემალ ქარჩხაძე... ვერ ვიხსენებ მათი გარდაცვალების ქრონოლოგიას – თითქოს ერთ დღეს დაიხობნენ, ერთ დღე „კატასტროფაში“ მოყვნენ. ეს „კატასტროფა“ 90-იან წლებში მოხდა... ყოველივე აირ-დაირია, გულზე სისხლის მდინარემ გადაგვიარა... ცა ძირს ჩამოვარდა, საყრდენი მინა დავეკარგეთ... აქ, ამ ქალაქში დაასაფლავეს სამივე; მე აქ ვიყავი და გასვენებას ვერ დავესწარი...

...ახლა დავეფიქრებო ხოლმე – ნეტავ, ბოლოს როდის ვნახე-მეთქი ისინი?

სოსო პურის რიგში ვნახე. საშინელება ტრიალებდა. მაშინ პირველად აღვიქვი – რას ნიშნავს, როცა ადამიანი ცხოველური ინსტიქტის ამარა რჩება... იქ შემხვდა – ძლივს იდგა ფეხზე ავადობისაგან განადგურებული. მე პურის საცხობში ნაცნობი მყავდა – ოთხი პური ვიმოვე, ის პურები გავიყავით, დავემშვიდებე და ნამოვედი... რაღაცას ვლაპარაკობდით, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ მახსოვს იმ საუბრისა.

გიორგი ბაქანიძე ბოლოს დადიანის ქუჩაზე ვნახე. თქვენი წვიმა იყო და უცებ მოვკარი თვალი – ჩემს წინ ასე, ხუთიოდე მეტრით წინ მიმავალი ხმელ-ხმელი კაცი უცებ დაიღუნა, ძირს დაგდებული მკვდარი ჩიტი აიღო და იქვე, ფანჯრის რაფაზე შემოდო. გიორგი ბაქანიძე იყო. მშრალ სადარბაზოში მივდექით. იმ ხანებში ნაკვირვალად ჩერქეზი მწერლის მიშა ლოხვიცკის (აჯუკ გირეის) მოთხრობა „მეხ-ვატეხა“, რომელიც ბაქანიძემ თარგმნა. ვუთხარი – დედანიც მაგარია და თარგმანიც მეთქი... სხვა რა ვთქვით – არ მახსოვს...

ჯემალ ქარჩხაძე ბოლოს პოეტ თემურ აბულაძის გასვენებაში ვნახე. მძინვარებდა რუსებისაგან და ნაძირალა ქართველებისგან თავს მოხვეული საზიზღარი ომი, რომელსაც „სამოქალაქო ომი“ დაარქვეს ასევე ნაძირალა პოლიტიკოსებმა. ჯემალს ალარ ჰგავდა – ისე იყო დედაიული, შემკრთალი და გაოგნებული... თითქოს საუბარი დავაპირეთ, მაგრამ თქმით მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს – სიტყვა აღარ ჭრიდა, სიტყვებს დაკარგოდა თავისი ფუნქცია. „აპა, დადუმდები და ვერ შეძლებ ლაპარაკს...“ (ლუკას სახარება).

საკუთარ თავთან პირისპირ

„ორმოცდაათი წლის ასაკში თქვენ სწავლობთ საკუთარ თავთან ლაპარაკს“ – უთქვამს ცნობილ ფრანგ მუსიკოსსა და პოეტს მორის შვეალიეს.

არ ვიცი, მეჩვენება თუ მართლაც ასეა – შევალე როგორღაც ადვილად საუბრობს იმ უმძიმეს შეხვედრაზე, რასაც საკუთარ თავთან შეხვედრა და დაპირისპირება ჰქვია... როცა შენივე თავი გექცევა ღრმად ფეხებში მთარულ გამოძიებლად და დაუნდობელი მარნუხებით გთრგუნავს.

...შენ თითქოს გაქვს, მაგრამ არცა გაქვს თავის გასამართლებელი არგუმენტები. ამ არგუმენტებიდან მთავარი, ალბათ, ისაა, რომ ყველაფერი და ყოველივე ჩემზე არაა დამოკიდებული – მე არ შემიდრია ჩემი თავი გადავაკეთო – უფრო კეთილი ვიყო, ან უფრო პრინციპული და ბოროტებასთან შეურიგებელი; უფრო მიმტვევებელი ვიყო ჩემი თავისა და სხვების მიმართ... ერთი სიტყვით, მე ბედისწერის შვილი ვარ, ბედისწერა კი ჯიუტია – ის არაფერს მითმობს...

ადვილად წერს შევალე – ორმოცდაათი წლის ასაკში საკუთარ თავთან ლაპარაკს ვსწავლობთ, თუმცა მე ვერ ვისწავლე ტკბილი ლაპარაკი საკუთარ თავთან. მე მხოლოდ ვომობ და ყოველდღე ორმოცდაათი ყორანი გადადი-გადმოდის ჩემ სისხლიან მკერდზე...

ლტოლვა ნაქნისკან

შუა საუკუნეების მეცნიერებათა კლასიკური კაცობის (მაგალითად ფრენსის ბეკონის კლასიკური კაცობის) პოეზიად, ანუ „ნარმოსახვად“ მოისახრებოდა, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკალური ხელოვნება და ასე შემდეგ. მოგვიანებით შექმნილ კლასიკური კაცობის კი პოეზიას გამოეყო ხელოვნების სხვა დარგები, ხოლო „პოეზია“ თავის მხრივ, პოეზიად და პროზად გაიყო.

მამუკა წიკლაურის გამოუქვეყნებელი ჩანაწერები

მას შემდეგ, გაყოფილი პოეზიისა და პროზის ურთიერთისკენ მარადიული ლტოლვა „საზიანო ნეკნისკენ“ ლტოლვაა. „პოეზიის სწრაფვა პროზისკენ, მისი მარადიული შიშშილია“ – უთქვამს გურამ ასათიანს.

პოეზიის პროზისკენ სწრაფვის ახალი ტალღა, ალბათ, ვერლიბრს უკავშირდება, თუმცა აშკარაა პროზის პოეზიისკენ სწრაფვის მაგალითებიც (კონსტანტინე გამსახურდია, ჭოლა ლომთათიძე, გრიგოლ რობაქიძე, რეზო ინანიშვილი).

ჯოისი და მისი მითი

ჯოისი და მისი მითი „ულისე“ თითქოს ზღაპრული დევებით არსებობენ ლიტერატურულ სამყაროში – გადადიან ზღაპრიდან ზღაპარში, ბურუსიდან – ბურუსში, ლამიდან – ლამეში...

„ულისე“ ისაა, რაც ლიტერატურაში ვერ ეტყვა და თავის ახალ მითოსს ქმნის. ამოდ ცდილობენ ამ მითის „მოშინაურებას“, ის არც „გარეთაა“ და არც – „შინ“. იგი სადღაც საზღვარზეა გაჩერებული – არც წმინდა ლიტერატურაა და არც – წმინდა მითი.

სხვათა შორის, „ულისეს“ მოშინაურებას შეეცადა ვლადიმერ ნაბოკოვიც. მან მიიჩნია, რომ მეოცე საუკუნის ოთხი მთავარი მწერალია ანდრეი ბელი, ჯოისი, კაფკა და პრუსტი.

ნუ შევრისხავთ ამისთვის ნაბოკოვის. სხვა არა იყოს რა, თავისი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს. თუმცა, ამავე უფლებით, ჩვენი შეხედულებაც უნდა ვთქვათ – თუკი ამ ოთხ მწერალს ოთხი მაღალი შენობის სახით წარმოვიდგენთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ოთხ სახლს შორის ერთი ძალიან ჩაბნელებულია და ეს სახლი ჯოისის ეკუთვნის...

შორსმჭვრეტელი უსინათლო

გადმოცემის მიხედვით, ჰომეროსი ბრმაა და ეს ვერსია, ალბათ, არაა შემთხვევითი – დიდი პოეტის ეს სიბრმავე, ჩემი ფიქრით „უმალღეს მხედველობას“ გულისხმობს – გულის მხედველობას, ფიქრის მხედველობას, სიბნელის მხედველობას...

ჰომეროსის ბრმა თვალი სინათლის ჩანჩქერით ეღვრება წარსულს, სინათლის ჩანჩქერით იჭრება მომავლის წყვედიად.

ჰომეროსის ჩაბნელებული თვალთახვედვა საოცარი ძალით ჩადის მინის ღრმა ფენებში, საოცარი ძალით აპობს ზეცის სიღრმეებს და ცა-ვარსკვლავეთს ზემოდან დაჰურებს.

ჰომეროსი ის შემთხვევა იყო, როცა სხვა შემოქმედებითი სინათლეები ჩაირთო და შემოქმედეს აღარ სჭირდებოდა თვალე... ის ვერ ხედავდა სამყაროს მზეს, მაგრამ მთელი ძალით ჩახჩახებდა ჰომეროსის მზე...



ფოლკნარის თაბით...

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ჰემინგუის თვითმკვლელობის ამბავი რომ შეიტყო, ფოლკნერმა ჩაილაპარაკა: — ჰოო, ვიცოდი, რომ ავად იყო, მაგრამ მანც არ შეიძლება შინ წასვლა ესოდენ მოკლე გზით!..

ცნობილია ამ ორი დიდი მწერლის ცივი ურთიერთობა, თუმცა ეს ურთიერთობა არასოდეს გადაზრდილა მკვეთრ დაპირისპირებაში... როგორც ჩანს, ფოლკნერმა ამ „ჩუმ კამათში“ „საბოლოო სიტყვა“ თქვა... ისარივით გაისისინა ამ ირონიკარეულმა ფრაზამ.

კნუტ ჰამსუნის გამოცანა

„არის რალაცნაირი ტკბობა მორჩილებაში“ – ამბობს კნუტ ჰამსუნი და აღარ განმარტავს, რას გულისხმობს ამ „რალაცნაირში“. ერთი მხრივ, აბსურდულ მსჯელობად აღიქმება დიდი მწერლის სიტყვები – აბა, რა ტკბობა უნდა იყოს მორჩილებაში?!

მეორე მხრივ კი, თუ „კომუნიზმგამოვლილ“ თაობებს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თურმე ამ ჯოჯოხეთური დროის ნახნაგებში მართლაც შეიძლება დავინახოთ ადამიანები, რომლებიც საკუთარი მონობითა და მორჩილებით ტკბებოდნენ.

სხვათა შორის, ამ „აღმოჩენას“ რაიმე შორეული ექსპედიცია და ღრმა არქეოლოგიურ ფენებში ჩაღწევა არ სჭირდება – აგერ, ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც სიამაყითა და სიყვარულით ლაპარაკობენ „ჩვენი დიდი ქვეყნის“ ისტორიულ გამარჯვებებზე და სწორედ იმ ვარ ბელადებზე; ისევ ენატრებათ რუსული სავაჭრო სივრცე და რუსული სიმღერები...


ალბათ, მართლაც არის რალაცნაირი ტკბობა მორჩილებასა და მონობაში...

რასულ ჰამზათოვის ნიბნიდა

60-იანი წლების ბოლოს დაღესტნელმა პოეტმა რასულ ჰამზათოვმა ხალხური სიბრძნის ჩანაწერების ნიგნი „ჩემი დაღესტანი“ გამოსცა, რომელიც, ძირითადად, კავკასიურ ფოლკლორს ეფუძნება. აი, ერთი ჩანაწერი ამ ნიგნიდან: „კრაზანებს მოერიდე, მაგრამ თუ არ მოერიდები და დაგკოდავენ, ნუ გაამტყუნებ — ისინი ხომ თავის ბუდეს იცავენ“.

ეს ნიგნი დიდი ტირაჟით გამოვიდა და გაიყიდა კიდევ მაშინდელ რუსეთში, მაგრამ რად გინდა?! კავკასიიდან რაც უფრო ჩრდილოეთით მიდიხარ, სიბრძნეც უფრო და უფრო ძნელად იკვლევს გზას ბნელ თავებში. აგერ, უკვე საუკუნეხანავარია, რაც ეს ჩრდილოური მოდგმა თავგადაკვლით ებრძვის კავკასიური კრაზანების ბუდეს – იღვრება ადგილობრივთა სისხლი, მაგრამ არც ჩრდილოეთისკენ წაღებულ კუბოებს აქვს სათვალავი...

მარტივია ჩრდილოეთური ლოგიკა –



დაგვნებდით და შეწყდებო ომიო, მაგრამ კრაზანებსაც ხომ აქვთ თავისი ლოგიკა?! ისინი ხომ თავის ბუდეს იცავენ?!

დამნაშავენი გავანადგურო!

ირლანდიური საგების გმირი კუხუ-ლანინი ასე აფრთხილებს და მოუწოდებს თავის ხალხს: დამნაშავენი პატიოსან ადამიანებზე ძლიერნი არიან. ისინი დროულად უნდა გავანადგუროთ, თორემ ჩვენზე გაბატონდებიან და გავანადგურებენ!..

ჩვენ ეს ჭეშმარიტება 1991-1992 წლების მიჯნაზე ვინიშნეთ მთელი სისრულითა და მთელი სიმწვავეთ. იმ ქარიშხლებმა ჩვენს უმალღეს მორალზე და ჩვენს სუსტ ბეჭებზე გადაიარეს; ერთმანეთისკენ გაქანებულ ორ კლდეს შორის – ჩვენს უსაზღვრო მიმტვევებლობასა და მტრის უტიფრობას შორის გავისრისინეთ; ისინი რომ ტყვიას ისროდნენ, ჩვენ — ყვავილები ვესროლოთო – ვამბობდით და გვქონდა იმედი, რომ განათდებოდა ბნელი თავები, მაგრამ – ამაოდ...

თუმცა... ისეთებიც იყვნენ, ვინც მოითხოვდა: გავანადგუროთ, ვიდრე გავანადგურებენო!.. მაგრამ შევშინდით – შეგვამინა იმის განცდამ, რომ უნდა ჩაგვედინა უმძიმესი ცოდვა. ჩვენ ვერ გავბედით, რომ უფლის ნინაშე წარვმდგარიყავით სისხლიანი ხელებით და დავით აღმაშენებლის წმინდა შეუვალობით გვეთქვა: დიახ, დავხოცეთ! ეს გაკეთდა საქართველოსთვის!..

ვახტანგ ჭელიძე

იყო მშვენიერი ბიოგრაფიული რომანის – „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ – ავტორი; იყო შექსპირისა და სხვა ინგლისურენოვან ავტორთა მართლაც რომ დიდებული მთარგმნელი; იყო ახალგაზრდობისათვის შექმნილი ნიგნების მთელი კორპუსის ავტორი („ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ მოთხრობილი ვახტანგ ჭელიძის მიერ)...

იყო ქართული კულტურული და ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში – მისი პუბლიკაციები და პოლემიკური ჩართვები ყოველთვის მისი მაღალი ლიტერატურული გემოვნებისა და პრინციპულობის დასტური იყო.

იყო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი და მისმა „ცისკარმა“ ეპოქა შექმნა იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი და იგი ყველგან ვახტანგ ჭელიძე იყო თავისი მაღალნიჭიერებითა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით.

იყო ძალიან თავმდაბალი, არ მიაჩვია თავი პოპულარობის სიტკბოსა და დიდკაცურ კომფორტს. იგი ღრმა სიბერეშიც თვითირონით შეემკობოდა პიროვნებად დარჩა. არ ვიცი, ნაკითხული ჰქონდა თუ არა დეკარტის ნათქვამი: „პოპულარობა ზღუდავს თავისუფლებას“, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ის არ დაეჩაგვრინა პოპულარობას და სიკვდილის კარამდე სრულიად თავისუფალ ადამიანად, პიროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების ტრფიალად დარჩა.

იზი კი, ახლა რა შუქამდგარი იდგა, კიდევაცმეტი თვალსაჩინოებისათვის რაქელათი გამოტანილ ორ-ორ აგურზედ და, ეჭვებამილი ბეთსაიდელეები რა და-ჟინებით, და მოკლეთათვის როგორ ჩვეუ-ლი გამოჩხვრიკვებით უჭვრიტინებდნენ იმას, დიდად გამომწვარ თიხებზე მდგარს, მათთვის აქამდე მთლად შუქმჩნეველს და, არად ჩასაგდებს და რა შესაცქერს ახლა, მას, მაგრამ აბა რომელიერთი ჩაკირკიტე-ბით ისინი იმას ამოიცნობდნენ და, როდი უნდოდათ ეს სასწაული — რადგან ასეთი უცნობი და აუხსნელი იყო მათთვის ეს, თვალთა ასეთი შუქისცვალება, მისი, და ამაღლებად გარდაქმნები მხოლოდ თავი-ანთათვისისათვის მსურდათა იმათ, სხვებ-ისთვის — არა, და ყოველივე აუხსნელი მიუღებელი იყო მათთვის რადგან ფარისევლები და მნიგნობარები დიდნარ-მატებით (— ბევრნაირია და მოჩვენებითი-ცაა, წარმატება,) ერთსაც საქმეში არწმუ-ნებდნენ მათ თუ ვისგან, ანუ აგერას-მათ-გან უნდა შეეცნოთ ყოველივე — თუნდ რაცგინდ ყალბად ასახსნელი

და, ნელინელ ისე და, თანდისთანობით ჯერ აქა-იქ და მერე კია ალაპარაკდნ-და-აყაყანდნენ იმაზე, რომ, რაზედ კაცოვ და იმაზედ რომ, ესა მზისნილად ქმნილი როგორ ჭაბუკად მოყმე მართლა ის იყო?, ვისაც მხოლოდლა მათხოვარადა, სც-ნობდნენ მთელ-თავიანთი გაულისგარეთით თუ ეგებ ვინმე თვალთმაქცი იყო ვისაც რომ ახლა ეგებდა სულაც პირველად სჭვრეტდ-ნენ და,

როდის იყო რომ ორ და მით-უმეტეს ბევრადმინათ სუ-ერთნაირად რო ეა-ზროვნათ თავისით თორე, სხვას აყ-ოლილებს? — რამდენიც გინდა, ამ-აზრე-ბით რომ რა ხიწვებიან ბანდებით რომ გამოხვეული რა ხორკლებიან ჩარჩოებში თავიანთ ნებით რა სამარცხვინოდ ჩასმულები და ვინცებიც რო თავიანთებ ცრუნიასწარმეტყველებით დიდად მიხ-ვეულ თავსა და გზაზე, ოლონდაც დიდად ფართოზე რომ შემდგარიყენენ მაგრამ აბა რომელი აზროვნება აიმათ ახლად-ახალ მწვირეთი ძაან მორთულ-შეკაზმულ მო-ლიპულ გზაზედ და თანაც დიდად გადა-საჩეხზე დადგომა იყო, იმ აზროვნება-გან-სჯებითა თავის მოტანა და ახლაკი კია თანდისთანობით ერთიმეორის აზრთ გადა-ფარვას უკვე ყვირილით ლამობდნენ და, უცებ კიარა, ეს... — მანამდე კი? — ჯერაც მხოლოდლა გაოგნებულები ჩურჩული-თლაა ბუტბუტებდნენ და მერე კია უფრო თამამად ლაილისა ოლონდაც მძაფრსა სჩადიოდნენ და მერე კი უკვე პირმოხეუ-ლად აჭარტალდნენ ეს ვინები და, მისი აიის ვითომც...

მოდმენი — „ბიძაშვილები და მისთა-ნანი“ და რომელიც რომ იგი ბევრჯერ და ბევრ-გზად ეხილათ, ვითომც, — რაცგინდ საპყარი, შეუხედავი და ეს თუ როგორ, და

ახლა ის თვალებით სუმთლად კუტი კიარა და, ადრე თუ მართლაც რა მთლია-ნურად არარაობა-როგორი და, ახლა მათ ისე ცხადად და რა მკაფიოდ... — მათ ასე სჯობდა!?

და, ვინმე უცხოის, გადამთიელის დიდებულება რამდენჯერ მეტად ერჩიათა ვინემ ამ გლახაკადყოფილ შინაურისა და ახლა კი თანაც, როგორის, ამ აღზევების, არნახულის და მეტიც უფრო, — წარმოუდ-გენელი დანახვა და, რადგან ვითომცა-და ბევრჯერ ეხილათ, იგი, როდესაც-როცა სადმე გზისპირად მიმჯდარი და ლუკმაპურის რა ამოი თხოვნის, მოქენე და უილაჯოდ მაძიებელი: „ლუკმით წყალობა ქებით და გაიღეთ, ჩემთვის, თუნდ ხმელა პური“ო... — წყნარად მიმჯდარიც, თურმე აქ ახლა ამა დღისათვის ძალიან, თურმე ყოფილა და,

თუმც ცოტანი, უცნობი ნმიდად-სუ-ლით ჩამდგარი მანინც „იტყოდეს: ესე არს“,

მაგრამ კი, უმრავლესობა იქ შეკრებილ-თა? —

„იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი მისი არს“

და უცებ რაღაც ძალამ, იგივე მთლად ნმიდამ, მათთვის ჯერაც-ხო სრულადუც-ნობმა, ორი სიტყვითლა გამოხატულმა შეაჩერავათ, რადგანაც ბრძანა:

„თვითონვე თქვას“ო, და,

ხმა იყო უცხო და ჯერ ვერსმენილი, იქვე-იმათში მბრუნვადი თუნდაც და ცისასაც აკი ვერ მიხვდებოდნენ და აი იმ ხმას? ღრუბლით შემოსილს რას გაუგებდ-ნენ მაგრამ მკაფიოდ რადგანაც ითქვა ღრუბლიდან, რომ — „თვითონვე თქვას“ო და,

მან კი, ახალმა, დარცხვენილმა რომ... რადგან ძალიან ეაცნობა და რა უცხოედ ემ-

შობლიურად ხმა რა ნეტარი, ის... მონათე-საო იმ სუნუნელისა და ბედნიერებით მთ-ლად დაბნეულიც იყო, რადგანლა — ნუთუ ისეთი სხვა და გარეშე, ახალთახალი ახლა სხვათათვის ისე ძალიან იყო რომ, როომ

— არ სჯეროდათა მისი ვინაც რო სწორე-დაც მართლად — ის მერე რა რომ ბაგად სულაც თავიდან იყო, თითქოსადა და რა ფუჭსა ბნელში და მაგრამ-მანინც იქ აღიზარდა, იმათეიანთს ბეთსაიდაში, და ამა ერთისა იქამდე მათთვის არარაობის და მანინც როგორღაც მათმიერისა, მის ტლუდ სასანყლეს აღუნიშვნელადაც შეჩვეულები ძალიან ძნელად თუ ირწმუ-ნებდნენ რაიმ-ლირებულს, მისსას, და, შესცქეროდნენ და, თვით იგი კი? ასე ეტყოდა, მათ: „ხოლო იგი იტყოდა: მე ვარ“.

და, ნაუვიდოდა ვინმე იმ ღრუბლისმი-ერ მოწოდებით ამას, ამ ნათქვამს? თუმც რა უბინოდ თქმულს, მაგრამ, ბინის კუთვ-

გურამ დოჩანაშვილი

ბრმადყოფილზე, და...

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ნილი ბინიერება რალათქმუნდა რამდენად მეტად უფრო იცოდნენ ფარისევლებით, მნიგნობარებით და მღვდელთმთავართა და ისეც-მთავართა და მითომცადა დაბ-რძენებულ მოხუცებულთაგან და აი აქ იყო, ახლა, აქ ისე მოხდა რომ ყველა იმა-თით — ზურგ-ვითომცადა-გამაგრე-ბულებმა და ენა-კი ძაან-ასავსავებულებმა რომ, შეიცნესავით რაღაცა ძალა, რომელ-იცა რომ, იჭვის ჭიებით მთლად გამოლრ-ნილი და დახურულია და მანინც სუცოტა ოთხად-და-ოთხმაგურად დაოთხილია, ურწმუნოებით, კიდევ მეტი უსჯულოები-საკენ — რარიგ უგვანი სხაპასუპითის ფიცხ-სწრაფვითა და, —

აყაყანდნენ: „არააესისინცროსუმტვერშიეგლოდა-შუკებმისახეთსგვეხვევრნებოდა!“ — და, აქ კი იმათ დასაყვირათ აი ისიცა დაემატ-ნათ, რო, იცკამ შესძახა: „რაქელგტაავ-გოო აგერ კანხეკტი მოვუტანე ამ ემ ჩვენ-საშვილ და ისე-უბრალო კიარა და, არამედ ჰამაცმომპასიო!“-ო

და სხვები კია, ის მერე რა რომ ძაან ცოტანი? — თავისთვის იდგნენ და მანინც ამბობდნენ ხმადაბალ რიდით:

„ისაა, ის არს“,

და ბევრებმა კი, ჩვევით ნიდაგ ჩასა-ფრებულმა მოყურადეებმა კი, იმათი ხმისა ჩასანყვეტად? მერე და მერე უფრო ჩაიგდეს, ხმაინება:

„ვინცგინდაიყოსეგაგომურშისუს-არეველაბალახებამოსასველო“... — აქ? საფშინველის მოთქმა აკი გვჭირდება რაცგინდანიარ, ყოველს, და, ამის შემდგომ?:

„ესბრუნდევცკაცდამაგისისექელუ-აც ცოლიამდღისთვისმიტოინასამდნე-ნამვითომვილ(ს)მითომაცბრმაიიყოესა-

როემდღენდელმითომაცადასასწაულით ფული, ემოვნათ“ — კვლავაც არაქათგა-მოცლილი საფშინველის გასამრჯელო ანუ სულმოთქმა კვლავაც, აქ, დასჭირდა-თა და, მერე — „დაახლაითოდაფასეს-ათორეისეკივისაგვსმენიამაგისთვისარო-ასეცივიცივადმეტიტანოსამაიციკასამაგრე-ილისკანიდანქონისაკვიგამომწურავ-სლომპასკანფეკტი“... —

და აქა კია, იცკამ, სენხია-იცკას გრა-მატიკებებ-ლინგვისტიკაურის გადმომ-ლებმა? რაც კი შეეძლო იმართლა, იმან, ხაზგასასმელი ენა და თავი:

— ლომპასკანფეკტი კიარა და... — და, გაინაზა, რაც-კი შეეძლო, რა ჩახლერილად ყანგინი, ხმა: — მომპასად ეე... შაქრიყ-ინელი არისა, ესა, — „სს“ებითაც კი გაიმ-დიდრა“ „სს“-ისა-ნაკლული მეტყველები და აქ ცოტათი მიჩუმდნენ თითქოს მაგრამ იქავე უფრო ჩაიდგეს ისა-ხმები-ის, თავთავიანთი და, ისევ თავისას დაადგნენ, ბევრნი:

მომცადეთ“-ზე სწორედ ის ქუდი, ძველთაობისა, შეეჩეხათ თვალთ, და გა-მოსცადეს:

აბა ეგ ქუდი რა ფერისაა, ო... დიდად ნაცნობი შეფერილობის ჩაჩი-რამ იყო, სავაჭროებით გარსშემორტყმულ სალოცავებში დასახურო... და მერე და მერე კი რარიგ სწორედ-ეკლესიებში — მოსახდელი, და ამას კია უფრო აჩნდა ახ-ლაბ-ახალი, ცოცხლივ თვალეები და, იმ თვალთაჩინის სისალისადა დასადგენად გამოსცდიდნენ, მას, ხოლო იმა თავს-აბურავის შეფერილობისა ამოცნობას აბა რა დიდი იმდენი რა უნდოდა-რა, აკი თვალბში იმდენ გრძელნობით რა მყარ-ად ედგა ოლონდ თურმე ეს მკვიდრად და სამუდამოდ კი არა... — ედგა ოლონდ თურ-მე, ეს, მკვიდრად და სამუდამოდ კი არა... — არა, არამედ — ვინ იფიქრებდა და — კიდევაც მეტი ბედნიერებისათვის რა მოს-ალხენად, და რომ გაეგო მერე და მერე თუ რა ყოფილა განუზომელად სამადლობელი და შესაკრთომად მანინც სუ-მუდამ ემასს-ოვრებოდ-ექნებოდა ის სივავლაზე და, კიდევაც უთხრა, მათ:

— ბნელია მაგრამ ისე ძალიან არა, ო, — თქვა ასე და, თუმც ცოტათი კი კიც-შეაცხუნა ურწმუნოები, მაგრამ:

— ეგ რა ადვილებს ვეკითხებით და, აბა ეს ისა?-ო, და, შორიდანვე დაანახეს, მა-გრამ,

ეს ისა — იმან თვალთ ჯერ ვერ იცო-და, და:

— ეგ ვერ ვიცი, ო —

და, გაიხარეს, მათში ბევრებმა: — ისევეც ისევ ბრუციანია როგორც ყოველთვის ეს სახედალი თორემ ამას ის, ამისა მუდამ მხვენელი ამას ესა ვერ დაინ-ახამდა?-ო,

„ამას?“ — უბრალო, ერთისშეხედვით, პური იყო და, ერთიმეორეს მისკენ გად-მოსცეს და აგდებულად პირში აძგერეს და ძალიანაც ენაცნობა რაცგინდ მკრთალ-სუნით — რაოდენ მჭახედ ხმელი პური რადგანაც, იყო — მანინც ნანატრი, მუდამ ჟამს, და, ენაცნობა, —

„ეს, პურია“, ო,

და, არ სცნობდნენ მანინც, მის თვალ-თახელას:

— სუნითლა, იცნო! ძალღის ყნოსვა აქვს მაგ ნესტოებძალღს, ო,

და მიაყარეს:

— აბა ეგა რა ფერისაა, მამიშენის თმა... — აბა რა ვიცი... ისე კი, უშნო მარჯა-ნის ფერს ნაავავსო, ო,

ესამუშათ, ეს, და:

— და ესა, ბიჭო?

— აბა რა ვიცი... — და, ესა, ბიჭო?

— არც ეგ არ ვიცი...,

— ჩვენ კი ის ვიცით რო ყალთაბანდი ხარა შენა და აი, ესა?

ლოყაზე მჩატედ მიეხალა, რტო იყო რალაც, და გაეხარდა:

— ხისაა, არა?

— არა ბიჭო და, ზურმუხტისაა, ო,

...

და, ალაპარაკდა:

— ეგა, მწვანეა, ცა ცისფერია, — შეი-გროვებდა ყურმოკრულ ნათქვამთ, ცას აპყურებდა, — და ღამე კი ჩვენთვის ყვე-ლასათვის დიდად ბნელია და სინათლე კი ბნელში ყოველთვის მანინც ჩანა და... — სად გაეგო ეს მაგრამ თქვა, ასე:


„და ნათელი კი ბნელსა შინა სჩანს და ბნელი იგი მას ვერ ენია“, — და, გაიხარა:

„რადგანაც ვხედავ“... —

ეს? ახლებური სიტყვები იყო... არა, სი-ტყვები თუმც ძველი იყო მაგრამ, — ახ-ლურად გახლდათ დალაგებული და, სხ-ვებთან ერთად ისიც ისმენდა მისითაც კია ნათქვამს რაიმ მსგავსს რალაცებ-სანუკ-ვარებს ოლონდაც ახლა მხოლოდ თავისთვის ხოლო ზოგნი კი, იქ ვერ მყო-ფები, ძალიან სუსხვა უბნელებ-ნაკვეთ-კუთხისანნი ამ იგივე სიტყვით, ასევე მწყო-ბრად ბალაგებულთ უფროდაც მეტის მონ-წნებით მოისმენდნენა რადგან ძალიან დიდად გააჩნდა თუ ვინ იტყოდა, ამას, - დასასწავლს, როგორ,

ხოლო აქ იცკამ-მცირედმა? რა მოჩალ-იჩე საქმიანობით რა უმნიშვნელომ და ჯამაგირ-მხოლოდთავისითლა მომქუჩე-ბელმა და, მასზედაც კი კუქნებთან კითომ-რა შესამჩნევად მნიშვნელოვანმა ვითომ-დაცა დაა, აი ახლა კი ამ ახალშვილით ეგების კიც-ლა ჰანგარიშ-დიდადგასანე-ვა თავისის ჭკუით? თითქოსდა ვედარ მოითმინასავით და ისეთის ხმით რო, დიდად ძალანა, ნამოიძახა?:

— არ დამილალთ ერთილა შვილი, რას ჩააცივდით თქვე მართლაც ბრმებო!,



დათო მალრაძე

ALL'ITALIA

დრო ნაიშალა, არჩია გაცლა და შეაფარა თავი სქოლიოს... და დროს საათის ისრების ნაცვლად ფრთებით აჩვენებს ცაზე თოლია.

დრო ნაიშალა, როგორც სილაზე ტალღის ენისგან ბავშვის ნახატი. ქვაში შეირხა ქალის სინაზე, მთელი სიცოცხლით გადასახადი.

დრო ნაიშალა, დამთავრდა ომი... დამარცხდა დრო და გადარჩა წამი და შვიდ ზეგანზე გამოჩნდა რომი, როგორც ლოცვაში ნათქვამი: — ამინ!

დრო ნაიშალა, ეს მერამდენედ ვთქვი და... დრო-ჟამის საეჭვო ზარი ისე ათრთოლებს ნერვის სადენებს, როგორც გაფენილ თეთრეულს ქარი.

რომაულ ღვინით ვინამე წამი, ვიზა გამიხსნა რომმაც სუფრების და ტრატორიის დამითმო სკამი, ცხოვრებისა და შრომის უფლებით.

ვერ შევარჩერე წამი და შევსვი... ტანინის შაბი სასახლე მომწონს, — მუჭიდან გასხლტა მდინარის თევზი და ხელისგულზე დატოვა ლორწო.

მაგრამ ეს კვალი არის დიადი, რაც ალბათ იყო, რომ მართლა იყო... დატოვა ღამემ ეს განთიადი და მთვარის შუქზე გაედო სტრიქონს.

დრო ნაიშალა, ეს მერამდენედ აღვნიშნავ დროის გაქრობის თარიღს და ეს თარიღიც ნერვის სადენებს ათრთოლებს, როგორც თეთრეულს ქარი.

ერვევი კაცი ტოსკანის ზეცას და ვენეციის ნისლსაც ერვევი, თუ შენს საბედოს ხატავ და ძერწავ და დროს არ კარგავ დროის შერჩევით.

ჩრდილოეთისკენ კენჭებს და ქვიშას ტკეპნის ევროპა დილის ძუნძულით... მანიშნებს „ლაგო“ მეგობრულ ნიშანს, „პესკატორების“ განძის კუნძულით.

— შენ, იტალია! ხელთა გაქვს საშვი, მშვენიერების უკვდავ ფორმულით, — მორბის ქუჩაში ფეხშეველი ბავშვი და ძაფით თითზე მზე აქვს მობმული.

შემოატარებს მოკირწყლულ ქუჩებს მოჭფენენ ფანჯრებს ნათელს მკაფიოს, ღამით, ტუჩმა რომ მიაგნოს ტუჩებს, გაუგზავნიან მაღალ ლამპონს.

ვეზუვის ფერფლში მძევლად ყოფილი, მსხვერპლი ლავის თუ მსხვერპლი ციების, — პომპეის კედელს შერჩა პროფილი ტოგამოსხმული პატრიციების.

— შენ, იტალია! ხელთა გაქვს საშვი, მშვენიერების უკვდავ ფორმულით, — ქუჩაში მორბის ფეხშეველი ბავშვი და ძაფით თითზე მზე აქვს მობმული.

სუნთქვაშეკრული რომ დაცხრეს სტრესი, ჟანგბადის ყლუპს რომ დაუთმოს რიგი, უცბად შავი და ცხელი ესპრესო, დიდ მოედანზე პატარა ჭიქით.

იქვე მოკვდავთა უკვდავი ჩვევა, — ტურისტი წყვილი... ღიმილი კადრში... შენგენის ვიზით ადამ და ევა ფოტოს იღებენ მშობლიურ ბაღში.

ვის როგორ უნდა გააგებო ღვთისგან ეძლევა რა რისი წვდომით. თუმცა არ ახსოვს მარცხი ლეგიონს, აქ, ვერონაში ნააგო ომი:

ტურისტი რიგში თავის ჯერს ელის ბრინჯაოს ქაღალში მხურა განაბეს... და ლაზანიანაჭაში ხელით ჯულიეტას მკერდზე ტოვებს ანაბეჭდს.

და ტოვებს ნიშანს, — დაბრუნდეს უნდა და ამ ნიშნების არის განგაში... მაგალითისთვის: ნასროლი ხურდა, ზურგისშექცევით ტრევის ფანტანში.

და შენ კი პოეტს პიეტას ნიჭი მოგყვება განცდის ჰაი ლეველით... და ცოცხლობს შენში გილხინს თუ გიჭირს, ერთი მეთვეზე გალილველი.

და როგორც მოგვი ბეთლემს არ შორობს, სარეკელობ და ხარ ზარში ენა... ჩიტს ბუდე ელის და მელას სორო, კაცის ძეს შობის ვარსკვლავის სმენა.

მღერის ტაძარში ბავშვების ქორო: — AVE MARIA, GRATIA PLENA...

...ზღვას არ აქვს ხიდი და ზეცას კიბე, კაცმა დააგდო სამართლის ჩვევა და მუხის ლუსკუმს აკლია ჯიბე, მდიდარ-ღარიბის გამოსარჩევად.

— შენ, იტალია! ხელთა გაქვს საშვი, მშვენიერების უკვდავ ფორმულით, — ქუჩაში მორბის ფეხშეველი ბავშვი და თითზე ძაფით მზე აქვს მობმული.

სიცილიაზე სოფლის მაფიის კვალი ქვის კედლებს მოჭყვება აბრად, — ამა და ამ წელს შეწყდა მკაფიო სუნთქვა და წყალზე დავარდა აფრა.

ბოსს შეჰყურებენ როგორც რამ მაღლობს... TV უჩვენებს ახალ სერიას, ბაგე ჩურჩულებს ბეჭედთან ახლოს: — ჰადრინო ვიტო... — დონ, მასერია...

კბილი კბილის ნილ, თვალის ნილ — თვალი, სიცოცხლის გასწვრივ სიტყვა — Sale, და ჩანყობილი ფიცარში ძვალი ცრემლის მძივებით შემოსეული.

...ვესწრები ქორწილს, მეჯვარე ანცობს, ხან შეკრულ წარბით გაჰყურებს ბეჭობს, მოაქვს ანჯღრეულ შამპანის საცობს ორლულიანი ჩახმახის ექო.

და მხედება გლოვა მეგობრის კართან, ქალეზმა მოთქმით ზეცა გაზარეს, შემომჩივიან მარიამ, მართა, რომ სამი დღის წინ მოკლეს ლაზარე.

და გამქრალ დროში თვალნათლივ ვხედავ, რომ წმინდა დრამა ისევე პიესობს და შეხვეული მეგობრის ცხედარს — გამოვედ გარე! — ეტყვის იესო.

— გამოვედ გარე! — სიტყვა ესოდენ მძლავრი გაიგო გვამის ნაშალმაც, — გამოვედ გარე! — სიტყვა იესომ და იმპერიაში ჟამი ნაშალა.

— გამოვედ გარე! — ეს ხმა მეშუამ — დგომლა, მზეა თუ, ფიცხელი თოში, — გამოვედ გარე! — სიტყვა იეშუამ და... სუნთქავს რომი უდროო დროში.





მიშო დადიანი

 არასოდეს ყოფილა ცხოვრება სიზმარი.
 ჩემი ცხოვრება ზედმეტად რეალურია იმისთვის,
 რომ ბედნიერებას დავეუთოო მხოლოდ.

არც ის მითქვამს — რთულია ბედნიერება.

თუ ვარსკვლავები არ ანათებენ,
 ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა მხარეს ვდგავარ.

სულ ერთი ლექსი —
 ერთი ტკივილიც მაბედნიერებს,
 თორემ
 სიმშვიდე რა ჩემი ხელობაა,
 ცივი სიმშვიდე,
 რომელიც იმის შეგრძნებას მიტოვებს,
 შენს დახრილ ჩრდილზე მოვდიოდე
 და მზეს ვეძებდე.

 ვერაფრით მოვიშინაურე ეს დღეები,
 ყველა მათგანი ხელებში მაკვდება,
 როგორც უცხო ადამიანი,
 სადღაც, გზის პირზე.

დგას ჩემი ლექსი,
 ხმაურში მოქცეული სიჩუმესავით
 და არაფერს ელოდება,
 მხოლოდ ცდილობს, რომ
 გაუძლოს შენი ზურგის
 სიმბურვალეს.

 დღეს ჩემი ბავშვობის სახლს ჩავუარე,
 რაღაც სიმძიმე ვიგრძენი გულში,
 გზა გავაგრძელე,
 მაგრამ ჩემგან ვიღაც გავიდა.

სუნი რომ ჰქონდეს ჩემს ბავშვობას,
 მას დედაჩემის სუნი ექნებოდა.

 ბავშვობაში, როცა დედა ივანიანებდა,
 კართან ვიდექი,
 მეგონა ასე უფრო მალე მოვიდოდა.
 ვცდილობდი
 ვინმეს ფეხის ხმა
 მიმემსგავსებინა დედაჩემისას,
 ესეც მყოფნიდა დასამშვიდებლად — იქნებ ის არის.

 შიგნიდან მკანრავს — მოსვლის სურვილი
 და დღე ქალივით მიხურავს კარებს

ცხვირ წინ. მე, ალბათ, თოვლის გულისთვის —
 ამაღამ ისევ დავრჩები გარეთ.
 ახლა მე ერთი სიმღერით და გზით —
 მეტი ვარ, ჯერ ჩვილ სიბნელეს ვუვლი.
 თოვლსაც ამ ლექსის სურნელი ასდის
 და ლექსიც თვითონ თოვლია სულით.

 რაღაცა რჩება წყვდიადიდანაც,
 რაღაც ისეთი,
 სიტყვებით რომ გხვდება გულში,
 სუფთა და ჩუმი.

თავსხმა წვიმა ბედნიერება,
 თანაც ამხელა,
 უცებ ნუ წახვალ,
 ნუ მოჰყვები იმის სხეულში.
 ის არ სჯობს,
 ნანილ-ნანილ გამონოვო
 ან ნანილ-ნანილ
 გამოკვებო შენი სხეულით.

მზად ხარ ასეთი სიხარულისთვის? ვაი, არ ჩაქრე.
 ასე ერთბაშად ნუ წამიხვალ ამ სიბნელიდან,
 მზე თვალებს მოგჭრის.

 დიდი ჩრდილები სცვივით ღამურებს
 და შორს, თოვლივით დევს — თეთრი ბაღჩა.
 შენ
 ჩემთან,
 როგორც ძველი საყურე,
 უკანასკნელი სიჩუმე დაგრჩა.

და ჭრილობიდან გამოდის ლექსი,
 ვით სიბნელიდან თამბაქოს თვალი
 და ტკივილიდან ჩემში დაღეიქის,
 რჩება
 ათასი
 გზა უკვალავი.

 რა რთულია შენამდე, რა შორს
 წასულხარ —
 ჩემო
 ბავშვობავ.
 ოღონდ ერთხელაც ვითამაშოთ,
 ოღონდ ერთხელაც გავშორდეთ.

 რა ჟრიალულია, დღესასწაულები,
 თოვლი კი ისევ თავისით დნება

და მის შემყურე ნათლად ვხედავ:
 არიან კარგი მეგობრები, მაგრამ ოდესღაც
 ყველა ფოთოლი საბოლოოდ,
 ხეს მარტო სწყდება.

 რამდენი ღამე დამიგროვდა,
 რამდენი სახლი შევიცვალე,
 ვერ ჩავატიე მაინც შიგნით,
 ვერ მოვუყარე თავი — ჩემს თავს,
 როგორც ერთ მთლიანობას.

მე ამ ღამიდან გადმოვდივარ,
 როგორც ცხედრიდან
 და სამყაროს ყველა ნაწილს
 გულზე ვედები
 და ვიხედები ყველა ლურჯი
 სიზმარის მიღმა,
 რათა უკეთ მიხვდე ჩემს არსებობას,
 რომ გზას კი არა — ფიქრს ვაგრძელებ,
 რომ დიდხანს ვდგავარ
 ჩემს ღამესთან,
 რომ ჩარაზული კარების მიღმა,
 მშვიდად იძინოს ჩემმა წარსულმა —
 ჩემმა ხეებმა.
 ანდა იმან
 რაც მათგან დარჩა.

 რამდენჯერ იყო,
 წამოვიწყე თითქოს ბედნიერება,
 უფრო სწორედ წამომცდა.
 და ყოველთვის რაღაც მაკლდებოდა მისდამი
 და მიკლავდა ამ მოულოდნელ სიხარულს.
 მაგრამ სასიამოვნო განცდად მრჩებოდა ის, რომ
 ასე ახლოს იდგა ჩემთან.

მოკლედ,
 ყოველთვის იყო რაღაც,
 რაც ყველაფერს აფუჭებდა.
 ახლა კი საით, ჩემო მოჩვენებითო სიმშვიდე,
 ჩემო სიჩუმე,
 რომელ კედელზე ამოვკანრო შენი სახელი,
 რომ მოვიშორო ყველა მოულოდნელობა — ბევრჯერ
 მატიკინეს.
 ახლა კი თვითონ ამოვიხილავ ჩემს გულის სამყოფს
 და საკუთარ თავს ნანილ-ნანილ პეშვით მოგიტან.
 ალბათ ასეა,
 დაუმსახურებელი ბედნიერება —
 კაზინოში მოგებულ ფულს ჰგავს,
 ეს კი მალე გაივლის.

 ამ თოვლს, ჩემი ფიქრით მოსულს,
 მთიებს — სიშორის მდინარეებს,
 მხოლოდ თვალისთვის
 რომ არსებობენ,
 ისიც შორიდან.
 და ხეებს — ძველი მეგობრის ხსოვნას.
 დიდი ხნის მერე, ტკივილზე რომ ვიცანი.
 და ჩემს გაყინულ, მცოცავ სტრიქონებს,
 უთვალთვალეებენ შენი თვალები.

ხეები ჩემი წარსულია, ყველა მათგანი
 მივატოვე და დავუტოვე — მხოლოდ დუმილი,
 როგორც სახლ-კარი ჟამიანობისას.

იდექით ჩემთან, სიშორის მთებო,
 ოღონდ შორიდან,
 რადგან ახლოდან მეშინია არ მივეჩვიო
 თქვენს სილამაზეს
 და არ განყალდეს.

ღამემ ჩრდილივით გადიარა ჩემი ხელები.
 რა შორი გზაა ნავსადგურამდე..

 რა დარჩება ამ ქალაქისგან,
 თუკი გეტყვი, რომ შენს თვალებში
 ფოთლების სევდა ასვენია
 და ქარს გადააქვს ისინი,
 როგორც უკანასკნელი ამბავი ზამთრიდან.
 რომ ტყისპირა ქოხში არავინ ცხოვრობს
 გარდა დედ-მამის ხსოვნისა
 და უშენობისა.
 რა დარჩება ამ სიტყვებისგან
 რომელთაც გულისკენ ვერ გაიკვალეს გზა.
 რა დარჩება სიტყვებში,
 სადაც არ ურევია დუმილი,
 როგორც
 დახრილი თვალების პოეზია.

ასევე ხდება ხოლმე, წიგნის შექმნის ზოგი მსურველი ჯერ სათაურს წაიკითხავს და მერე მწერლის გვარს და სახელს. ვერ გაამტყუნებ, სათაურზე დაფიქრებისას მკითხველი საინტერესო ინფორმაციას მანამ იღებს, სანამ გადაშლის. ჯერ ერთი, ავტორი სათაურით საყვარელ თემას შემოგვაპარებს ხოლმე თავისი შეკითხვებით: ვინ, რა, როგორ, რატომ და ასე შემდეგ. მაგალითისთვის დავუშვათ, ხელში გვიჭირავს აკა მორჩილაძის „გასეირნება ყარაბაში“. ზოგი მკითხველისთვის მეორე სიტყვას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პირველს. მისთვის მთავარია „გასეირნება...“ და არა გეოგრაფიული ადგილი და მაშინვე ხვდება, რომ გასეირნება სულაც არ ნიშნავს იის საკრეფად წასვლას, მაგრამ მეორე კატეგორიისთვის, ვისაც ომი და მასზე დაწერილი ლიტერატურა უყვარს, მთავარი იქნება „ყარაბაში“ (იქ სროლა იქნება, საშიში ტერიტორიაა!). აკი ამბობს ჩვენი გენიალური პოეტი — „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადაამკითხველი...“ ცოტა ხნით თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ხშირი ურთიერთობა მაქვს სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდებთან და მათ შორის იშვიათად შემხვედრია თუნდაც საშუალო დონის მკითხველი. ამის სწავლება კი ისევე აუცილებლობად მიმაჩნია, როგორც მათემატიკის, ისტორიისა და სხვა მეცნიერებების. სკოლაში ქვეტექსტის კითხვა უნდა ასწავლონ და არა თხზულების წაკითხვა. ძნელი საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი.

სათაურზე ვამბობდი. ჩემი მიზანი ისიც არის, თუ მოვახერხებ, გადამკითხველები მკითხველების ვნებათაღელვაში ჩავაჭვრიტო.

სწორედ ამ თვალსაზრისით ვეხები თანამედროვე, კომუნისტური რეჟიმის შემდეგ გამოჩენილ ახალგაზრდა მწერალთა მოთხრობებს, სათაურით გამოტანილ მათ მთავარ სათქმელს, დასმულ პრობლემებს. მაინტერესებს, გაართვას თუ არა თავი ამ სირთულეებს, როგორ გაართვას... ან მე თუ გაართვებ თავს ამ ყველაფერს. თან ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ თითქმის არაფერი წამიკითხავს მათი შემოქმედებიდან, პირადადაც ცოტას ვიცნობ, ისიც შორიდან, თვალმოკერით. ეტყობა, ეს არცთუ კეთილსინდისიერი ფანდი, მხოლოდ წიგნის სათაურით გამეორებული მოთხრობა და მკითხველი, იმიტომაც მოვიფიქრე, ყველაფრის წაკითხვის დრო რომ არ არის დღევანდელი ყოფის გამო.

ჯერჯერობით ეს ავტორები მოვიძიე: **არჩილ ქიქოძე, ბექა ქურხული, ანა კორძაია-სამადაშვილი, რეზო თაბუკაშვილი...**

არჩილ ქიქოძის „ამანათი“ დაინწყებ, ასე ჰქვია მის ერთ-ერთ წიგნს. ამანათი — გზავნილი. რა თქმა უნდა, მაშინვე იმას არ გავიფიქრებ, რომ მასში სუნამოები ან ჩურჩხელები იქნება. შევუდგებით კითხვას და უკვე ვხვდებით, რომ მოულოდნელობები სათაურიდანვე დაიწყო. სულაც და სულაც ეს ამანათი ადამიანი ყოფილა, უფრო სწორად — ადამიანები ყოფილან. ასე იწყება ქარცეცხლიანი არა და, მოულოდნელი, თან თითქოს შედეგებული, მშვიდი დაძაბულობა. ეს ფაქტი თუ აქტი, ჩემზე, როგორც მკითხველზე, მომწუსსავად მოქმედებს. სწორედ ის მომწონს ნაწარმოებში, როდესაც ვერ ვხვდები, ბოლოს რა იქნება. ხშირად ყოფილა, რაღაც ადგილამდე მისულს, ბოლო გვერდები გადამიფურცლავს, წინასწარ მიმხედარი დასასრული შემომიონებია და თუ ჩემსას დამთხვევია, წიგნი სამუდამოდ დამიხურავს. ასე არ მოხდა „ამანათზე“ და იმიტომაც არ დავხურე.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, ბუბა, რომელიც თავის დროზე დიდი მოწადინებით და ერთგულებით შეუდგა ინტერნატი საქმიანობას, პირის დასაბანად ეზოში გადის. საპონი წყლისგან გაჯერებული და გაღებულა და ზიზილი სასაპნოშივე აგდებს. უნდა ვთქვა, რომ ამ წინადადებით, დასასრული ვერა, მაგრამ ვითარების მიმდინარეობა გამოვიცანი და ჩემმა თამაშმა კმაყოფილება მომიანიჭა. გაჟივებული და გაღებული საპონი აგრეთვე ხორკლით გაჟივებული მოთმინებაა, მაგრამ რა აქვს მოსაბნელები, ეს ჯერ კიდევ საიდუმლოებაა. ისიც გამოუცნობია, რატომ დაუკარგა მეზობელმა ფუნქცია „სალამი ღვთისა“-ს ქართულ იდიომას.

თოვლი „ნაგავს ფარავდა. ეზო ოდნავ მყუდრო, ლამაზიც კი ჩანდა“, მაგრამ „ლო-

მანანა ამირეჯიბი წიგნის სათაური და მკითხველი



მანანა ამირეჯიბი და არჩილ ქიქოძე

ბის გადაღმა, ზედ გზაზე, ხის ტოტზე მავთულით ჩამოკიდებული ტომარაცქანაობს. იმ წამსვე, სანამ მეორე წინადადებაზე გადავიდოდი, ცნობისმოყვარეობამ უკვე თავი დამიკრა. ტომარა გაფენილი კი არ იყო, არამედ — ჩამოკიდებული. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ტომარაში, ვერ მივხვდი, თუმცა არც ის მიფიქრია, რომ მასში ფეხილი ან შაქარი შრებოდა. ასეთი რამ მინახავს. არადა, ეს თამაში, გამოცნობა-ნა, ძალიან მიყვარს. რა იყო და ძალიან თუ რატომ ძალიან და რატომ მაინდა მაინც ტომარაში, ეს კარგა ხანს უცნობია და ამით ავტორი მკითხველს „აბაშს“, გაგებების ინტერესს უჩვენს. ამასვე აკეთებს ახალი საგანი — კუბო. მის პატრონთან კი ისევე არავინ არსაიდან ჩამოვდა, როგორც ბუბასთან, რადგან ორივე ამანათია — არააქაური, მოსული. ახსოვს ბუბას ფიცრის კუბოს პატრონის ნათქვამი: „საქონელს ყოველთვის ამათზე ცოტას ვინახავდი, შნო სხვებზე მეტიც გვექონდა მე და ჩემს ქალს, მაგრამ ამანათს რომ აქაურებზე მეტი საქონელი გამეჩინა არ ივარგებდა, არ შემარჩენდნენ“. ხომ თქვა ერთხელ ბუბამაც, „ყველაზე ადვილი ნივთის შეყვარებაა, მერე ცხოველის და ბოლოს ადამიანის“. თავს რაუ დავიწვდით, ეს ხომ გულისგამგმირავია სიმართლეა. „სოფელი სუფთაა, იქ მეტი სიკეთეა“ — ეს ყბადაღებული, დაშტამპული გამონათქვამები ხომ მტკნარი სიტყუაა. ადამიანი ყველგან ერთნაირი. ნების სუნი და მანქანებიდან გამონახობა კი არ აყალიბებს ადამიანს, არამედ საკუთარი ჭრელი სამყაროს ბინადრების ერთმანეთზე გამარჯვებისთვის ბრძოლა.

ივანეს, ამ ერთადერთი ნორმალური ადამიანის სიკვდილმა კი არა, ბუბასადმი სიძულვილმა შეარბია ორი დედაბუნად გადაკიდებული, ერთი ფესვის მქონე ოჯახი.

სიძულვილმა... სიძულვილი კი, როგორც მოგვიანებით ვიკებთ, მთავარი „პერსონა“ გახდა სწორედ იმ თავგაჭექილი ქურდი ძაღლის გამო, ტომარაში რომ დაიწყო ხრწნა, რომელიც, „სოფლის კანონებით, უკვე დიდხანსა სიკვდილს იმსახურებს“. სხვათა შორის სამართლიანად უნდა შევებრუნო „ძალიან პატრონს ჰგავს“, ამ შემთხვევაში გესლიანი პატრონი ჰგავს საკუთარ მანანალა ძაღლს... მაგრამ უჯიშობის გამო კი არ გაუჩქრქავთ ქოფაკი, ან ბოლო დროს მაინცდამაინც ინტერნატის ქათმების ქურდობისთვის. არა. იმიტომ, რომ ჯიშის კავკასიური ნაგაზი ნაბილწა. ბუბამ თავისი თვალთ ნახა ნაგაზზე გადაბმული ქოფაკი და მაშინვე შეიძულა. რომელი? თავისი საყვარელი ბეკი. სიძულვილი ადვილია, სიყვარული ძნელი. „ვინ იცის, სამ თვეში რამდენი და როგორი სიმახინჯე მოველინება ქვეყანას“. სწორედ ამის შემდეგ აუცრუვდა გული თბილისში ნაპოვნ, დაღეჭილ-გადახარშულ ინტერნატის გოგო-ბიჭებზე, სოფელზე და საერთოდ ყველაფერზე, რასაც აფასებდა. ვერ გაამტყუნებ, უჯიშომ — ჯიშისანი... როგორი გადასატანია! სწორედ ამ ფაქტმა გამოუვსო გულ-გვამი ყინულით. მკითხველი კიდევ ამართლებს ასეთი სახის შურისძიებას, მაგრამ... შურისგების, ხეზე ჩამოკიდებული ძაღლიანი ტომარის, ანუ

„გამოცხადებული ომის“ ავტორი ბუბა კი არა, სულ სხვა აღმოჩნდა.

კოჭლი, თითქმის უთითებო აღსაზრდელი ვარლამა სახიფათო ბიჭია. ის, ავტორის შეფასებით, ბელადის ტიპია და სწორედ ამიტომ მგონია სახიფათო. იმ მომენტიდან, რაც ვოლიერში ნახეს, მხოლოდ მისი ბრძანება სრულდება და არა აღმზრდელის. ბრძანება და არა — თხოვნა. სწორედ მას ემორჩილება თავშესაფრის სახლობა, სწორედ მან დააპირისპირა აღმზრდელი სოფელთან. სწორედ მის გამო ამბობს თითქმის ტყვედქცეული ბუბა, რომ დიდი სიყვარული ისევე საშიშია, როგორც სიძულვილი, დავეამბატებდი — როგორც წრეგადასული ქება და ძაგება, სიმდიდრე და სიღატაკე, ამ ყველაფერს ხომ არცთუ იშვიათად ერთნაირი „წარმატებით“ მოაქვს საბედისწერო შედეგი.

ძალიან საინტერესოდ არის აღწერილი ინტერნატის გოგო-ბიჭების აგრესია. ყოველი მათგანი დიდი სიამოვნებით მონანილეობს ქოფაკის მკვლელობაში: ბარით, ჯოხით, ქვით, ნიხლით, მაშინაც კი, როცა თავდასხმულის ყმუილ-წყმუტუნი აღარ ისმის და იბადება ეჭვით საცხე შეკითხვა, ეს წრეგადასულობა მხოლოდ იმიტომ ვლინდება, რომ მათ უთვლილ ქათმებს და კვერცხებს იპარავდა... ვითომ? არა. აგრესიაც ადამიანის ჭრელი სამყაროს ბინადარია და თავის დროს უცდის. სწორედ ასეთი ვითარება ბადებს ბელადს.

ბუბამ, როდესაც ამ ღვთის ანაბარი, გზარეული მოზარდების, გამოცდილებით კი მასზე ბევრად უფროსების, საპატრონოდ თიანეთში მიდიოდა, ავტოსადგურში ადამიანთა ფუსფუსის შემხედვარემ პირველად გაიფიქრა — „ეს ჩემი ერია“. სწორედ ავტოსადგურში და არა მიტინგებზე. ადამიანის ხასიათი ხომ უნებლევ მოძრაობითა და გამომეტყველებით ვლინდება და არა მოჩვენებითით, ვიღაცაზე შთაბეჭდილების მოსახდენად. სრულიად ვეთანხმები ავტორს, ეს ფენომენი — ერი — მხოლოდ სიმშვიდესი მყოფავდება და არა ტაოდაყრილ გაშმაგებაში, ასეთები ყველგან ერთნაირი არიან, მიუხედავად კონტინენტისა და კანის ფერისა.

ბუბას „თითქოს ცულით ნაწორკნ სახეებთან მარტოდ დარჩენილს, შიში იტანს, ამათთან საომრად მზად არ არის... არც არასოდეს ყოფილა მზად პირზე დუჟ-მომდგარი კბილებით, კლანჭებით და ნიხლით ბრძოლისთვის“. სანამ ავტორი იტყოდეს, მკითხველი მანამ გრძობს, მხოლოდ კი არ გრძობს, სურვილიც უჩნდება, რომ ბუბა გაიქცეს შინ, დედასთან, მეგობრებთან, მაგრამ გაფაციცებულიც არის, გაქცევა ხომ ხან სიმამაცა და ხან ლაჩრობა. ისე უნდა გაიქცეს, ისეთი რამ უნდა მოიფიქროს, რომ სიმბდალე არ იყოს.

კოჭლი, თითქმის უთითებო ვარლამა ფეხდაფეხ დაჰყვება გასაქცევად მზადყოფ მასწავლებელს, არაფერი აწყენინონო. ნეტავი რითი და როგორ დაიცავდა ეს „ბელადი“ თავის საყვარელ მასწავლებელს... ბელადები ვერავის იცავენ, ეს მხოლოდ გმირებს შეუძლიათ.

ბუბას მახეს უგებენ თავისი აღსაზრდელი გოგო-ბიჭებიც, გამოცდას უწყობენ. ერთ-ერთი ეკითხება:

— გასვენებაში ნახვალთ, ბუბა მასწავლებლო?

მკითხველი ელოდება იმას, რაც ბუბას გულით უნდა, კოჭლი მათლაფში ჩაანარცხოს, მერე ეს ყველაფერი კედელს მიათხლილოს, კარი გაიჯახუნოს და წავიდეს. პასუხი ასეთია:

— ნავალ, აბა არ ნავალ? მთელ ამ სოფელს ეგ ერთი კაცი მერჩივნა.

და ბუბა მიდის გასვენებაში არცთუ ბოლომდე დარწმუნებული, რომ იქ სიკვდილი არ ელოდება. სოფლისგან გარიყული, მოძულეული ბუბა სველ კუნძზე ზის, მტრებით გარშემორტყმული. ნატრობს, დაურეკოს მაინც ვინმემ, რომ ყურზე ტელეფონმიდებულმა გაიარ-გამოიაროს და მერე ამ „ბოლმით დატენილ ადგილს და საშინელ ხალხს დააღწიოს თავი“. დაურეკა კიდევ დედამ. ბუბა ჭიშკრიდან გადის. მკითხველის ფიქრებს თუ გავყვებით, აქაურობას ტოვებს. გზაზე წამოწეული ვარლამა ეკითხება:

— სახლში წამოხვალ თუ გასვენებაში მობრუნდები, მასწავლებლო?

ანუ მიგვატოვებთ თუ დარჩებით? ბუბა გრძობს, რომ ეს არ არის გამოცდა, ამას ერთგულებით და სიყვარულით საცხე თვალები მონმობს. თან „სოფლის ბნელ რისხვაზე მეტად ვარლამას ჯიუტი ერთგულება და კუჭტი სიყვარული ამინებს“. რა პასუხი ეკუთვნის ასეთ თვალებს? რა და, უშიშრობის და არა ბელადობის მაგალითი, რაც ძალიან ესაჭიროება ბიჭს, რათა მისი ბელადობა უშიშრობით, გამბედაობით შეიცვალოს, თორემ მშიშარა ბელადები ბევრი ახსოვს ისტორიას. ძალიან რომ მოეკლათ, ეს არ იქნებოდა გამონკვევა, ტომარაში ჩაგდება და ხეზე გაკიდება პატრონის ცხვირწინ, შარაზე, ყველას დასანახად, სხვა საქმეა, სოფლის შურაცხყოფაა. ეს ბელადის შეცდომაა, შეცდომას კი გამოსწორება უნდა.

და პასუხი იგივეა:

— არა, ვარლამ — უღიმის ბუბა, — სახლში ჯერ ვერ წამოვალ, უნდა მივტრიალდე... ოღონდ შენ ეგ სიგარეტი უნდა გამატანო.

„უნდა მივტრიალდე“ ანუ „არ მიგატოვებთ“.

სიძულვილმა თუ იცის ადამიანების გაერთიანება, სიგარეტმა რა დააშავა.

რამდენიმე ადგილას ვიგრძენი, რომ ავტორმა მოთხრობა შეამოკლა. ეს კი კარგაქნებ მიმაჩნია, მაგრამ ზომიერება მაინც საჭიროა. მაგალითად, ერთი წინადადებით ნახსენები თავშესაფარში მისი პირველი სიყვარულის ამბავი, რომელიც, როგორც წესი, არავის ავიწყდება, ავტორს შემოკლებებისთვის გადაუყოფილია. დარწმუნებებისთვის გადაუყოფილია. დარწმუნებებისთვის ვარ, თუნდაც გაკვერით, ისევე ერთი ფრაზით რომ კიდევ ეხსენებინა ამ გრძობის დასასრული, რაიმე მოულოდნელს აქაც წავაწყდებოდით. და მაინც, რასაც ავტორს ვსაყვედურობ, მეც იგივე ვაფიქრებ. სხვა საინტერესო თემებიც არის მოთხრობაში და ისინი მეც შემოკლებებს გადავავლოლე და მხოლოდ ამანათობაზე, სიძულვილზე, ბელადობასა და უშიშრობაზე გავამახვილე ყურადღება. სიყვარული, სამწუხაროდ, ავტორმა ცენტრს და მეც. არადა, იქნებ საინტერესო ყოფილიყო მასზე, ანდა, მაგალითად, შრომით მოპოვებულ და ნაჩუქარ საგნებსა და მათგან აღძრულ სხვადასხვანაირ ემოციებზე მსჯელობა.

რა ვქნა, ამანათობამ დამაინტერესა, რადგან ეს ხომ ალბათ ყველგან მუდმივი უბედურებაა, თვალში უცხო არავის მოსდის, განსაკუთრებით თუ მასზე უკეთესია. სხვაგან ძნელია ფრთების გაშლა, ასეთს დიდი ბრძოლა მოუწევს, შური იროს არ აპატიებს.

ბექა ქურხულის „ზაფხულის მოკლე ღამე“, რომელიც, მაშინვე მივხვდი, რომ გრძელი ფიქრის აღმძვრელი იქნებოდა, ნაკითხვისას ბანალური დასასრულის უიშვიათესი სურვილი გამიჩინა. ვეთანხმები ავტორს, რომ „ცუდი რამეა დასასრული, ყოველთვის დასასრულის სჯობს“. ბოლო ასეთია: ბიჭმა დედა დაკარგა, ბიჭს კი ქვეყანა კარგავს, რაც მაშინვე ყოველი ადამიანის გულში გაუსაძლის ტკივილს ბადებს. მთხრობელ პერსონაჟს სახელი არა აქვს და მე ეს ძალიან მომწონს იმიტომ, რომ მას ყველას სახელი ჰქვია, რასაც კი საქართველოში ბიჭებს ვარქმევთ. ეს უსახელო ადამიანი, როგორც ავტორის, ისე ჩვენი, ყველა ადამიანის, დღევანდელი დარდის სიმბოლოა. თუ რატომ, ამას თანმიმდევრული ფიქრი და ანალიზი სჭირდება, და რაც მთავარია, გამოსავლის ძებნა

და მიგნება, რაც სულაც არ არის ადვილი. ეს ავტორმაც ვერ შეძლო მოთხრობაში. მეც ვერ შევძლებ, მაგრამ მოთხრობელზე დაკვირვებით მაინც ვეცდები დანაკარგების მიზეზის მიგნებას. თუნდაც უბრალო ნივთის დაკარგვაა გულდასაწყვეტი და რა იქნება შვილისთვის დედის და ქვეყნისთვის მოქალაქის დაკარგვა? ახლა ვნახოთ, რა მოხდა მოთხრობაში და რა ხდება ცხოვრებაში.

სიზმარში ნანახი მეგობრის მკვდარი ძმა ღიმილით ეკითხება ბიჭს:

— გაიჩინათ თუ დაღვევ?
ამის წაკითხვაზე, რომ იტყვიან, პირკატა მეცა და ყველაფერი ერთად გამახსენდა, არცთუ იშვიათად დანახული ჩვენი უცნაურად გაბრუნებული ბიჭები და ჩავლისას ყურმოკრული: „ანდანტე“, „ბიო“, „პლანი“. თავისთვის პირველი მუსიკალური ტერმინად ჩამესმა, მეორე სიცოცხლესთან დაკავშირებული თავსართი მეგონა, მესამე კი ვიცოდი, ანაშა იყო. მერე ჩემმა, მაშინ თოთხმეტი წლის შვილიშვილმა, „გამანათლი“ და თავზარი დამეცა. ეშმაკისეული გამაბრუნებლები ყოფილან, რასაც, თქვენ წარმოიდგინეთ, აფთიაქებში იძენდნენ. დიახ, თავისი ქალაქის აფთიაქებში. ძალიან ბევრია დღეს ასეთი ბიჭი ყოველ უბანში, ყოველ ქუჩაზე. ეს არის ქვეყნის უპირველესი პრობლემა და არა ნატო და ევროკავშირი. რა თავში ვიხლით ან ერთს, ან მეორეს, თუ ქვეყანა შვილებს კარგავს... მაპატიეთ, გავზრახდი და თემას გადავუხვიე. მიზეზსა და შედეგზე გადავალ, გამოსავალზე კი იმანაც იფიქროს, ვისაც ამის ძალა და უნარი შესწევს. რადგან გაბრუნებული ბიჭი ყველა ამბავს, ხანდახან კარგად ვერც კი გავიგე, რას ამბობს, მაგრამ რაც გავიგე, პირველი ის იყო, რომ ყველა უბედურება გულგრილობიდან იწყება. ახსოვს გიორგიამ რომ უთხრა, გუშინ ოთოს ძმა მოკლესო — „ცოტა ხანს ჩუმად უყურეს ერთმანეთს, მერე დალიეს. ერთი ბოთლიც

რომელიც მამის მძლოლა აჩუქა. მიუღო მოთხრობაში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები მამა, ისიც განსაზღვრების ფუნქციის შემსრულებლად. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ ბიჭი დანგრეული ოჯახის შვილია. ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რასაც მოთხრობელი წარმოადგენს. მოხდა ის და ალბათ ისეთი რაღაც, რამაც მშობლები-სადმი სიყვარული წაართვა.

საიდუმლოს გამხელაზე ვამბობდი. აფორიაქებული თვალებში შესცვენის დედას, ერთი სული აქვს, დედასთან ლაპარაკი უნდა... რას აქვს ამ დროს მისი ლამაზი დედა? რას და, არ უსმენს, წარამარა თმას უსწორებს, სოკოს ღვეზელს აჭმევს და თან, როგორც ჩანს, პირად საფიქრალს დასტრიალებს. ბიჭს კი ძალიან უნდოდა დედასთან საუბარი და დიდი სამხედრო ბებუთის ჩვენება. არადა, ნუთუ ძნელი იყო პირველზე ეთქვა: უი, მართლა? მეც მომიპარავს ბავშვობაში, მერე კი აღარასოდეს, იმიტომ, რომ ქურდობა დამამცირებელია, სამარცხვინო. მეორეზე კი: რა ლამაზია! მოდი, ჯერ ყველას ვაჩვენოთ და მერე სახსოვრად შევინახოთ. თუ მაინც დამაინც, შემდეგში „დაკარგავს“ ხელს რა უშლიდა. რა თქმა უნდა, ეს პრობლემას მაშინვე და სამუდამოდ არ გადაწყვეტდა, მაგრამ დანახვისთვის, მგონი, ასე აჯობებდა. მერე და მერე დედა „აღარც ლამაზი იყო და აღარც უცნაური. მარტო ავი იყო და საოცრად მომბაზრებელი“. ეს ის ასაკია, უფრო სწორად ასაკის 3-5 წელი, როდესაც მოზარდებს მშობლები ლამის სძულთ და მეგობრები უყვართ თავზე მეტად. ჩემი დაკვირვებით, ეგრეთ წოდებულ „ქუჩის რომანტიკაზე“ მხოლოდ მშვიდი, განონანსორებული დედები და მათი შვილები იმარჯვებენ. შეიძლება ჩამქოლონ, მაგრამ მაინც ვიტყვი, ბიჭმა ქუჩის ანი და ბანი უნდა იცოდეს, მაგრამ ჰაემდე ჩასვლა არ უნდა ვაცადოთ. დედა, რომელიც თვითონ ცდილობს შვილის გამწარებას, „დამსჯელის მათრახივით“ ესვრის შხამიან სიტყვებს ბიჭს, რომელიც „გაღიის ლიად დარჩენილი კარიდან ცდილობს გამოძვრომას“, რას მიაღწევს? მხოლოდ იმას, რასაც მიაღწია, კარგავს შვილს, მას კი, „უპატრონოს და აწყვეტილს“, პოულობს დაუნდობელი ქუჩა. არადა, თავისი ასაკისთვის ბიჭი განათლებულიც არის და მოფიქრალიც სწორედ იმიტომ, რომ ფიქრს გაურბის. „იმდენი ჭკუა კი ჰყოფინდა, ყველაფრისთვის თავისი სახელი დაერქმია, მეტიც, იმდენი ჭკუაც ჰყოფინდა, რომ მიმხედარიყო — ეს სახელიც ისეთივე პირობითი იყო, როგორც თვითონ ის, რასაც ერქვა“. სწორი არ არის? ხომ შეიძლება, პურს ვური რქმეოდა, რა შეიცვლებოდა? ესეც ხომ პირობითი იქნებოდა. მან კი „ტრასაზე გაკრიალებული შუშა დადო — (ანუ თავისი თავი, რასაც) ჯერ მტერის თხელი ფენა გადაეკრება, მერე ისევე თხელი ფენა, ბოლოს ვეღარ გაიხედავ იმ შუშაში, ვეღარ გაარჩევ ვერაფერს“. მაინც ბანალური დასასრული მერჩივნა, ბიჭს ხომ ტკივილის მიყენება უნდა თავისი თავისთვის, ჩემში ეს იმედს ბადებს, რომ მასაც ეშველება, უფრო სწორად, ჩვენს ალკოჰოლითა თუ სხვა უბედურებით გაბრუნებულ არცთუ მცირერიცხოვან ბიჭებს. ამას ნიშნისმოგებით არ ვამბობ, ეს ყველამ კარგად იცის. და მაინც, თუმცა შევიდა ლიფტის კაბინაში, სადაც გარდაცვლილი იხმობდა, იმედიანად მინდა დავასრულო. „მაგარი დაბნეული იყო. დაიბნა. ყოველთვის ცდილობდა, სწორად, კაცურად მოქცეულიყო, ბევრსაც ფიქრობდა და ზრუნავდა ამისთვის, მაგრამ ძალიან რთული იყო ეს ყველაფერი, მისი წილი დედამინა ძნელად ტრიალებდა“. მაინც ხომ ტრიალებდა! ვისაც ფიქრი არ უნდა და მაინც ასე ფიქრობს, იმთავითვე ველებს, მხოლოდ ჩვენი თბილი გული და მეტი თანადგომა სჭირდება. ის ხომ „გაღიის (გვიქრობ ავტორი ქუჩას გულისხმობს) ლიად დარჩენილი კარიდან ცდილობს გამოძვრომას“.

სხვაც ბევრი მძიმე საფიქრალიც არის ამ მოთხრობაში, მაგალითად, რატომ ხდება ომი საკუთარი ქვეყნისთვის საკუთარ ქვეყანაში, რატომ არის ზოგისთვის დრო და ცხოვრება გაუქმებული და ასე შემდეგ, მაგრამ ამ საჭირობოროტო პრობლემის გამო ისეთმა შფოთვამ მომიცვა, რომ სხვა ყველაფერი ნაკლებმნიშვნელოვნად მეჩვენა. ჩხუბით ხომ არც სახელმწიფოებსა და არც ადამიანთა შორის უსისხლო მშვიდობა არასოდეს დამყარებულა.

დასასრული შედეგ ნომერი 01

გურამ დოჩანაშვილი

ბრმადყოფილზე, და...

დასასრული

სიძვედო თუ სწუნობთ სხვებს რა, არ ჰყავთა თქვენისთანებზე კიდევაც უფრო უშნომშვილები თუ, რა, აღარ მიმიშვებთ ეს კანფეტკები რო გავაშინჯო ბოლოსდაბოლოს!..

აქ? — ერთი პირობა დანამუსდნენ, ამა ზახილით შეყვირულები, გაიკინდნენ და ჩამოეცალნენ, მითომცრისხვიანს და მაგრამ იქვე, ერთმაც კვიმატურ-აზრიანმა?: — აკი მუდამდღე ვატკბილებდიო და, ახლა ასინჯებ?

— ჰო-და, — არ დაიხია სიტყვაში იცკამ, ტყვილა ზვარ იყო ჰაზრთა მიმშვებ-თუშემაფერხებელ იიმ იცკასი მოსახელე, მაამ, და აქ უფროც მეტად თავგამოსაჩენად იცკამ დოინჯი შემოიყარა, ჯერ-ჯერობითე მხოლოდ ერთმაგი, — დაჩვეულს ნუ ნუ გადაჩვევით უთქვამთ ძველებსა და ბრძენებსა, აქვე არა გვააქ ერთ-ერთის, ქუდი? —

... — კარგი, ო, მაინცად უთხრა ერთ-ერთმა, მერე, — მაშინ ერთსაც ვკითხამთ და,შენ შენთვისა ემაგ მაგ შენი შვილიანა და ჩვენ კი, ჩვენთვის, ო, — მიდიო, ჩქარა, ო, — დაეთანხმავა რაქელაცა იმ ხმისამამლებს, რადგან, იმაზე აკი დიდ-ფარისასი დამქაშს ამბობდნენ მშრალიცა და სველიც, ენები... —

და, მოყვანილია კიდევაც ეს, ესეი შეკითხვა, შემდგომ, ნიგნთა მთლად ნიგნში-უპირველესში:

და, „შკითხვიდეს მას: ვითარ აღგეხილნეს შენ თუალნი შენნი?“

და გადანყვიტა კიდევ კითხულმა რომ ეთქვა მათთვის რაც რომ იცოდა ოლონდ მეგზური, ნათანაუდ — სახელით არ უხსენებია; უგრძნო გულმა და იგუმანაც, რომ, სა-ფარისა-ოდ გამეტების ღირსი არ იყო სილოამის ტბასთან მიმყვანი, მისი, და მაგრამ იქვე არ დასცდა უცნაუ სახელი თავად თვით იმისა ვინც რომ მან, თვალთაც კია სულ ვერ იცოდა, ჯერ?:

და „მან მიუგო და ჰრქუა მათ: კაცსა რომელსა ჰრქვიან იესუ, თიხაი შექმნა და მცხო თულათა ჩემთა და მრქუა მე: წარვედ საბანელსა მას სილოამისასა და დაიბანე. მივედ და დავიბანე და აღვიბილე“.

... — და, აქ დაბრუნდი? — ჰო... — და გაუკვირდა: — ვეღარა მხედავთ?

აი აქა კი დიდი ფარისას იმა ერთ-ერთმა იგივე ფარისას მეორეთაგანს თვალთ უყო და, იმანაც, ეგრევე, ვითომაცადა ხალხის სახელით და მაგრამ მაინც როგორღაც განზე იკითხა ასე — მითომაცა და დიდად არცკი ეინტერესებოდა, ეს:

— დაა, აი ახლა... — და, აქ კი ვეღარ მოითმინა, დიდმკაცრად იყო დარიგებული და ხარბად შეუვლო მცურავი მზერა და აქ ორთავე, ფარისასები, რა სულნასულად დაეკითხნენ, მას: „სადა არს იგი?“

ამ შეკითხვაზე ახლად როგორმა შუქიანმა, და მადღრამდგარმა, რა საოცრებით გასინათლევანებულმა მხოლოდდა მხრები აჩჩა, და, სწორიც იყო — ტყუილს ის თავის დანარჩენ მომდევნო დღეებში აკი ვერც ვერასოდეს, სუველარ ვერა იტყოდა, — იცოდა, უკვე, ყოველისთვის ძლევამოსილი, რაროგ, ფასი, — და, ახლაც სიმართლე, თან რა უბრალო და უმტიკინეულო თითქოსადა და, და მაინც რაროგ ნალვლიანი რამ, უთხრა იმათ და, თავისთავისთვისაც, რა დარდინად, თქვა: „არა ვუნყი“... — მწუხარი იყო: — და არც მინახავს, იგი. — თან რა ამოდ დაეძებდა, იმეამინდელ ბრბოდ, მას... — მაშინ ჯერკიდ ბრმა ვიყავ, როცა, სილოამისკენ გამავზავენა. და ხმასლა მისას ესმენდი მე, მხოლოდ.

სუნნელზე, — სულაც არა უთქვამს რა; ვერ ჰქონდათ იმა-შემკითხველებს სალი თვალები და შესუნთქვაც ხომ ვერ ექნებოდათ სწორად სარწმუნო და მართებულო, იმათ; ის მერე რა რომ რა მცდარი ხედვით მუდამ აიმა ეძიებდნენ რაც სიმართლისათვის არამცთუ საჭირო — მიუღებელი ყოვლად, გახლდათ, ხალხი კი, — თითქოსდა-ჩაფიქრებული, იდგა და იდგა, მერე კი კიდევ მერომელიც ფარისეველმა — ისე-უბრალო დაბეზლებით კიარა და არამედ უფრო-ც ყურჩასანკვეთი ჩაჩურჩულებით რომ წარსმდგარიყო იმა თავის, მისი თავისა-წარწყმედელთან? ვითომც ყასიდად იკითხა, ასე, არადა, გული ისე-

ვაც ავი რაროგ, ყინულით ჰქონდა, შეჭირბული:

— სად მოხდა, ეგა... — რა...

— სად შეხვდი!, იმას!! — თუმც კიც-იცოდნენ ერთიც სახელი, მათთვის მართლაცდა საჭირო-ბოროტო ის სახელდება ოლონდ ყურმოკვრით, ჯერ... — თვალები ვითომც რომ ავიხილა!

და არც სახელი იმ ქალაქისა, შორით რომ ჩანდა, არა იცოდა-რა; არავითარი, რამი... აკი შორითლა ჩანდა მხოლოდ მაგრამ მაინცად იგრძნობოდა რომ მნიშვნელოვანი, და თანაც ძაან, როგორღაც, იყო... მაგრამ უცებ თქვა:

— ერშალიმის მისადგომებთან მცხო იმან თიხა!

... — ვინ ნაგიყვანა... — მე თვითონ, მივედ.

— ეს როდის... — დღეს... ამ ნათელ დღეს.

... — როდის დაიძარ.

— აკი დღეს... — და, დაუზუსტათ, — დილაადრიან. დღეს. ცოტათი ადრე გამეღვიძა, მთლად დილაბნელზე...

— რა იცოდი თუ ადრე იყო! აკი ბრმა იყავ!

— სიჩუმე იდგა... ძალიანი.

— და, ერშალიმში როგორღაც მოხვდი!.. მაინც ვინ შტერმა შეგისვა ცხენზე!.. თუ, სულაც ეტლში ჩაგაბრძანეს...

— არავინ. არა. ჩემით მივედი...

... — როგორ თუ შენით?

— მთლად ჩემით არა... — ჯოხიცა მქონდა,

აქ კი? — გაიხარეს და, კიდევ განრისხდნენ:

— ერშალიმში, შენით მიხვედი? იმ-სიშორეზე!?! შენისთანები იქ ფეხით მისვლას იცი, რამდენდღეს მოუნდებოდნენ!?

— მე იმ ქალაქად არ შევსულვარ. მხოლოდ შორიდან დავინახე.

... — და რა იცი რომ ერშალიმი იყო... შე ბრმა და ყრუც შენ!

აქ? — მანამდე კვლავ უცნობი სიტყვა, და თანაც ორი, სახელწოდების აღმნიშვნელი პირს მოადგა, თქვა: — იქ ელეონის მთა მოჩანდა... ზეთისხილისაც.

და ჯერ რა მზაკვრული გახარებით ჩაიცივნეს და, მერე და მერე — უფრო და უფრო, და აი ისე ახითხითდნენ რომ, ახარხარებას ბევრი არ აკლდათ:

— ამ ტყუილებით ეს ვინ მარჯვემ და კისკასმა გაგებრა ასე, ვაჰ!.. აიი, რა გამარჯვება და გახარება მის ვაჟკაცობას, მართლაცდა შალომ იმის სახელს!.. — ხარხარებდნენც, კი... — და, იმ მითომი-გამარჯვებით? — რა გახარებით, ისულელოვებ:

— ისევეც ბრმაა ეს თვალმძალი!

... არადა, მან ხომ იცოდა, თავად, ბრმა აღარ იყო, —

„ხედვიდა, ყოველს“... მაგრამ რა ძნელი ყოფილა, მაინც, ხედვა-სწორი და, გულითადი, და საგულდაგულო — რომელიც რომკი ეწყებოდა თითქოსადა, მას, -

ამას იმ გულით გრძნობდა იგი რომელი გულიც სუმუდამ, ჰქონდა,

თანაც იმდენად დაჩაგრული, რომ, იმ ვითომდაცა უცხოსაგან? —

გადასარჩენი:

და იქ მყოფთაგან მხოლოდდა მას-ლა, ერთადერთს მხოლოდ თუ ჩაესმოდა, ბედნიერების ის მერე რა რომ უხილავ ქარში რა სასოებით დიდად მთრთოლვარი, მას, ნაალერსალს, გინდ ნაფლეთებად ამო ნათქვამი:

„ნეტარ იყვენ... რა სანეტაროდ ქმნილნი არიან... და ბედნიერები არიან, უკვეც“... რაროგ შევბად, აქ: „ის მგლოვარენი“, — და, მართლაცადა რა მოფრივალე — გინდაც გატვრენილ, მიყურებაში?:

„ნეტარ არიან მგლოვიარენი დიდად, გულითა, რამეთუ იგინი“... — რა... რა, იგინი! რა და: „ნუგუმინისცემულ შეიქნებიან, იქმნებიან“... —

ასე გაისმა. კი. ეს. უკვედაც, ახლა. თანაც ძალიან... —

ნუგუმით ცემა, ამაზე მეტი?... — აჰჰ... —



ბექა ქურხული

არ ჰქონდათ ჩამოცლილი, სულ გადაავიწყდათ, ვინ მოკლეს და რითი“. არადა, ეს ბიჭები ფუტურობით ნამდვილად არ არიან. ეს გულგრილობა რაღაც ნანახის და განცდილის შედეგა იქნება.

ალკოჰოლისგან თუ ნარკოტიკისგან გაბრუნებული ორი ბიჭიდან ერთს სახლში უნდა წასვლა, რაც სახლად იმიტომ დარჩა, რომ იქ დედაა. ამით მკითხველს იმედი უჩნდება, რომ მას ეშველება, დედა გადაარჩენს. მეორეს არ უნდა, რადგან იქ დედა არ არის, თუმცა მხოლოდ იმას ამბობს, რატომ არ უნდა: „სახლი სავსე იყო მისით (თავისით)“ და თვითონ იყო ისეთი „როგორც ლომის გალიამი შეგდებული უმი ხორცი“. თან იცოდა, რომ „მთელი ცხოვრება რაც ჰქონდა, სწორედ ის არ ჰქონდა და ვინც ჰყავდა, სწორედ ის არ ჰყავდა.“ ვნახოთ, რატომ არ ჰქონდა და რატომ არ ჰყავდა. ამ კითხვას, „რატომ“, ძალიან ხშირად ვიყენებ და მიმანია, რომ თავიდათავი ეს არის, განსხვავებით ბიჭისა, რომელიც თვლის, რომ ეს უაზრობაა ისევე, როგორც პასუხი „იმიტომ, რომ...“. ეს სკეპტიკოსის აზრია, ალბათ ესაც გაბრუნებულობის შედეგია, თორემ ჯანმრთელი სკეპტისისი სიმართლესაც ხომ შეიცავს.

ერთხელ, არდადეგები რომ დამთავრდა, ბიჭი სოფლიდან ჩამოიყვანეს და თავის ლამაზ დედას ეგრევე სამსახურში მიადგა, რათა თავისი ორი საიდუმლო გაემხილა. პირველი ის, რომ ბალი მოიპარა, მეორე — ბებუთი ჰქონდა ძალიან ლამაზი,

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ გაცნობისას მკითხველისთვის ნათელი ხდება, რომ მწერლის ბევრ პერსონაჟს ყავს მითოლოგიური პროტოტიპი. სტივენ დედალოსი, მწერლის ყველაზე ავტობიოგრაფიული გმირი, ტელემაქეს პაროდული ორეულია, ლეოპოლდ ბლუმი — ოდისეუსის, მოლი — პენელოპის... რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ჯოისის უფრო ადრინდელ რომანში — „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“? ვის ჩამოჰვავს სტივენი? ის ცხოვრების პირველ ეტაპზე მორწმუნე კათოლიკეა, გამუდმებით ლოცულობს, აღსარებას ამბობს, ეზიარება... მაგრამ, უცერად მისი ცხოვრება მკვეთრად იცვლება, ის უარს ეუბნება მომავალად დედას თხოვნაზე — სააღდგომოდ ეზიაროს. თავისი საქციელის ასახსნელად კი იმეორებს იმ სიტყვებს, რომლებიც დაცემულ ანგელოზს სამოთხიდან გაძევებისას უთქვამს: — „არ ვემორჩილები“ და, აი, ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ იწყება მისი ცხოვრების მეორე, სრულიად განსხვავებული პერიოდი. ჯოისი, რომელსაც შემთხვევით არ შეურჩევია თავისი ლიტერატორული გმირისთვის გვარი — დედალოსი, უკვე მითიური დედალოსის მსგავსად ლაბირინთის მშენებლობას იწყებს... ვის აღარ შეხვდებით მის წარმოსახვით ლაბირინთში: გათანამედროვეებულ წარმართ ღმერთებსა თუ საინფორმაციო საშუალებებზე ქცეულ ურჩხულებს; მოხუც ზღვისკაცსა თუ ნიმფებს... თუმცა ერთი რამ ცხადია, იქ, ჯოისის ახალ სამყაროში, ადვილი აღარ დარჩენილა არც ღმერთისთვის და არც სამშობლოსთვის...

მოგვიანებით სტივენ დედალოსი ქმნის კერპს, რათა სამშობლოსა და ღმერთის მიტოვებით გაჩენილი სიცარიელე შეივსოს. „ძველთაძველო მამაო, ძველთაძველო შემოქმედო. იყავ საიმედო საყრდენი ჩემთვის ან და მარადის!“ — ასე ლოცულობს სტივენი „ხელოვანის პორტრეტში“ ბოლოს, ირლანდიდან გამგ ზავრებამდე მითიური დედალოსისადმი და ჩვენც, უნებლიედ, კითხვა გვებადება, როგორ შეძლო ამ ანტიკურმა გმირმა ღმერთისა და სამშობლოს ჩანაცვლება?

თემურ გაბუნია

ჯოისის ლაბირინთი

ჯეიმზ ჯოისი და ირლანდია

1941 წლის 13 იანვარს, როცა ჯეიმზ ჯოისი ციურხის საავადმყოფოში გარდაიცვალა, შვეიცარიაში ორი ირლანდიელი დიპლომატი იმყოფებოდა. ჯოისი ფლუნტერის სასაფლაოზე დაკრძალეს ციურხის ზოოპარკთან ახლოს. დაკრძალვას არც ერთი დიპლომატი არ დასწრებია. მოგვიანებით, მწერლის მეუღლემ ნორა ბარნაკლმა ირლანდიის ხელისუფლებას ნემტის გადასვენება თხოვა, რაზეც უარი მიიღო. 1982 წელს, როცა მსოფლიომ მწერლის დაბადების 100 წლისთავი აღნიშნა, კვლავ მოისურვეს ჯოისის დუბლინში გადასვენებინათ. მაგრამ ეს აზრი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ამასთანავე, გამოითქვა არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, „რომ ჯოისის ნებაყოფლობითი ემიგრაცია მისი ბიოგრაფიის განუყოფელი ორგანული ნაწილი თუ ნიშანი გახდა და მასში ხელოვნურად, გარედან „კორექტივის შეტანა“ გამართლებული არ იქნებოდა“ (ნიკო ყიასაშვილი, „ულისეს“ წინასიტყვაობა). ასე რომ ჯოისი, რომელმაც 1912 წელს დატოვა ირლანდია და იქ სიცოცხლის ბოლომდე, 1941 წლამდე აღარ ჩასულა, მშობლიურმა მიწამ არ მიიღო. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რითი იყო განპირობებული დიპლომატთა და ხელისუფალთა გულგრილობა, ან რამ გამოიწვია მათი გულსწყრომა, ნუთუ ისინი ჯოისის ირლანდიელად არ მიიჩნევდნენ? ან რა იყო თვით ჯოისის ირლანდიაში ჩაუსვლელობის მიზეზი, განსაკუთრებით კი 1922 წლის შემდეგ, როცა ქვეყანამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, ნანატრ თავისუფლებას მიაღწია? ნუთუ მწერალს ეს არ უხაროდა? ამ და მსგავს კითხვებზე პასუხი ისევ ჯოისის შემოქმედებაში უნდა ვეძებოთ.

ჯეიმზ ჯოისის შემთხვევით არ შეურჩევია თავისი ყველაზე ავტობიოგრაფიული გმირისთვის სახელად სტივენი, გვარად კი — დედალოსი. სტივენი ჩვენ სტივენს პირველმონამვე გვაგონებს, დედალოსი კი მიკენში ცნობილი ლაბირინთის შემქმნელს. სტივენი, ისევე როგორც მწერალი, ცხოვრების პირველ მონაკვეთში ღვთისნიერი კათოლიკე ქრისტიანის ცხოვრებით ცხოვრობდა. პატარა ჯეიმზი ოჯახში დუბლინის კლონგოუზ-ვუდის იეზუიტურ სკოლაში შეიყვანა. შემდეგ ცოტა ხნით „ქრისტიანი ძმების“ სასწავლებელში, საიდანაც მამა კონმის რეკომენდაციით ბელვედრის იეზუიტურ კოლეჯში მოხვდა. აქ ჯოისი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და წინ, შესაძლოა, ბრწყინვალე სასულიერო კარიერაც კი ელოდა, მაგრამ ის ამ გზას არ გაყოლია. აქედან იწყება მისი დედალოსობა, ჯოისის ცხოვრებასა და შემოქმედებაში შემოდიან წარმართული მოტივები.

მწერალს ზედმიწევნით კარგად აქვს აღწერილი თავისი სულიერი მდგომარეობა 1916 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ავტობიოგრაფიულ რომანში „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, თუმცა მოთხრობების კრებულში „დუბლინელები“, რომელიც რომანზე 2 წლით ადრე ლონდონში გამოიცა, უკვე იგრძნობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მწერლის იდეალი, რა შეუფერებელ სივრცედ მიაჩნდა ირლანდია, და რა მიმზიდველად ლონდონი და პარიზი — დიდი ქვეყნების დედაქალაქები. „დუბლინელების“ ერთ-ერთი მოთხრობის — „შეხვედრის“ პატარა



გმირს სკოლაში „იაფთასიანი სათავგადასავლო“ რომანების კითხვას რომ უშლიან, საკმაოდ დამამცირებლად და მოსაბეზრებლად ეჩვენება ირლანდიაში ცხოვრება, მას სჯერა, „რომ ნამდვილ ხიფათს ვერ გადაეყრება ის, ვინც დღენიდაღ მინ ზის ფეხმოუცვლელად. ხიფათი მხოლოდ სამშობლოდან შორს უნდა ეძიო“. აი, ასე უცნაურად მსჯელობს ამ მოთხრობის პერსონაჟი. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ნუთუ მართლა არ შეიძლებოდა ნამდვილი ხიფათი ეპოვა ადამიანს დაპყრობილ ირლანდიაში, რომელიც (სწორედ მაშინ ჯოისი თავის მოთხრობებსა და რომანებს რომ წერდა) დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ნუთუ სიტყვით მაინც არ შეიძლებოდა თანაგრძნობა მეამბოხე თანამემამულეებისთვის, საქმით თუ არა? ერთი, ერთადერთი სიტყვით რომელიმე მოთხრობაში, რომანსა თუ ესსეში? მაგრამ არა, ჯოისის საკუთარი გზა ჰქონდა და თავისი პოზიცია ნათლად გამოხატა კიდევ „ხელოვანის პორტრეტში“. აი, რას ამბობს გალიზიანებული სტივენი, რომელსაც მეგობრები ეროვნულ მოძრაობაში ჩართვას თხოვენ. „თქვენ გაქვთ უფლება თქვენი გზით იაროთ. მეც ნება მომეცით, ჩემი გზით ვიარო“. „შენ საერთოდ ირლანდიელი ხარ?“ — უკვირს დავინს, სტივენის მეგობარს. მისი აზრით, სტივენი ყველაფერში განზე დგომას ამჯობინებს. „შენ დაბადებით ხარ ასეთი, ყველაფერს დასცინი, სტივ.“ — თუმცა დავინი ბოლომდე მართალი არ იყო, სტივენი არ დასცინოდა საკუთარ თავს. როგორც ოთარ ჩხეიძე აღნიშნავდა: მას პაროდია „რო ემეტება ყველასა და ყველაფრისთვის, თავისთვის — არა“ („სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“). დიახ, ოთარ ჩხეიძე აბსოლუტურად მართალი იყო, ჯოისი დასცინოდა ყველასა და ყველაფერს, ღმერთს, ეკლესიას, ზიარებისა და აღსარების საიდუმლოებს, ირლანდიურ ენას, ირლანდიელ პატრიოტებს, თვით საკუთარ სამშობლოსაც კი, რომელსაც დედალოსს ადარებდა, მაგრამ მწერალი არ ამარაუბდა საკუთარ თავს, რადგან, როგორც ჩანს, თავი ყველასა და ყველაფერზე მაღლა მდგომად მიაჩნდა. დავინი სწორ დიაგნოზს სვამს, როცა სტივენის განდგომილების უმთავრეს მიზეზად სიამაყე მიაჩნია „— შეეცადე ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო, — თქვა დავინმა — გულში ირლანდიელი ხარ, მაგრამ შენი სიამაყე ვერ დაგიძლიებია.“

სტივენი მართლაც ამაყია, მას წინაპრები იმის ღირსადაც კი არ მიაჩნია, რომ მათი დაწყებული საქმე გააგრძელოს, მათი შეცდომები გამოასწოროს. ისინი ხომ „განუდგნენ თავის ენას და სხვა ენა მიიღეს, თანაც „საკუთარი სიცოცხლით“? რისთვის უნდა იბრძოლოს იმ ირლანდიის გათავისუფლებისთვის, ბებერი ღორივით „საკუთარ გოჭებს რომ თქვლევს“.

„თუ სიმართლე გინდათ... მე ჭირვით შემძულდა ჩემი მშობლიური ქვეყანა“, — ამბობს „დუბლინელების“ ერთ-ერთი პერსონაჟი გებრიელი, როცა მის აივორსი სთავაზობს, უკეთ გაიცნოს საკუთარი სამშობლო, ხალხი, არონის კუნძულებზე წავიდეს დასასვენებლად, შეისწავლოს მშობლიური ენა... სტივენს სამშობლო ეპატარავება, ისევე როგორც „დუბლინელების“ ერთ-ერთი მოთხრობის, „პატარა ღრუბლის“ გმირს — ჩანდლერს, რომელიც გრძნობს, რომ დუბლინში კარიერას ვერ გაიკეთებს „თუ გინდა რამეს მიაღწიო, აქედან უნდა გადაიკარგო, დუბლინში ვერაფერს გახდები“. ამ ქალაქში თვით სახლებიც კი „ნაპირზე შეყრილ მანანალეების ბრბოს“ ჰგავს. ისინი მათსავით „ჩამოძონძილები, მტვრითა და მჭვარტლით დაფარულები არიან“. სამაგიეროდ სულ სხვაა ლონდონი ან თუნდაც პარიზი.



„— ლონდონში წადი, ან პარიზში, უმჯობესია, პარიზში, შენთვის ძალიან სასარგებლო იქნება“, — ურჩევს პატარა ჩანდლერს მისი მეგობარი იგნაციუს ალაჰ-ჰერი, რომელმაც უკვე მიატოვა ირლანდია და ცნობილი ჟურნალისტი გახდა ლონდონში. პატარა ჩანდლერი, რომლისთვისაც სახელი „პატარა“, როგორც ჩანს, საგანგებოდ შეურჩევიათ, რადგან ვიდრე ირლანდიაშია მუდამ პატარად დარჩება, მწვავედ გრძნობს „განსხვავებას თავისსა და გალაპერის ცხოვრებას შორის და ეს ყველაფერი უსამართლობად“ მიაჩნია. ის ხომ მასზე ნიჭიერია, „გალაჰერის წარმომობითაც და განათლებითაც მასზე“ დაბლა დგას. ჩანდლერსაც რომ მისცემოდა მსგავსი შანსი „გაცილებით უკეთესი რამის გაკეთებას შესძლებდა, რაც მის მეგობარს არასოდეს გაუკეთებია და ვერც ვერასდროს გააკეთებდა, გაცილებით უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი რამისა, ვიდრე „მეყვარალა ჟურნალისტიკა“. დიახ, ჯოისსაც სურდა რაღაც „მაღალი და მნიშვნელოვანი რამის“ გაკეთება, არ უნდოდა ტუსაღივით პროვინციულ დუბლინში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, რომელსაც სხვა ქალაქები გალაჰერისა არ იყოს, თვით გარყვნილებითაც კი სჯობდნენ. მაგრამ რა უშლიდა ხელს პატარა ჩანდლერს? ან რა იყო ის დიდი საქმე, რომლის გაკეთებასაც აპირებდა, ამ კითხვებზე პასუხს ჯოისის ავტობიოგრაფიული გმირი — სტივენ დედალოსი იძლევა, რომელსაც სურს „მსოფლიო კულტურის დღესასწაულზე“

მოხვდეს. მაგრამ არსებობს დაბრკოლება, ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელსაც რაც უფრო სწრაფად მოიშორებს, მით უკეთესი იქნება. მაინც რა დაბრკოლებაა აქ საუბარი? დიახ, სტივენს „შეურაცხყოფდა იმაზე ფიქრი, რომ მსოფლიო კულტურის დღესასწაულზე მხოლოდ მოკრძალებული სტუმარი თუ იქნებოდა და რომ მისი მონასტრული განათლება, რომლის ტერმინებითაც ის ცდილობდა ესთეტიკური ფილოსოფიის გამოჭედვას იმ საუკუნეში, რომელშიც ცხოვრობდა, უფრო მეტად არ ფასობდა, ვიდრე შევარდნით ნადირობისა და ჰერალდიკის უცნაური და სასაცილო ჟარგონები“.

და აი, სტივენი მკვეთრად ცვლის თავის ცხოვრების წესს, ის უკვე მინოსის ლაბირინთის მშენებელი დედალოსია და არა პირველმონამვე სტივენს მოსახელე სტივენი, მასში წარმართული მუსიკა იღვიძებს, თანდათანობით კი მეტად უცნაური პაროდის დიდოსტატიც ხდება, რომელიც ოთარ ჩხეიძის განმარტებით ადამიანს „ნაღმაც შეიძლება გამოადგეს და უკუღმაცა“. დიახ, „პაროდია ისეთი ხერხია, მსატრული ხერხი“, რომ თუკი გამოიყენებ, ვერავინ შეგედავება, ვერავინ გეტყვის ღმერთს და სამშობლოს რატომ დასცინი, ან „შეგ მესას“ რატომ ალაველინე შენი პერსონაჟებით, რადგან მარტოდა უბასუბებ, — ეს პაროდიაა, პაროდია კი ისეთი რამაა, რომ „ნაღმაც მართალი მოსჩანდე და უკუღმაცა“ (ოთარ ჩხეიძე).


მაინც როგორი ესთეტიკური ფილოსოფია უნდა გამოეჭედა ჯოისს, რომ იქ „მსოფლიოს კულტურის დღესასწაულზე“ მისით მოხიბლულიყვნენ? ამ კითხვას ამომწურავად პასუხობს ოთარ ჩხეიძე თავის წერილში „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო პაროდული სტილი შეემუშავებინა და სასაცილოდ გაეხადა ყველაფერი, რაც უკავშირდებოდა „ირლანდიის ეროვნულ კარნაკტილობას“, თანაც ისე, „თითქოს ესარჩლება ეროვნულ გმირებსა, ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში რო დაცემულან... უცნაური გამოსარჩლება, თავზარდამცემი შედარება, განსჯაც რო ძნელია, გამეორებაც რო შემზარავია. თვითონ იმეორებს... მერე ათამაშებს როგორც დასჭირდება, სახელებსა და საქმეთ მათსა, ათამაშებს და ერთობა, ერთობა და ართობს მკითხველსა. ვირტუოზია სტილისა ჯოისი, ვირტუოზია ინგლისური ენისა, ვირტუოზია ალუზიებისა, ასოციაციებისა, პაროდის ვირტუოზია და ულმოვლია პაროდიაში“.

თავისი სასტიკი იარაღი — პაროდია, ჯოისმა ჯერ კიდევ „ხელოვანის პორტრეტში“ გამოცადა. და თანაც არა მხოლოდ ირლანდიელ პატრიოტებზე, რომლებსაც „შინაურ ბატებს“ უწოდებდა, არამედ თვით უფალ იესოზეც. „სტივენმა მეფის ფოტოგრაფიისკენ (იგულისხმება ნიკოლოზ II — თ.გ.) გაიშვირა ხელი და თქვა:

— მთვრალ ქრისტეს მაგონებს“.

და აი, რადგან ერთხელ გახდა, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ გზა უკვე გაკვალული ჰქონდა და მისი პაროდის მანქანაც მოიმართა. „ულისეში“ უკვე არც ერთი ეპიზოდი არაა ისეთი, რომელშიც მწერალი სამების რომელიმე იპოსტასს, მღვდლებს, ირლანდიელ პატრიოტებს ან თვით ირლანდიის არ ამარაუბდეს. მსოფლიო ლიტერატურაში, შესაძლოა, არც კი არსებობდეს სხვა ისეთი მწერალი (ჯოვანი ბოკაჩო) გარდა, რომელიც ჯოისის ღვთისგმობაში გაეჯიბრება. ჯოვანი ბოკაჩო კი, როგორც ეს ყველაფერიდან სჩანს, მის სულიერ მამად და მოძღვრადაც კი გამოადგებოდა. თუმცა ჯოისი თავის მასწავლებელზე შორს წავიდა, ბოკაჩო მხოლოდ სასულიერო პირებს და რელიგიურ რიტუალებს ამარაუბდა, ის არ ერჩოდა იტალიას და ეროვნულ გმირებს. ჯოისი კი, რომელიც თავის სამშობლოს ბებერ ღორს ადარებდა, ეროვნულ გმირებსაც არ ინდობდა. მისმა ულმოვლმა პაროდიამ არც ირლანდიის თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი რობერტ ემეტსი დაინდო, როგორც ცნობილია, ემეტსმა, ვიდრე სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ, ასეთი რამ ბრძანა: „როდესაც ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაიკავებს მსოფლიოს ხალხთა შორის, დე, მაშინ და მხოლოდ მაშინ დაინეროს ჩემი ეპიტაფია. მე ჩემი საქმე გავაკეთე“.

ჯეიმზ ჯოისმა თავის 700 გვერდიან „ულისეში“ ეროვნული გმირის ეს ცნობილი



სიტყვა რატომღაც მაინცდამაინც ლე-ოპოლდ ბლუმის მოსაქმებას დაამთხვია. გავიხსენოთ „ულისეს“ მეთერთმეტე ეპიზოდის „სირინოზების“ ფინალი. ლე-ოპოლდ ბლუმის მოსასაქმებლად შედის. „ზღვაბლუმის, ხარბი სხვაბლუმის უკანასკნელ სიტყვებს ჭვრეტდა. დაყურებული. როცა ჩემი ქვეყანა თავის ადგილს დაიკავებს.

პრუნზარუნ. მაინც ბურგუნდი უნდა იყოს. ფფფ-უუ-პრუნ. მსოფლიოს ხალხთა შორის. უკან არავე-ინაა. გაიარა. დე, მაშინ და მხოლოდ მაშინ. ტრამვაი ძინგ ძინგ ძინგ. კარგი შემთხ. მოდის გრუხუნ-გრუხუნით. დარწმუნებული ვარ ბურგუნდიულის ბრალია. კი. ერთი, ორი. დაინეროს ჩემი. რახრახრახრახრახ. ეპიტაფია. მე მო...

რა გასაკვირია ამ და მსგავსი პასაჟების წამკითხველი ირლანდიელი დიპლომატები 1941 წელს ჯოისის დაკრძალვაზე არ გამოცხადებულყენენ. აი, ასეთ ესთეტიკურ ფილოსოფიას ჩაუყარა საფუძველი ჯეიმზ ჯოისმა.

II მონათესავე სულაბი

ჯეიმზ ჯოისი გამუდმებულ სტრესში იყო ქალიშვილის, ლუჩიას ავადმყოფობის გამო, რომელიც 1982 წელს გარდაიცვალა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მწერლისთვის ქალიშვილის ავადმყოფობის უმთავრესი მიზეზი თავად იყო. ლუჩიას სულიერ აშლილობას ის რწმენის დაკარგვისთვის მოუვლენილ სასჯელად მიიჩნევდა.

საკუთარ თავს ადანაშაულებდა შვილების თავზე დატყევილი უბედურების გამო კიდევ ერთი მწერალი, ჯოვანი ბოკაჩო. როგორც ცნობილია, მას რამდენიმე უკანონო ცოლი ჰყავდა, რომელთაგან შექმნილი შვილები მის სიცოცხლეშივე გარდაიცვალნენ. ბოკაჩოს შიში ერთმა კარტეზიელმა ბერმა, ჯოაკიმო ჩიანიმაც გააძლიერა, რომელმაც „გააფრთხილა ბოკაჩო იმ საშინელი სიკვდილისა და ჯოჯოხეთური ტანჯვის შესახებ, რომელიც მას „ამქვეყნიური ცოდვებისა და „განსაკუთრებით მისი „ურჯული“ თხზულებებისთვის — „დეკამერონისთვის“ მოელოდა“ (გ. ახვლედიანი, „ჯოვანი ბოკაჩოს ცხოვრება და შემოქმედება“).

საგულისხმოა, რომ არც ბოკაჩოსა და არც ჯოისის შიში არ გამოდგა იმდენად ძლიერი, რომ ქრისტიანულ რწმენას დაბრუნებოდნენ. მათი შეკრთომა დროებითი იყო. არც ბოკაჩოს უარყვია „დეკამერონი“ და არც ჯოისის თავისი „ულისე“, ისინი სიცოცხლის ბოლომდე თავიანთი შემოქმედებითი პრინციპების ერთგულნი დარჩნენ.

როგორც მოგვხსენებთ, „ულისეს“ სიუჟეტი ჯოისმა მთლიანად ჰომეროსის უკუდავ პოემაზე ააგო. ბერძენი პოეტი ჯოვანი ბოკაჩოსთვისაც მთავრების წყაროს წარმოადგენდა. ის, როგორც ალორძინების ეპოქის წინამორბედი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ძველი ბერძნული შეისწავლა და ჰომეროსი დედანში წაიკითხა და არა მარტო წაიკითხა, თარგმნა კიდევ. ის ცნობილი იყო თავისი ნაშრომებით ანტიკურ ლიტერატურასა და მითოლოგიაზე. იკვლევდა წარმართ ლმერთა გენეალოგიას და

თავის ნაწარმოებებში აცოცხლებდა მათ. ბოკაჩოსთან ამური ცოცხალი ლმერთა, მას ლოცვებს ალუფლენენ, თხოვენ სიყვარულში შეენიოს. ამურიც მოქმედებს — ზოგს ალაზვევებს, ზოგს კი სჯის. ჯოისის „ულისეს“ წაკითხვისასაც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს წარმართი ლმერთები არ მომკვდარან, ისინი ყოველ წუთს ცოცხლებიან, ხოლო შემდეგ დროებით ქრებიან, რათა ადამიანებს კვლავ გამოეცხადონ. მკითხველს მოხუცი ზღვისკაცის — პროტევის სუნთქვაც კი ესმის, არც ქართი მბრძანებელი ეოლოსი გაუჩინარებულა სადმე. ისინი უბრალოდ გათანამედროვედნენ, „ულისესი“ ისე იქცევიან, როგორც ეს XX საუკუნის ღვთაებებს შეეფერებათ. რედაქციაში ისევე აბურთავენ ბლუმს, როგორც ოდესღაც სამშობლოში მიმავალ ოდისევსს — ქარების მბრძანებელი. სტივენი კი ისევე შეჭიდებია ცნობიერების ცვალებად ნაკადებად ქვეულ პროტევის, როგორც მენელაოსი.

„დეკამერონის“ წაკითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მასზე ლმერთან მებრძოლთა მთელი კვლევითი ცენტრი მუშაობდა. თითქოს ამ ცენტრმა თეზისები შეიმუშავა, რომლებიც ბოკაჩომ შემდგომში დაამუშავა და ერთიანი ნაწარმოების სახე მისცა. გავიხსენოთ როგორ იწყება „დეკამერონი“. დაცარიელებულ ტაძარში, ერთ საშობაო დილას „იმ დროს, როცა შიგ ჯერ არავინ იყო გარეშე, შეიძმა ახალგაზრდა ქალმა, ...შავადრაც-მულემა, როგორც ამას მაშინდელი დრო მოითხოვდა, წირვა მოისმინეს“. ეს ქალები ყველანი არისტოკრატიული ჩამომავლობისანი იყვნენ, „ლამაზები, ზნედაცულნი, ზრდილნი და კდემამოსილნი“ და აი, ისინი „მამაო ჩვენს“ თქმას თავს ანებებენ და იწყებენ მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ გაარიდონ თავი შავი ჭირით გაუდაბურებულ ქალაქს. ერთ-ერთი ქალი, პამპინეა, სხვებს მოუწოდებს წავიდნენ ქალაქგარეთ თავიანთ მამულებში და იქ გაატარონ დრო, თავი შეიქციონ საუბრებით, ჭამონ, სვან და იზიარებდნენ, ვიდრე შავი ჭირი არ გადავიდეს, რადგან აქ ყველა ადვირასხნილობას მისცემია, არავინ დაგიდევთ, ცუდს შევბიან თუ კარგს, თვით სასულიერო პირებიც კი ამასვე აკეთებენ. დაიწყებიათ თავიანთი აღქმა და ხორციელ სიამოვნებას დანაფებიან. მაშ, აქ



რალა ესაქმებათ. ჯობია იზიარებდნენ და დრო გაატარონ. აი, რას მოუწოდებს პამპინეა თავის მეგობრებს დაცარიელებულ ტაძარში. მისი აზრით, ადამიანს ლოცვა და ღვთისმოსაობა კი არ გადაარჩენს, არამედ მზიარებულება და დროსტარება, არავითარი სინანული, არავითარი მარხვა, არავითარი ლოცვა. და აი, ეს შეიძლება თვით არანმინდა სული — მკითხველმა თავად განსაჯოს) დაცარიელებული ტაძრიდან სამ მეგობარ მამაკაცთან და მსახურებთან ერთად ქალაქიდან ორიოდ მილის მოშორებით გორაკზე მდგომი სასახლისკენ მიემართებიან, სადაც უხვად იყო ყინულივით ცივი ჭებო და ღვინოვითი სავეს მარნები.

ერთი შეხედვით ამ ისტორიაში ცუდი არაფერია, ადამიანები ქალაქგარეთ გავიდნენ, ეპიდემიას გაარიდეს თავი, მა-

გრამ მოდიტ გავერკვეთ, როგორ წარიმართა გახიზნულთა პირველივე დღე, რა მოყვა პამფილომ, რომელსაც წილად ხვდა თხრობის დაწყება, და როგორ შეხვდნენ მის ნაამბობს მსმენელები. პამფილო ყველა ვინმე ყალბისმქმნელ ნოტარიუსზე, რომლისთვისაც „უდიდესი ნეტარება იყო, როცა ცრუმონმედ დაუდგებოდა ვისმე“ ან უპატიოსნო გზით მოიგებდა საქმეს ფიცისგამტეხი ან ცრუდმოფიცარი მონმეების დახმარებით. ვისაც უდიადეს სიამოვნებად მიაჩნდა მეგობრებსა და მშობლებს „შორის შულისა და მტრობის ჩამოგდება და აყალმაცალის ატეხა“. გაიძვერა ნოტარიუსი „რაც უფრო მეტს სიავეს დათესავდა, მით უფრო ხარობდა და ტკბებოდა მისი სული და გული. თუ სთხოვდნენ, მოგვეხმარე ამა და ამ კაცის მოკვლაში... უარს თავის დღეში არ ეტყოდა... რამდენჯერ ყოფილა, რომ საკუთარი ხელით დაეჩხვინა ან მოეკლას ადამიანები!.. ეკლესიაში ქუდი რომ შეგვედოთ, გამოსატანად არ შევიდოდა; უხამსი სიტყვებით იხსენიებდა საეკლესიო საიდუმლოებათა, როგორც უმნიშვნელო რამეებს... ქალები ისე უყვარდა, როგორც ძალს ჯოხი, სამაგიეროდ მამათმავლობას ისე არც ერთი სხვა ნაძირალა ვინმე არ ეტანებოდა. რასმე რომ მოიპარავდა ან ვისმე რომ გაძარცვავდა, ისევე ჰქონდა სინდისი დამშვიდებული, როგორც ღვთისმოსოში კაცს მოწყალეების გაცემის დროს. საშინელი ღორმუცელა და მსმელი გახლდათ, იმ ზომამდე, რომ ხანდახან ცუდადაც კი ხდებოდა ხოლმე. ენოდა ყომარბაზობას და ყალბი კამათლებით სხვების მოტყუებას“. ასეთი გახლდათ ის არამზადა. და აი, ამ გაიძვერამ და თაღლითმა შეძლო ერთი პატიოსანი ბერისთვის ცრუ აღსარება ეთქვა, ზიარება მიეღო და თავი წმინდანად მოეჩვენებინა. სიკვდილის შემდეგ ის „მართალთა თანა შერაცხეს და ჩაპლეიტო უწოდეს“.

რა არის ამ ამბავში უცნაური? შეიძლება მსგავსი თაღლითი ადამიანი მართლაც არსებობდა რომელიღაც ეპოქაში, მთავარი ეს არაა, მთავარია როგორ შეხვდნენ პამფილოს მონათხრობს მსმენელები. მომდევნო თავში ბოკაჩო აღნიშნავს „პამფილოს ნაამბობზე დროდადრო ეცინებოდათ ქალებს და და ძალიან მოეწონათ“. ეს უკვე ავტორის პოზიციაა, ესაა პაროდია აღსარებაზე, ზიარებასა და წმინდანებზე. ამაზრზენი ქალების სიცილია, ნუთუ ასეთი რეაქცია უნდა ჰქონდეს „ზნედაცულ“ ადამიანებს მსგავსი ამბების მოსმენისას, ხომ არ არიან ის ქალები, დაცარიელებულ ეკლესიაში რომ შეიკრიბნენ, შვიდი არანმინდა სულის სიმბოლოები? ან ვინ ანებებს თავს „მამაო ჩვენს“ თქმას საშობაო წირვაზე? აი, კითხვები უნებლიედ რომ გვებადება...

პაროდის მსგავსი მოდელი აქვს აპრობირებული ჯეიმზ ჯოისსაც, იმდენად მსგავსი, რომ კაცმა ერთგვარ იდეურ პლაგიატზეც კი შეიძლება ისაუბროს. „ულისეს“ ხომ ზიარების საიდუმლო გამოარყვებით იწყება. სტივენი საკუთარ მომაკვდავ დედას, რომელიც ეზიარება, „გვამების მცოხნელისა“ და „ვამპირის“ ეპითეტებით ამკობს. მოგვიანებით კი „ლოტოფაგების“ ეპიზოდში აბაზანაში ჩანოლილ ბლუმს, ონანიზმს რომ ეწევა, ქრისტეს ადარებს; აბაზანას — საზიარებელ ბარძიმს; წყალს, ონანისტ ბლუმს თავზე რომ გადასდის, კი — საზიარებელ ღვინოს. რა უნდა იყოს ამაზე მკრეხელური?! ასეთ საშინელებებს თვით იტალიელ ლმერთან მებრძოლსაც კი არ მოუვიდოდა თავში, ბოკაჩო უფრო მსუბუქნოსიანი იყო, ჯოისმა კი ღვთის გამობაში თვით საკუთარ მასწავლებელსაც გადააჭარბა! უნებლიედ გვახსენდება ფოლკნერის სიტყვები: „ჯოისი ჩვენი დროის უდიდესი ადამიანი იყო, მაგრამ ღვთაებრივმა ცეცხლმა დაჰბუგა. ის და თომას მანი ჩვენი დროის უდიდესი ადამიანები იყვნენ. ჯოისი ალბათ უდიადესიც იქნებოდა, თუმცა ღვთაებრივმა ცეცხლმა დაწვა. მას ჰქონდა უფრო მეტი ნიჭიერება, ვიდრე ძალღონე ამ ნიჭის მოვლისა.“ (საუბარი ვირჯინიის კოლეჯის სტუდენტებთან, 1958 წლის 12 მაისი).

რას გულისხმობდა ფოლკნერი? ალბათ იმას, რომ ჯოისი ვერ გამოდგა ჭურჭლად ღვთაებრივი ცეცხლისთვის (ღვთაებრივი ცეცხლი ბიბლიაში სულიწმინდის სიმბოლოა). ის ლმერთს აუჯანყდა, რის გამოც სულიწმინდის ალში დაინვა...

რუსუდან რუსაძე
ფამუქთან
შეხვედრა
ახლა იწყება

დასასრული

ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ფამუქი ახალ რომანზე საუბრობს, „ჩემი უცნაურობები“ შემოდგომისთვის გამოიცემა. „კვლავ სტამბოლის ცხოვრებაზე ვწერ, ჩემი ახალი რომანი იოგურტის ქუჩის გამყიდველებზეა. მინდა, სტამბოლის ცხოვრება ღარიბი ადამიანების თვალთახედვით აღვწერო. ეს არ იქნება წმინდად სოციალური რომანი, არც მთლად სიურეალისტიკური, მაგრამ მაინც განსხვავებული, სადაც დრამა გმირების შინაგანი სამყაროს ფონზე იშლება.“

„გულწრფელად უნდა ვთქვა, წინა თაობის მწერლებისგან განსხვავებით, რომლებმაც შევიწროება და დევნა განიცადეს, მე იბლიანი და ბედნიერი მწერალი ვარ,“ — აღნიშნა ფამუქმა და არაერთგზის დასმული შეკითხვა, თქვენ თავად ხომ არ ხართ ქვემალ ბასმაჩი „უმანკოების მუზეუმიდან“, კიდევ უფრო გაამძაფრა. „მინდა, ყველამ იცოდეს, რომ უმთავრესი ცხოვრება გავიარე“ — ასე სრულდება ბედნიერი მწერლის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ბოლო რომანი. მიუხედავად იმისა, რომ ფამუქმა მწერლად თავის დამკვიდრებას 15 წელი მოანდომა, იმდგაცრეუბაზე არ საუბრობს. „დღივად ხნის წინ, როდესაც ჩემი პირველი რომანისთვის დიდხანს ვეძებდი გამომცემელს, ფარ-ხმალი არ დამიყრია. ვიცოდი, 40 წლის მერე თბილისში ჩემი რომანების გულანთებულ მკითხველებს შევხვდებოდი, რომლებიც ყურადღებით მოისმენდნენ.“ მოსმენილს განხილვა დიდხანს გაგრძელდა, სოციალურ ქსელში მწერალთან შეხვედრას ცხარე დისკუსია მოჰყვა, რა ენაზე უნდა წარმართულიყო შეხვედრა — ინგლისურად თუ თურქულად; ღირდა თუ არა ავტოგრაფისთვის რიგში ჩადგომა, რომელიც ავტორმა იმ საღამოს საერთოდ არ გასცა; დააკნინა თუ არა პოეზია ფამუქმა მკითხველებთან შეხვედრისას და სულაც უნდა გვემასპინძლა თუ არა ავტორისთვის, რომელიც რომანში „თოვლი“ ქართველ პერსონაჟებს წურბელებად, მრუშებად და წუნურაქებად იხსენიებს. უდავოა, ფამუქის ვიზიტმა მისი შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააღვივა. მიუხედავად იმისა, რომ ფამუქი საქართველოში ერთ-ერთი ბესოსელური ავტორია, მასთან შეხვედრა სწორედ ახლა იწყება.

P.S. სანამ რუსთაველის თეატრში მკითხველებთან შესახვედრად გამართებოდა, იმავე დღეს ორჰან ფამუქი მწერალთა სახლს ესტუმრა. ნობელიანტს მასპინძლობა სახლის დირექტორმა ნატა ლომოურმა გაუწია. მწერალმა დიდი ინტერესით დაათვალიერა დიმიტრი ერმაკოვის ფოტოალბომი, რომლითაც მის თვალწინ ამ სახლის საუკუნის წინანდელი ისტორია გაცოცხლდა, გაისერნა ბაღშიც და დაინტერესდა, როდის გაიხსნება სტუმრებისთვის რეზიდენცია და კაფე. ნასვლის წინ კი დასძინა: „ისე მომეწონა აქაურობა, ერთი სული მაქვს, რომ დავბრუნო, ასეთ მაგარ ადგილას ვიცხოვრო და კაფეში ყავა დავლიო“.



ფანტაზი

პისსაც ჩემი „როდოსიდან გაუგზავნენ-ლი წერილები“ წავიკითხავთ, გემახსოვრებათ, როგორ დავიმუქრე, მე ამ „დურაკოვოს“ („დურაკ“ რუსულად სულელს ნიშნავს) აქ დავუხვამ წერტილს-მეთქი, მაგრამ სადა ხარ?! ორი წელიც არ გასულა მას მერე და იმდენი „დურაკობები“ დამიგროვდა ახალი „დურაკოვოსთვის“, რომ ახლავე თუ არ მოვუხერხე რამე და არ მოვიცილე თავიდან, მერე გამოტოვების პრინციპით, პირდაპირ მეთქვსმეტე ან ოცდამეთქვსმეტე „დურაკოვოზე“ მომიწევს გადახტომა, აი, იმ ანეკდოტით, კაცმა სიბერეში რომ მოიყვანა ცოლი და პირდაპირ შვილიშვილების კეთებაზე გადავიდა.

მოკლედ, გადავიღვივარ „დურაკოვო 3“-ზე, რომელიც წინაზე უფრო ვრცელი, მხატვრულად დატვირთული, ჩახუჭუჭბული და შინაარსობრივად აბსურდული სიზმარი აღმოჩნდა.

მოკმედემა ხდება ერთ უშველებელ, მიტოვებულ ეკლესიაში, რომელსაც მიმდინარე გარემოებათა გამო, ფიგურალურადაც და ფაქტობრივადაც, ეშმაკები შეესივნენ. წამდელი ეშმაკები: კუდიანები, რქიანები, დრუნჩიანები და ჩლიქიანები. ზოგი წვრილფეხა, ზოგიც მსხვილფეხა, ზოგი ერთსქესიანი, ზოგი ორ და ზოგიც იმდენსქესიანი, რამდენიც ეშმაკი ბუდობდა იმ მიტოვებულ ეკლესიაში. ვერ ვიტყვი, უმრავლესობას წარმოადგენდნენ-მეთქი, რადგან ეკლესიას თავს რიცხოვნობად მათზე ბევრად მეტი, იმ ქვეყნის სხვადასხვა სოფლიდან დევნილი მოსახლეობაც აფარებდა. ესენი ძირითადად მოხუცები და ბავშვები იყვნენ. მოხუცებს არ ახსოვდათ თავიანთი ასაკი, ბავშვებს კი — როდის დაიბადნენ, სად არიან მათი მშობლები... მოკლედ, ამ მიტოვებულ ეკლესიაში არ ცხოვრობდა საშუალო თაობა. ე.ი. ტაძრის ბინადართ შეადგენდნენ ეშმაკები (შემდგომ მოვიხსენიებთ, როგორც „ქაჯები“), ლტოლვილები და ნაბიჭვრები.

ტაძრის სამეტყველო ენაც მოცემული კასტების შესაბამისად კატეგორიულად იყოფოდა: სამოხუცო ენა — თავანკარა, ლიტერატურული, რომელიც აღარავის ახსოვს და ესმის; ნაბიჭვრული — „ჩემი დედას შევეცის“ ზოგადი ლექსიკის პრინციპებზე განვითარებული, დაბოლოს, ქაჯთა ენა — განვითარებადი დემოკრატიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საბაზრო ეკონომიკის სტილური ნაზავი, ახალი „საისტაბლიზმენტო“ ენა, რომელიც მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი სექტორების წარმომადგენლებს ესმით. ძირითად მასასთან ეს კასტა „მედიან-ტორების“ საშუალებით (სპეციალურად გამოიწვინილი და დაპროგრამებული აქტივისტები) ამყარებდა კონტაქტს. სასურველ რაოდენობას რომ მიიღნიეს, საერთოდ განყვიტეს კონტაქტი მასასთან და შეიქმნა ტაძარში კიდევ ერთი კასტა თავისი ენითა და ბელადებით, „უქმაყოფილო ჩარეცხილთა“ კასტა, რომლის ენა იმთავითვე მკვდარ ენათა ჯგუფს მიაკუთვნეს და, შესაბამისად, დაივიწყეს კიდევ ამ ენისა და მისი მომხმარებლების არსებობა. ჩვენც ძალაუზნებურად ასე მოვიქცევით.

კარგია, რომ ყველა დურაკოვო ჩემი მორიგი სიზმარია და, რომ მთელი ეს ჩემი დურაკული ფიქრები იმ 1,4 კილოგრამიანი ტვინიდან მოდის, რომელსაც საუკუნეებია იკვლევენ და ვერ გამოუკვლევიათ. ახლა თვითონ თუ არ მივაგენი, სად მოიყრის თავს ჩემი იმპულსები, ტვინის ქერქის რომელ მონაკვეთში, როდის გაააქტიურებენ, სად, როდის, და როგორ ამოტივტივდებიან ქვეცნობიერში და შემეცნების რომელ სრეებში გაიფანტებიან... მოკლედ, ეს თუ ვერ გავარკვევ, ვეღარასოდეს გამოვივლივებ და სულ ამ დურაკოვოში ჩავრჩები, და არამარტო მე!

ტაძარმდე მისასვლელი ნაბიჯი პირველი: ზღართან ერთ ბნელ დერეფანში მოვადინე. კიდევ კარგი, მახსოვს, რომ „დურაკოვოში“ ვარ და არა საიქიოსკენ მიმავალ ბნელ დერეფანში, მითუმეტეს, რომ მის ბოლოში სინათლის ნიშანიც კი არა ჩანს. სამაგიეროდ, მოჩანს ორი მწვანე თვალის და მისი ღრმა, ხშირი სუნთქვა. ეს იყო უხორცო და უსხეულო უხილაე „ხო“. ხო ვინ არის? რა ვიცი, ამას ახლა თქვენთან ერთად გავარკვევ.

— „ხო“ სახელია? — ვეკითხები მწვანე თვალებს.
— დიახ, — მპასუხობს ჩვეულებრივი ხმა, ოღონდ ვერ ვარჩევ ქალისა თუ კაცის.
— ბრუნვადია?
— ბრუნვადიც და უღლებადიც, თან არც ერთ ენაზე არ ითარგმნება, შესატყვისი არ აქვს, ძირძველი ქართული განზომილებაა.
— ძირძველი? განზომილება?
— დიახ, და ფენომენი კიდევ!
— ქართული?
— ხო!
— ესე იგი, „ხო“ არის ქართული და ძირძველი? — ჩავეკითხე.
— ხო, რა არის ამაში გაუგებარი, ძირძველი! — ირონია ეპარება ხმაში.
— კარგია, მომწონს, ე.ი. „ძირძველი“.

მაგალითად კინტო — „ძირძველი ქალაქელი“, ორთაქალის ბაღის რეაბილიტირებული „მეტრაკე“ ხელში ღვინის თასით და ნითელი ცხვირსახოცით.

— ბოლომდე გამოგაქლიავათ ამ ფეისბუქმა, ეგ ყველაფერი იქ მაქვს ნაკითხული, — ირონიაში შეცოდების ინ-

მანანა ღუმბაძე

კიდობნიდან რუსთაველამდე



ტონაცია შეიჭრა. ტვინის ქერქი ამუშავდა.

— პატარა ბიჭი დამეკარგა და ადანი-დალი დანდალი? ელჯიბიტი ხარ?

— მე „ხო“ ვარ, ელჯიბიტი ისაა, ტაბურეტით თავი რომ გაუტეხეთ, ისიც აქ არის ამ დერეფანში, ყველა აქ მოდის ბოლოს, ვინც „ძირძველია“!

— კაი კაცო, არ მითხრა ახლა, რომ ელჯიბიტი ძირძველია.

— არა, ბიჭო, მარტო თქვენ ხართ ქართველები. ის არის თუ არის ძირძველი. სად იყავით თქვენ, ელჯიბიტი ადანიდალი რომ ცეკვავდა და ნითელიპერანგას დაეძებდა. აი, იმ დროიდან, ბნელი რომ იყო ხალხი! ახლა ტაბურეტებით დასდევენ, სასაცილოა...

— მე არ დავდევი, ისიც მეყოფა ამ კორიდორში რომ ვარ გაჩხერილი და გზას ვერ ვაგნებ.

— იმიტომ რომ შენ ხარ „ჰეტერა“, — იცინის ხმა.

— ვინ არის ჰეტერა, მე სხვა სახელი მქვია!

— სანამ აქ მოვიდოდი, არც მე მერქვა „ხო“.

— არ მითხრა ახლა, რომ ჰეტერაც ძირძველი და ქართულიაო.

— ამას სხვა დერეფანში გაგირკვევენ, მე პირველივე სკანირებით გეუნებები, რომ მთელი ფიზიკით, ქიმიით, ბიოლოგიით და რეცეპტორებით ხარ „ჰეტერა“, ჰეტეროთა ჯგუფის გენების გროვა, მათი მოდემის ტიპური შთამომავალი. დაიმახსოვრე და ტვინში შეუშვი, რომ ამ კორიდორიდან იმ სადგურში მოხვდე, საიდანაც შენი მატარებელი გადის.

— ვერ ვიტან მატარებელს, — მოვიტყუე მე. ხმა აღარ ისმოდა, მწვანე თვალე-ბი ჩაქრა, ხელების ცეცებით წინ მოვიდოდი...

— სად ხარ? აუ... ხმა გამეცით ვინმემ... მიშველეთ... — დდმ...დდმ...დდმ... ამუშავდა ტვინი... ახლა იქნება წიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

კუპეში ჩემ წინ ზის დებორა. ერთ დროს

ერთად ვმუშაობდით, ჩემ წინ იჯდა, ზუსტად ასე, ახლა რომ ზის. მაგიდაზე სულ ბორჯომის ბოთლი ედო. გეგონებოდა, ეს ბოთლი იქ მაგიდაში იყო ჩარგული და დებორა მას ყოველ დილას ბორჯომით ავსებდა. დებორას ნითელი ცხვირი და ლოყები ჰქონდა, მრგვალი სახე და სწორი, დაუვარცხნელი, ქერა თმა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რომელიცა ორგანიზაციის ბორდის თავმჯდომარე იყო, უკრაინაში ჰქონდა რალაც ბიზნესი, მაგრამ თბილისში ამჯობინებდა ცხოვრებას და ბინას ქალაქის ცენტრში ქირაობდა. გიჟდებოდა დალევაზე და საქართველოს ახალ დემოკრატიულ მთავრობაზე. იმდენად უყვარდა, რომ შეიძულა მისი მოძულე დანარჩენი საქართველო თავისი შეზღუდული და ნაკლებ-შეზღუდული საზოგადოებით.

ერთხელ, ერთი საქველმოქმედო კონცერტის „ჩემ აუქციონზე“, რომელიც საქართველოს მიუსაფარ ბავშვთა დასახმარებლად გაიმართა, დებორამ გასაყიდად გამოტანილ ფერწერულ ტილოს ანკეტაში თავისი სახელი და თანხა 250 დოლარი ჩაწერა. აუქციონი ისე დამ-

ნილოსი... ნიშების თავზე სავარაუდოდ მსოფლიო მდინარეების სახელები იყო ამოტვიფრული. დდმ...დდმ...დდმ... მუშაობს ტვინი... ახლა იქნება წიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

ნაბიჯი მეორე: ...ვაგონი ერთი ნიშის წინ ჩერდება. ნიშას ზუსტად ისეთი მწვანე კარი აქვს, როგორიც ჩემი საკუთარ ბინას ფალიაშვილის 33-ში და, შესაბამისად, ზედ არაფერი აწერია, კარის თავზეც ზუსტად ჩემი ბინასავით, გისოსებში ჩასმული რკინის ნათურაა დამაგრებული. ნათურა აინთო და მის ქვეშ ლათინური მთავრული ასოებით დანერილი KURA ამოვიკითხე. ეტყობა ეს არის ჩემი სადგური, ჩემი „დურაკოვოს“ გაგრძელება. ვაგონიდან ფრთხილად ჩამოვდივარ და ვიდრე მწვანე კარზე დავაკაკუნებ, ვაგონი ადგილიდან წყდება და მიქრის... ასე რომ, იმის თქმა — „მატარებელი დგას როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა“ — დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მოვახერხებ.

— KURA, KURA, გაილე! KURA, KURA, გაილე! — ბავშვობიდან გამახსენდა, რომ ასე უნდა ვთქვა. მაგრამ ის არ იყო „სიმ-სიმ“ და მე არ ვიყავი ალიბაბა, არც ყაჩაღი. ეს ჩემი კარი იყო და „კურა“ ჩემი მდინარე, — KURA, KURA, გაილე! გახსენს ჭიშკარი და გაიხსნა ჭიშკარი და...

— ეს ტაძარია?

— არა, ეს არის კიდობანი, — მეუბნება ვარსკვლავიჭუნასავით ოქროსთმიანი და ბრინჯაოსფერბეჭებიანი ნახევრად-შიშველი, თეთრ სუდარაში გახვეული ცისფერთვალეა ყმაწვილი. ასეთი იყო ალბათ გარეგნობით რუსთაველის ავთანდილი, ანდა, რა ვიცი, ეგებ იმას შავი წვერულვაში ჰქონდა, მოკლედ, არ ვიცი ვინაა...

— ეს არის ჩემი ჭიშკარი და ჩემი სახელი!

— შენი არა... ვანოსი და ანოსი... კიდობანია ეს!

— და შენ ვინა ხარ?

— მე ნოე.

— ნოე?

— ჰო, ნოე, რა იყო, არ გაგიგია?

— არა.

— სად დაიბადე, ნოე რომ არ გაგიგია?

— საბჭოთა კავშირში.

— ეს რაღაა?

— საბჭოთა კავშირი არ გაგიგია?

— არა.

— ეს ის ქვეყანაა, სადაც არ გაუგიათ ნოე! შენ გაგიგია მარქსი, ლენინი, სტალინი, ბერია, ჰიტლერი?..

— ვინა, ვინა?

— ვინა და ვინც გაიგე, ულიანოვი, ჯულაშვილი, ეს გვარები გაგიგია?

— გვარები რა არის?

— გვარი სახელის დამატებაა.

— რად უნდა სახელს დამატება? აი, აბრაამს, სარას დამატება არა აქვს, არც ნოეს. ნოე ნოეა და მორჩა.

— რას ამბობ, ზოგ ქვეყნებში სახელებს ოთხი ხუთი დამატება აქვს მაგალითად: ანა-მარია, მერი ელენი, ეს ყველაზე მარტივები, ეს კი — მარტინა-მინტეგებილიბა-ორვეარე ონანუა!

— აუ, ის ბოლო რა ლამაზად ჟღერს!

— აბა, რა გეგონა, ნოე... რა არის ნოე? ორასოიანი პრიმიტივი! აღარ შემომიშვებ შენს კიდობანში?

— მოზრძანდით და მოშიანურდით. შევაბიჯე კიდობანში და კიდევ ერთხელ შევუტიე ნოეს:

— ამას ჩემს ქვეყანაში ეკლესიას ეძახიან. მართალია, დაუმთავრებელია, მაგრამ ეკლესიაა. ლამაზ გუმბათსაც თუ დაადგამ, დიდებულნი ტაძარი გამოვივა.

— აქ კიდობანი ჰქვია, ბაბუაჩემის ბაბუის ბაბუას და იმის დიდი ბაბუის ბაბუას აუშენებია კიდობანი. არავის ახსოვს, როგორი იყო, როგორ აშენებდა, რით აშენებდა. ახლა მე ვაშენებ, გუმბათი, ისტორიული მესხიერება მესმარება, თორემ არც ნახაზი მაქვს, არც ფოტო და არც გამოცხადება. გუმბათი თავად დავაპროექტე და აქ ამის გამო ისეთი ამბავია ამტყდარი, ლამის რაც ვაშენე, ისიც თავზე დამამბონ.

— რა ამბობ, შესანიშნავი ტაძარია, აქ სიამოვნებით ვიცხოვრებდი.

— იცხოვრე, ვინ გიშლის. აი, სიამოვნების რა მოგახსენო, ისე არია მონასტერი, სიმშვიდე და სიამტკბილობა რა ხილია და რით იჭმევა, აღარავის ახსოვს. თან აქ დიდხანს ვერავინ ჩერდება ქაჯების გარდა. შენი ხნის ხალხი საშოვარზეა

დილოგი დედასთან

სანამ იტყოდა პირველ სიტყვას, უკვე ხატავდა. მერე, ენა რომ ამოიღდა, ისწავლა წერაც. მაინც ხატავდა და არ წერდა, რადგანაც ასე ადვილი იყო დიალოგი დედასთან, ვისაც არ იცნობდა და ნატრობდა და ელოდებოდა.

დედა ცრემლებით პასუხობდა, ან — მოთმინებით. დედა სიტყვებს ვერ პოულობდა, ვერაფერს წერდა. და რადგან ხატვა არც არასდროს ეხერხებოდა, შეიღს უგზავნიდა წვერნამახულ სახატავ ფანქრებს.

სამაგიეროდ, დედამ ბევრი სხვა რამ იცოდა — სახლის ლაგება, ჭურჭლის რეცხვა, იავნანა და ზოგჯერ — ღიმილიც.

ოღონდ ეს იყო — დედა სადღაც, სხვაგან ცხოვრობდა, სხვას ულაგებდა, უმზადებდა საჭმელს და ალბათ სხვას უმღეროდა — იშვიათად, მაგრამ გულწრფელად.

დედას დაღლილი მკლავები კი ამანათებდა, იაფფასიან ტანსაცმელად და თბილ წვნიანებად, გადსახადის გრძელ ქვითრებად უბრუნდებოდა. უბრუნდებოდა ინტერნეტით გაგონილ ხმად და იმ ფოტოებზე, სადაც დედა ვერ იცინოდა, ხშირად მოსმენილ, არაფრისმთქმელ ცარიელ ფრაზად —

ქეთი ნიჟარაძე

რომ დედა მალე ჩამოვა და არასდროს წავა. და შეიძულა, დაივიწყა ეს სიტყვა — „მალე“. დედა კი — ვერა.

და დიდხანს, დედის ჩამოსვლამდე არაფერს წერდა — მხოლოდ ხატავდა, რადგან ასე უფრო ადვილად გამოსდიოდა დიალოგი დედასთან, ვისაც ჯერ არ იცნობდა, ნატრობდა და ელოდებოდა.

ზრანაძი

მე მივეჩვიე ზამთარივით დამდგარ სიჩუმეს. ეს შენ მასწავლე სახელების გარეშე ყოფა.

და ახლა ვდგავართ გამოგონილ სივრცეებს მიღმა, გვერდიგვერდ, მაგრამ მაინც შორს და, როგორც ტყუპები, ჩვენც ერთმანეთში მხოლოდ წარსულ დღეებს დავეძებთ. შენ — ჩემს ბავშვობას. მე კი უფრო — უცნაურ დღეებს, როცა ყველაფერს გიმხელდი და როცა გიყვარდი. როცა მხედავდი ზუსტად ისეთს, როგორც ვარ და წრეებს უფროდ მაინც ჩემთან მოსასვლელ ქუჩებს. როდესაც ალბათ ჩემს მოძებნას უფრო ცდილობდი, ვიდრე ნახვას და პირისპირ მდგარს, გინდოდა გეთქვა, რომ ახლა უცებ ნახვალ სადღაც და დაბრუნდები.



და შენ ყოველთვის ბრუნდებოდი. ეს იყო ადრე.

ასე ხდებოდა — მე შენს მხრებზე ვაყრდნობდი ცოდვებს, სულ მისხალ-მისხალ გიყოფდი და ვერც კი ვხვდებოდი, როგორ გიმძიმდა. ვერ შეძელი მათი ტარება.

და ის დღეები მისხლტებოდნენ უცებ ხელიდან ფერად-ფერადი ფრანებივით, რომლებიც იქნებ არც ჰგვანან ფრანებს — ალბათ, უფრო ერთმანეთს ჰგვანან, როდესაც ასე, უნებურად ჩვენგან მიდიან.

მე მივეჩვიე ზამთარივით დამდგარ სიჩუმეს. შენ რომ ყოველთვის ბრუნდებოდი — ეს იყო ადრე.

იმე ფეხბურთის გუნდი შეიკრიბა. ამ საქმისთვის ლადოს გადასცეს ეკლესიასთან არსებული უთანამედროვე სპორტული დარბაზი თავისი შიდა და გარე მოედნებით, ტრენაჟორებით, გასახდლებითა და საშხაპეებით. ასრულდა ლადოს ოცნება — თავადაც შეინარჩუნოს ჯანმრთელობა და მსოფლიოც გააჯანსაღოს. თვეც კი არ იყო გასული, რომ ქალაქში მას სახეზე ცნობდნენ, მოკრძალებით ესალმებოდნენ, წვეულებებზე პატიუბდნენ და სამადლობელ (ზოგჯერ სამადლობელ-სასიყვარულოსაც) წერ-იღებს წერდნენ.

ჩვენი საქართველოში გამომგზავრების დრო რომ მოვიდა, მონაფეხებმა და იმათმა მშობლებმა ყვაილებით და პლაკატებით მორთულ დარბაზში ლადოს გამოსამშვიდობებელი „ფართი“ (წვეულება) მოუწყვეს ოფიციალური ნაწილით, ფურშეტითა და მეგობრული თამაშებით. ოფიციალური ნაწილის დროს ერთმა მომხსენებელმა მშობელმა ლადოს კითხა, ამდენ ხანს ჩვენ შევიღებს უფასოდ რომ ამეცადინებდით, რა გრჯიდათო? აქვე გამოგიტყდებით, რომ ლადო ერთობ არტისტული ადამიანია, მან თვალები ჭერს მიაპყრო, სულის შემკვრელი პაუზა დაიჭირა და ქართულად წარმოთქვა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!“ მერე იგივე დამტვრეული, მაგრამ სავსებით გასაგები ინგლისურით სიტყვასიტყვით თარგმნა: „ვოტ იუ გივ იზ იორზ, ვოტ იუ დონტ გივ იზ ლოსტ!“ ამჯერად სულის შემკვრელი პაუზა დარბაზმა დაიჭირა. მერე ერთდროულად იქუხა ტაშმა და შეძახილებმა „კოუჩი!“, „კოუჩი!“ (მწვრთნელი!) მერე ყველამ ერთად კოკა-კოლით (ბაპტისტები ალკოჰოლურ სასმელებს არ სვამენ) დაავლიეთ ლადოს და ქველმოქმედების სადღეგრძელო.

სალამოს ჩვენთან კარზე ზარი დაირეკა. ლადომ გაადლო. ზღურბლზე საშუალო სიმაღლის კაცი და ორი ბიჭი იდგა. ბიჭებს ხელში პატარა ცისფერი დროშები ეკავათ, კაცს — რაღაც დახვეული, გრძელი რულონი. მივხვდი, ლადოს სპორტული ჯგუფიდან იყვნენ. ლადომ ისინი ბიბლიოთეკაში შეიყვანა. მე სამზარეულოში გავედი. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა და მითხრა, მიშველე, მთარგმნელი მჭირდებაო. გავყვი და რას ვხედავ: კაცს იატაკზე მსოფლიო რუკა გაუშლია, ორივე ხელი გულზე უწყვიდა.

— მე მქვია ელია, ესენი ჩემი შვილები არიან ადამი და ჯოშუა. მითხარით, სად არის თქვენი ქვეყანა? — მკითხა კაცმა.

— ამას აინტერესებს, სად არის საქართველო, — ვუთარგმნი ლადოს.



ლადო რუკაზე ჯდება და აჩვენებს. ის კაციც ჯდება რუკაზე.

— დროშები მომეციო! — მიმართავს თავის ბიჭებს. ისინი დროშებს აძლევენ. კაცი საქართველოს თავსა და ბოლოში დროშებს ამაგრებს (ეჰ, მაშინ ჯერ კიდევ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ვიყავით). მუხლებზე დგება, თვალებს ხუჭავს, თავს ხრის და ლოცვას იწყებს.

— რას აკეთებს? — მეკითხება ათეისტი ლადო.

— რას და ლოცულობს, გვერდით მიუჯექი, თორემ ეწყინება, — ვეუბნები. ლადოც უსიტყვოდ მემორჩილება და მის გვერდით მუხლებზე დგება. კაცს თვალ-იდან ლაპალუპით სდის ცრემლები. ბავშვებიც რუკაზე სხედან და ლოცულობენ. მოკლედ ჩემს გარდა ოთახში ყველა იმ მსოფლიო რუკაზე მუხლმოყრით ზის და ტირის. კაცმა ლოცვა დაამთავრა. ლადომ შვეებით ამოისუნთქა და სტუმარი მოკრძალებით წამოაყენა.

— დიდი მადლობა, დიდი მადლობა! — იძახდა კაცი.

— რა ხდება? — ველარ მოვითმინე და შეძლებისდაგვარად ზრდილობიანად ვიკითხე მე.

— ალბათ, ახლა გვეტყვის, რა ხდება, — ნაილულულა ლადომ.

— თქვენ თქვით, რომ რასაც სხვას მისცემ, შენია, რასაც არ მისცემ, დაკარგულიაო, ასე არ არის? — ეკითხება თვალეზანითლებული ელია ლადოს.

— დიახ, ვთქვი... — არ იუარა ლადომ.

— მე მაინტერესებდა დედამინის რომელ კუთხეში ცხოვრობს ადამიანი, რომელიც ასე აზროვნებს და მინდოდა, მელოცა ამ ადგილის სინმინდისთვის, — მოგივო კაცმა. მე სახეზე ხელები ავიფარე, ლადომ მერევე ამოისუნთქა შვეებით.

— ეს მე არ მითქვამს, შოთა რუსთაველმა თქვა მეთორმეტე საუკუნეში, — თავის მართლება დაიწყო ლადომ.

— შოთა? შოთა თქვენი ღმერთია?

— არა, ჩვენი ღმერთი იესოა, თქვენსავეთ.

— აბა, მოციქულია? რომ არ გამიგია? ინტერნეტში უნდა მოვძებნო, დღესვე.

— შოთა რუსთაველი დიდი ქართველი პოეტია, ქართველებისთვის მოციქულზე მეტიცაა, — აუხსნა ლადომ თავისი ინგლისურით.

— რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს, ეს მცნება მხოლოდ ღმერთის სიტყვა შეიძლება იყოს! — თქვა კაცმა.

— ჰო, ქართველების ღმერთია! — ლადოს მობეზრდა იმის მტკიცება, რომ ქართველების ღმერთი იესოა.

— სწორედ ამის გაგება მინდოდა, — ტაში შემოკრა კაცმა, — შეიძლება, კიდევ ვილოცო?

ლადომ მე გადმომხედა, მე გვერდზე გავიხედე.

— რა თქმა უნდა, რამდენიც გენებოთ, — ნება დართო.

— თქვენ არ ხართ ვალდებული, — თქვა ელიამ და კვლავ მუხლი მოიყარა იმ ადგილას, სადაც შოთას სამშობლო ეგულეობდა. მერე ყველაფერი დაიწყო თავიდან. კაცი ლოცულობდა და თვალებიდან ცრემლები ცვიოდა. მისი ბიჭებიც მამასთან ერთად ლოცულობდნენ. ლადო ზრდილობის გულისთვის იქვე იჯდა თავდახრილი და ხმას არ იღებდა. კაცი ბუტბუტებდა, მე გულში სითბო მეღვრებოდა და ცოტა არ იყოს მრცხვენოდა, რომ ჩემი სამშობლოსათვის მათთან ერთად არ ვლოცულობდი. საქართველო რუკაზე ცრემლებმა დაფარა.

როცა ყველაფერი მორჩა, ჯოშუა და ადამი ლადოს მუხლებზე მოეხვივნენ. ელიამ გულში ჩაიკრა. მერე ცრემლებით დამბალი რუკა დაახვია და ისიც გულზე მიიხუტა. მე თავი დამიხარა და ბიბლიოთეკიდან გავიდა. ლადო უკან გაყვა. როცა დაბრუნდა, მესამედ ამოისუნთქა, ახლა უკვე დიდი შვეებით.

ერთ მსოფლიო რუკაზე საქართველო დღეს ყველაზე სველი წერტილია, ქართველების რელიგია — შოთა რუსთაველი, ღმერთი — შოთა. რუსთაველობა საქართველომ მეთორმეტე საუკუნეში მიიღო. ჯოშუას და ადამის მამა ახლა აქ, ჩემს თვალწინ რუსთაველად მოექცა და დღეიდან შოთაზე ილოცებს. ეს მოხდა 1994 წლის 24 ივნისს: მისისიპის შტატის ქალაქ ოქსფორდის მუხების ხეივანის ქუჩაზე მდებარე სახლის ბიბლიოთეკაში საფუძველი ჩაეყარა ახალ რელიგიას და მისი მოციქულები 6 წლის ჯოშუა, 3 წლის ადამი და მათი 33 წლის მამა — ელია არიან. იმედა, ამის გამო მათ ჯვარზე არავინ გააკრავს!..

ლიტერატორი

ლელა კოდალაშვილი

ლელა კოდალაშვილი მწერალი და ლიტერატორია. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის, შემდეგ კი ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. წლებია, ინტენსიურად აქვეყნებს კრიტიკულ ნერილებს სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემაში, მისი სადებიუტო პროზაული კრებული „არა, ვამბობ მე“ 2011 წელს გამოცემილია „ავორამ“ გამოსცა, ხოლო პიესების კრებულის, „ცოლები გეგმავენ ლალატს“, პრეზენტაცია სულ ახლახან გაიმართა მწერალთა სახლში. „ლიტერატურული გაზეთი“, ამჟერად, მას, როგორც ლიტერატორს, წარმოგიდგენთ.

ლელასთან შეხვედრა მაშინ შედგა, როცა ნობელიანტი ორჰან ფამუქი სტუმრობდა თბილისს. მწერალთა სახლში რომ ვისხედით და ვსაუბრობდით, იმ დროს თურქი მწერალი რუსთაველის თეატრში საზოგადოებას ხვდებოდა. პირველი შეკითხვა სწორედ იმ სტუმრობას დაუკავშირდა.

— მიუხედავად იმისა, რომ ფამუქის შემოქმედების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, და ეს ბუნებრივიცაა, ნობელიანტი ავტორის ჩამოსვლა თავისთავად მოვლენად მიმაჩნია. თქვენი აზრით, რა სარგებელი შეიძლება მიიღოს მასთან შეხვედრიდან ქართველმა მწერალმა, რა გამოცდილებით შეიძლება დაბრუნდეს შინ? ფამუქი მსოფლიოში ცნობილი ავტორია, მისი სტამბოლური, თურქული ისტორიები თურქეთის საზღვრებს დიდი ხანია გასცდა და უცხოელი მკითხველი მისი სამშობლოს წარსულით და დღევანდელი დღით დაინტერესა.

— რაკი საქართველოში ასეთი რანგის მწერალი ათწლეულებში ერთხელ ჩამოდის („რანგში“ ტიტულს ვგულისხმობ), კულტურული თვალსაზრისით, მისი სტუმრობა მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ წინა კითხვა ბოლო ათწლეულში მოდად იქცა, ლიტერატურას ფართო პოპულარობა მაინც არა აქვს. ეს ყველა ქვეყანაში ასეა, თუმცა ჩვენთან, მგონია, რომ წინა მიმართ ინტერესი უფრო ნაკლებია. გარკვეულწილად ამას ინტერნეტსამყაროს მოძვლავრებაც განაპირობებს. ეს ბანალური მიზეზია, ამაზე ბევრს საუბრობენ და მე აღარ შევჩერდები. ნობელიანტი მწერლის მასშტაბურმა რეკლამირებამ არალიტერატურულ წრეებზეც მოახდინა გავლენა. როგორც ამბობენ, დღეს სამოქალაქო ტრანსპორტში მგზავრებს ფამუქის წიგნები ჰქონდათ გადაშლილი და კითხულობდნენ. ჩვენს საზოგადოებას ახასიათებს ერთგვარი სნობიზმი. როცა პრესასა და ტელევიზიაში ამა თუ იმ ადამიანზე ინტენსიურად საუბრობენ, ჩვენც ვინტერესდებით.


არ მომწონს ერთი რამ, სოციალურ ქსელებში თვალი გადავავლე სხვადასხვა გამოცემელთან, ცალკეულ პიროვნებასთან გადაღებულ ფამუქის ფოტოებს და შემექმნა შთაბეჭდილება, თითქოს შეგუებული ვართ აზრს, რომ წარმოვადგენთ ძალიან დაბალი კლასის ერს და ჩვენთვის, მაღალმხატვრული ლიტერატურის გადმოსახედიდან თუ შევხედავთ, ისეთი საშუალო დონის მწერლის ჩამოსვლაც კი, როგორც ფამუქია, ლამის მითიური არსების ჩამოსვლასთან არის გაიგივებული. ცხადია, ზრდილობა უნდა გვქონდეს და გახარებულებიც უნდა ვიყოთ სტუმრის მიღებით, მაგრამ არა ისე, მოწინებით რომ შევყურებთ უცხოელს, თითქოს ეს პატარა ქვეყნის შვილები დიდად გაგვაბედნიერა იმით, რომ პატივი დაგვდო და გვეწვია. ამგვარი დამოკიდებულება მაღიზიანებს. დანარჩენი ყველაფერი მისასაღმებელია, რაც მეტი ცნობილი მწერალი ჩამოვა საქართველოში, მით უკეთესი.

— მოდას აყოლები მკითხველი ახსენეთ. თქვენს ერთ-ერთ კრიტიკულ ნერილში სწორედ ამაზე ამახვილებთ ყურადღებას, წერთ, რაც უფრო პოპულარული ხდება ლიტერატურა, მისით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვი იზრდება და მწერალთა რაოდენობაც საეჭვოდ მატულობს, მით უფრო აქტიუალური ხდება ხარისხის ახალი შტრიხების ძებნა და ამავე დროს, ძველი ფასეულობების სწორი დოზით შენარჩუნება. უფრო კონკრეტულად რას გულისხმობდით?

— ყველა ქვეყანაში არის კარგი და ცუდი მკითხველი, რომელსაც წინაიერებასთან შეხება ნაკლებად აქვს და მასკულტურის ნიმუშებით კმაყოფილდება. ჩვენთან ასე ხდება, როდესაც მასა ინტერესდება ლიტერატურით, იმის მაგივრად, რომ მწერალმა ის თავისი შემოქმედებით გაზარდოს, მისი ლიტერატურული გემოვნება დახვეწოს, თავად ეშვება მასის დონეზე და ამით ცდილობს ყურადღების მიპყრობას.

ახლა არ დავასახელებ, მაგრამ ჩვენი თაობის სამ-ოთხ მწერალს მსგავსი რამ უთქვამს ჩემთვის: „ეს რომანი იმიტომ დავწერე, რომ მეტი მკითხველი ამეკრიფა“, ან „ვიცოდი, დაბალი დონის ჟიური იქნებოდა და შესაბამისი მოთხოვნა წარვადგინე“. როცა მწერალი ასეთ კომპრომისზე მიდის, როცა გაცნობიერებულად ირჩევს უკუსვლის გზას, იქ ვერც საზოგადოება ვითარდება და ვერც ლიტერატურა. ამიტომაცაა, რომ ძირითადად ერთ ადგილს ვტკეპნით.

— ლიტერატორები კრიტიკულ ნერილებს წერენ, აქვეყნებენ. მათი პროფე-



სიული მოვალეობაა, იკითხონ მხატვრული ტექსტები და შეაფასონ. მაგრამ, ალბათ სხვაა, როცა მწერალი წერს კრიტიკულ ნერილებს და კოლეგების შემოქმედებას განიხილავს. როგორ იღებენ კრიტიკას თქვენგან?

— მე რომ რომელიმე რედაქციაში ლიტერატორის ვაკანსია მევაკოს, მაშინ ნერილებს წერა ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა იქნებოდა. ახლა კი, უბრალოდ, კეთილი ნებაა თუ რომელიმე ნაწარმოები მომეწონა, ან მივიჩნიე, რომ მწერალი უყურადღებობით დაიჩაგრა, და თუ სათქმელიც გამიჩნდა, ასეთ შემთხვევაში აზრის გამოთქმის და სხვებისთვის გაზიარების სურვილი მიჩნდება. გარდა ამისა, მანუხებს, რომ ჩვენთან ლიტერატურული კრიტიკის ნაკლებობაა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა წუნუნებს კრიტიკა არ არის, კრიტიკული ნერილის გამოქვეყნება, კონსტრუქციული, საქმიანი კრიტიკის შეთავაზება, გამოწველივით განხილვა ნაწარმოებისა, უმრავლესობას სწყინს. განწყენებულები კი შემდეგ, ცხადია, ნერილის ავტორზე იყრიან ხოლმე ჯავრს, აბა, შენ თვითონ რის მაქნისი ხარო. მსგავსი გამოცდილება არის. ანუ როცა კრიტიკას წერ და ვილაცას გაბრაზებულს ტოვებ, ბუნებრივია, თავდასხმას ელოდო. თუმცა წინაის კითხვა ყველას იმდენად ეზარება, განაწყენებულებიც კი არ ირჯებიან, რომ შენს ნაწარმოებებს გაეცნონ, რათა სერიოზული, არგუმენტირებული კრიტიკით გიპასუხონ. მათი „პასუხი“ ყოველთვის ძალიან ზედაპირულია ხოლმე და ის სათარების განხილვისა და პიროვნული დაპირისპირების დონეს ვერ ცდებდა. მე ყველგან ვამბობ, ჩვენთან საღი კრიტიკა ვერ განვითარდება ერთადერთი სერიოზული მიზეზის გამო: ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება დაახლოებით ასორმოცდაათკაციანია, თითქმის ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს, დაყოფილი ვართ ჯგუფებად, სამეგობრო წრეებად. შესაბამისად, გაგვანჩია გარკვეული პირადი პასუხისმგებლობა და ანგარიშს ვუნვეთ მეგობრობას, ანგარიშს ვუნვეთ ერთმანეთს. ამის გამო ნაწარმოებების ლიტერატურული დახასიათება კი არა, ადამიანების შეფასება ხდება. ხარვეზებზე საუბარი კი

პიროვნულ შეურაცხყოფად აღიქმება. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, ესა და ეს პოეტი კარგი ბიჭია და რატომ განირეო. ანუ ლექსის კრიტიკა ჩვენთან ადამიანის განირვის ტოლფასია.

— ძალიან მკაცრი გამოხმაურებები გქონიათ „წეროს“ კონკურსანტების ნაწარმოებებზე.

— მოგესხენებათ, „წეროს“ ლიტერატურული კონკურსია, წელს ის პროზაში გაიმართა. ლიტერატორთა ერთი წრე, შეიძლება ითქვას, „ლიტერატურული ფორუმიდან“ მოვდივართ. იყო ასეთი საიტი lit.ge, სადაც ცოცხალი კრიტიკა იყო დამკვიდრებული. მეც, ბუნებრივია, ჩართული ვიყავი იმ პოლემიკაში. „ცოცხალში“ იმას ვგულისხმობ, რომ ავტორს „პირისპირ“ ვესაუბრებოდი. ოღონდ, ის არ იყო ვრცელი და დასაბუთებული მსჯელობის „ადგილი“, საუბარი მოკლე ფრაზებით მიდიოდა, ხშირად — მკვეთრი და უხეში რეპლიკებით, ევფემიზმების გარეშე. იქიდან შეიქმნა ჩემი „პორტრეტი“, თითქოს მე აუტანლად პრეტენზიული, უხეში ადამიანი ვარ და არაფერი მომწონს. „წეროს“ რაც შეეხება, საკონკურსო ნაწარმოებები ძალიან მოკლე დროში უნდა განიხილეს და მინი რეცენზიები დაწეროს. და მეც სისტემატიურად



წერ ამ რეცენზიებს. მაგრამ ფორმატი საშუალებას არ გძლევს, ვრცლად მიმოიხილო ნაწარმოები, ან ავტორი. მოკლე ფრაზებში კი ჩემი ხმა უფრო მკვეთრად, უხეშად ისმის. თუმცა პრივატული საუბრებისას ყველა, ვინც ერკვევა ამა თუ იმ ნაწარმოებში და იცნობს მწერალს, გულახდილად იზიარებს იმ შენიშვნებს, რაზეც მე ვსაუბრობ ხოლმე. უბრალოდ, ჩვენთან უარყოფითი აზრის საჯაროდ გამოხატვას კრიტიკიან. მიზეზებზე უკვე მოგახსენეთ. მიჩნეულია, მაგალითად, რომ როცა ადამიანი აღიარებულია დიდ შემოქმედად, მის მიერ შექმნილი ყველაფერი შედეგია. ასე სად არის? სუსტი და ძლიერი ნაწარმოებები ყველას აქვს — თვით გენიოს კლასიკოსებსაც. მთავარია, გულწრფელები, ნაკლებფარისევლები ვიყოთ და გვექონდეს ერთმანეთის ნაწერების გაცნობის სურვილი. ნუ გვეზარება ნაკითხვა.

— ლიტერატორი, უპირველესად, მკითხველია. თქვენ როგორი მკითხველი ხართ, შეფასების რა კრიტერიუმები გააჩნიათ, რომელია თქვენი ლიტერატურა?

— რაკი ჩვენ გვყავს მე-20 საუკუნის გენიალური ავტორები, გარშემო კი, მსოფლიოში, გასაოცარი რაღაცები იქმნება, ღვთის მადლით, თანამედროვე ლიტერატურას თარგმნა და თვალწინ გვაქვს მსოფლიო ლიტერატურის პანორამა, ბუნებრივია, ძნელად მომეწონება ვილაცის მოთხრობა თუ ლექსი. კი, „ჩვენი სოფლის“ დოსტოევსკები, შილერები და ტოლსტოები ბევრი გვყავს, მაგრამ თუ მათ ნაწერებს განვიხილავთ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, და ვცდილობ, ასეც მოვიქცე, ცხადია, სულ უფრო ნაკლები იმსახურებს მოწონებას. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერს, რაც იწერება, ვკითხულობ-მეთქი, პირიქით, მგონია, ძალიან ცოტას ვასწრებ.

რაც შეეხება მწერლობისადმი ჩემი, როგორც მკითხველის მიდგომას — მაქვს ჩემი აზრებები, თუმცა ეს ხელს არ მიშლის, განვიხილავდე სხვა სტილის ლიტერატურასაც. პროზაზე შევჩერდები — მე მიყვარს მძიმე, გრძელი წინადადებებით დატვირთული, რთული, ინტელექტუალური პროზა. ცნობილი გვარებით თუ


შემოვიფარგლებით, დავასახელებ ნაბოკოვს, დოსტოევსკის, პრუსტს. ასევე მიყვარს ჰენრი მილერი, ანაის ნინი, მიშელ უელბეკი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არც იმდენად მძიმეა. დღეს უფრო სტილი, ფორმები წამოვიდა წინა პლანზე, ვიდრე ორიგინალური ამბავი. ვინაიდან, მგონი, მოუყოლელი ალარაფერი დარჩა, ახლა ენაზე, სტილისტიკაზე, ფორმის ძიებაზე იხარჯებიან მწერლები, ასე უფრო მკვეთრად ჩანს ავტორის ნიჭიერება. ქართულ ლიტერატურას რაც შეეხება, ვფიქრობ, პროზაში უფრო ცუდად გვაქვს საქმე, ვიდრე პოეზიაში. სულ რამდენიმე მწერალია, ვინც ფასეული მგონია და რადგან, სამწუხაროდ, მათზე უკეთესი არავინ გვყავს, სწორედ მათ მივიჩნევ უპირველეს ავტორებად. პროზას მეტი მუშაობა და გამოცდილება სჭირდება, ის მეტ წინაიერებას, ერუდიციას მოითხოვს ავტორისგან. ვფიქრობ, ქართველი პროზაიკოსების პრობლემა ხშირად გაუნათლებლობაცაა. ისინი არ იცნობენ თანამედროვე მსოფლიო კონტექსტს და ამიტომ თავი საუკეთესოდ მიამჩნიათ. ამიტომაც არ ესმით, რატომ არ მოგწონს, რას უწუნებ, ჰგონიათ, რომ რაიმე მიზეზის გამო ერჩი... და ამ მიზეზს ეძებენ ყველგან, გარდა ტექსტისა.

პოეზიაში მეტი იმსახურებს ყურადღებას. ოთხმოცდაათიანელებს შორისაც და ახალ თაობაშიც ბევრი ნიჭიერი პოეტია. თუმცა კი, ზოგმა კარგად დაიწყო და მერე მიინავლა, გაჩერდა, ზოგი გათხოვდა, ან სხვაგვარმა პირადმა კოლიზიებმა იმოქმედა. არ დავკონკრეტდები, რადგან სია ვრცელია და შესაძლოა, სრულიად შემთხვევით რომელიმე მნიშვნელოვანი ავტორი გამოიჩინოს.

— ყველაზე მეტად რა უშლის ხელს ქართველ მწერლებს, შემოქმედებითად მსოფლიო ლიტერატურის არეალში მოექცენ?

— ამაზე ძალიან ბანალური პასუხი მაქვს, ისე და ისე გავიმეორებ — ჩვენი თანამედროვე მწერლები არ იცნობენ მსოფლიო ლიტერატურას, არ კითხულობენ, ეზარებათ, რაღაც გვარობის ნამოსვრთან, მაგრამ სიღრმისეულად არ იცნობენ იმ ავტორებს, რომელნიც დღეს ლიტერატურულ კლიმატს ქმნიან მსოფლიოში, ბევრისთვის სავალდებულო საკითხავი კლასიკური ლიტერატურაც კი უცხობა.

ცუდი მწერლობა იმ ქვეყნის კულტურას, ესთეტიკას აუფასურებს. თუმცა, ეს უმეტესობას არ ალელვებს. საჯარო საუბრებისას ლიტონი, მაღალფარდოვანი ფრაზებით შემოვიფარგლებით და თავს მოვიწონებთ, მაგრამ რეალური პრობლემის წინაშე რომ ვდგავართ, ამაზე არ ვფიქრობთ, ანუ კონკრეტულ სიტუაციაში პირადი სიმპათიების მიხედვით ვწყვეტთ საკითხს. ჩვენი მძიმე სოციალური ფონის გამო ხშირია, აგრეთვე, ლიტერატურული პრემიების თუ პირობების, როგორც დახმარების, მიცემის ტრადიცია. კი, ძალიან მძიმე მატერიალურ პირობებშია დღეს არაერთი მწერალი, მაგრამ ამ ნიშნით თანხის გაცემას მეორე, შეძლებული, მაგრამ უფრო ფასეული ავტორის ხარჯზე, პირადად მე დანაშაულად მივიჩნევ.



ლელა კოდალაშვილი



მაკა ლომაძე

ზამთარი

არავის ვანუხებ არც ზედმეტი სხივე-ბით, არც ცხელი ვნებებით და არც ბევრი ფერით ვანებებებ - მაინც არავის ვუყვარვარ. მეუბნებიან: ძუნწი ხარო.

არც მაკაჟს ვხმარობ და არც ქალივით ვკეკლუცობ. რაც ვარ, ის ვარ. არც ნაირ-ნაირი ჩითის კაბებს ვიცვლი. მამრალეხენ - ზედმეტად სადა ხარო.

ემოციებს ვერ გამოვხატავ, ფერება არ მეხერხება და მსაყვედურობენ: მეტისმეტად მკაცრი ხარო.

თავს ვიმართლებ და ვამბობ: არა, უბრალოდ მოკრძალებული ვარ და თავს არ ვინონებ პრანჭია გაზაფხულივით; თავშეკავებული ვარ და არ ვითაფლები ტკბილი ზაფხულივით; თანაც მშვიდი ვარ და ცოტას ვჯერდები, არც შემოდგომასავით ხარბი ვარ, ძლომასა და თრობაში ბადალი რომ არ ჰყავს-მეთქი.

არცერთ მათგანს ჩემდენი სისუფთავე არ აქვს და ეს შურთ - და ეს თოვლია.

სილამაზე - სარკე

სილამაზე სარკეა, ნამდვილი სარკე. დიახ! არ გჯერათ? რაც არ უნდა მოხდეს, კარგი თუ ცუდი, ირეკლავს და ესახება სახეზე - სიხარულიც და ტკივილიც. ის განსაკუთრებით მგრძობიარე ფენომენია. ყველას მწუხარება მისი მწუხარებაა და ყველას სიხარული - მისი საკუთარი სიხარული. ამიტომაც, დადის სილამაზე და აგროვებს პატარ-პატარა სიხარულებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, დიდ სიხარულად იქცევა და ისევ სხვებს უნან-იღებს. თავად სიხარულის გარდა არაფერს ითხოვს, და თუ არ არის, მაინც სიხარულის, დადებითის დანახვას ცდილობს ყველაფერში. ასე ყოფილა თურმე. მერე სხვებიც - ახლობლები, მისი თვალთ რომ ხედავენ სამყაროს, ხარობენ, რადგან ცხოვრება მშვენიერი ყოფილა, მართლაც მშვენიერი. აი, სილამაზის და მისი არსის ფილოსოფია - ჯერ თავისი ხილვით დაატკბოს მნახველი და მერე, კიდევ უფრო ღრმა აზრი - თავისი ხედვა გაუზიაროს -



(სილამაზეს ხედვაც ლამაზი აქვს), და ისეთივე ლამაზი დაანახოს სხვებს ეს ქვეყანა, როგორსაც თავად ხედავს და ამით კიდევ და ამჯერად ნამდვილად გა-ა-ლა-მა-ზ-ოს ირგვლივ არემარე. აი, მისი საოცარი ნიჭი და უნარი. სილამაზეს ძალა აქვს, სასწაული ძალა, რითაც ის ყველას და ყველაფერს ერევა და რაც მთავარია, იმ ყველაფერსაც უნდა, რომ მოერიოს და მისი მონა-მორჩილი იყოს, რადგან სილამაზე მშვენიერი და სასურველი ბატონი ამქვეყნად არ დაბადებულა. ის ბატონიც არ არის, უბრალოდ, მას ყველა ემსახურება, ოღონდ საკუთარი სურვილით, ძალდაუტანებლად, უნებლიედ და დიდი სიხარულით. ღმერთო ჩემო! რა მშვენიერია ეს ყველაფერი! მაინც, რა მადლია ეს სილამაზე, შენგან მოვლენილი?!

გამოდის, რომ სილამაზე მარტო სარკე როდია - იგი შეიძლება იყოს ირგვლივ ყველაფრის ამრეკლავი, თუმცა შესაძლოა, იყოს თავისი განსაკუთრებული რეალობის შემომთავაზებელი, რომელიც ბევრს ღიმილს მოგვრის სახეზე, მაგრამ ყველასთვის სასურველი და მოსაწონი იქნება, რადგან ჯერ არ დაბადებულა ამქვეყნად კაცი, რომელსაც არ სურს, სიცოცხ-

ლე იმაზე მშვენიერი იყოს, ვიდრე ეს თავად ჰგონია. ამიტომაც ჯერ არ დაბადებულა კაცი, ვინც სილამაზეს უფულებელ-ჰყოფს, მის სიახლოვეს არ ნატრობს და მისით არ ხარობს.

ინკომპიტიო ქალი

ქალბატონი, არა უფრო სწორად, საქალბატონე ს.ნ. არ ჰგავდა იმ ქალებს, რომლებიც მთელი ცხოვრება თავყანისმცემლებს ითვლიან, მათით მოსწონთ თავი და მათი რიცხვით ბაქაობენ. არა, ის არც იმ ქალებს ჰგავდა, რომლებიც ანკესს აგდებენ, რომ კაცი წამოაგონ და მერე კარგად „მოჩანგლონ“. იმ ქალებთანაც როდი ჰქონდა ბევრი საერთო, ვინც „კარგ პარტიას“ ეძებს და ვინც კმაყოფილი იქნებოდა ისეთი კაცის ცოლობით, რომელიც ოქროთი და ვერცხლით აავსებდა და ამის მეტს არაფერს მოითხოვდა, და თუ შემთხვევით ამ ადამიანს ფინანსური კრიზისი შეექმნებოდა, აუცილებლად მიატოვებდა, ან ეტყოდა: იცოდე, რქებს გიმზადებ, მე ისეთი ქალი ვარ, კარგი შენახვა მჭირდება და ვადას გინიშნავ, თუ ვერ შეძელი შენი ფინანსური პრობლემების მოგვარება, შენ-

ზე გავლენიან საყვარელს ვნახავ, რომ იცოდე, არ გამიჭირდებაო. ქალბატონი ს. სუსტი სქესის არც იმ ნარმომადგენელთა რიცხვში იყო, ვინც მხოლოდ იმიტომ გრძნობს თავს ქალად, რომ შეუძლია, გამომწვევი იყოს და თავისი დეკოლტეით, ვულგარული მაკიაჟით თუ უაზროდ მოკლე ქვედაბოლოთი, გამოატვირნოს ისედაც ხშირ შემთხვევაში „გამოტვირნებული“ მამაკაცთა სქესი (მომიტყეონ ხაზს ვუსვამ, ზრდასრულმა, ძლიერმა და ნამდვილმა მამაკაცებმა).

ის იყო ერთ-ერთი იმ მშვენიერ ქმნილებათაგანი, რომლებიც პეშვით აგროვებენ თავიანთი ქალწულბრივი ნიალიდან უძვირფასეს თვალ-მარგალიტს, რომლებიც შემდგომში ოქროს სხივებად იქცევა და მოედება მთელ მათ არსებას - და ეს ნათება გარშემომყოფებზეც გადადის. იგი მიეკუთვნებოდა იმ მცირერიცხოვან ქალთა გილდიას, რომლისთვისაც პირველხარისხის ხარისხი როდია, რა ბრენდი აცვია, რომელიც თვითონ არის ბრენდი „ქალი“ და ეს ბრენდი არცერთ მალაზიაში არ იყიდება, მის შესაძენად ვერცერთ მილიონერს მიუწვდება ხელი და „სახსრები“.

და ბოლოს, ს. იყო ქალი, რომელსაც უყვარდა მანდილოსნობა და სულ თან ჰქონდა ეს მანდილი (პირდაპირი მნიშვნელობითაც, მაგრამ უფრო - გადატანითით), ვისაც ფუფუნებაში დამხრჩვალ ოცნებებს, მუდმივი მაკიაჟისგან დაღლილ ღანწებს და კეთილდღეობაში გაცვილილ ბედნიერებას ნამდვილი ბედნიერება ერჩივნა - ნამდვილი სიყვარულით მიღწეული. იგი დაუფიქრებლად გაცვილიდა მის სილამაზეზე დადევნებულ ყველა ალტაცებულ მზერას ერთ ნამდვილ, თავის ადამიანზე, რომელსაც სამუდამოდ და სამარადისოდ ეყვარებოდა, ვისაც გულს გაუღებდა.

ის ქალი, შესაძლოა, მასაში დაკარგულიყო, გაფერმკრთალებულიყო, შერყევილიყო. ის იყო სრული გაგებით მანდილოსანი, რომელიც, როგორც იშვიათი ზღვის ნიჟარა, როგორც შავი მარგალიტი, უნდა ეძებოთ ქვიშის მირიად კარიერებში.

იპოვეს?



დახმარებებისთვის კი სხვა რესურსები უნდა მოიძიონ.

ჩვენთან მწერლები ჯგუფებად იყოფიან და მხოლოდ თავიანთი „ჯგუფის“ წევრს გულშემატკივრობენ. პრევენციაც ვინც მხოლოდ მათთან მიდის. ინტერვიუშიც მათ მოიხსენიებენ. ჩემი აზრით, ეს „ტუსოვეკობანა“ ჩვენი ყოფის მახინჯი მხარეა, გამოირიცხავს ობიექტურობას და ამკვიდრებს „ჩემიანი გაიყვანო“-ს პრინციპს, როგორც კონიუნქტურას. მწერალი ღია სივრცეში უნდა ცდილობდეს ცხოვრებას. მას არ უნდა ჰყავდეს ამოჩემებული, მკაცრი საზღვრებით შემოფარგლული ადამიანების წრე. მე, მაგალითად, საკუთარ თავს „ოქსიმორონს“ ვეძახი, რადგან ხშირად ერთმანეთისთვის მიუღებელ ადამიანებს ვუყერი თავს ჩემ გარშემო. ამით თითქმის ვცდილობ, ნავშალი ის საზღვრები, რომელიც ურთიერთობების გამიჯვნივთ დაანესეს და რაც მწერლობის შეფასებაზეც აისახება ხოლმე. და მაინც, მგონია, რომ ვიდრე სხვადასხვა ნიშნებით დაფიქსირებულ ან გამოვარჩევთ ერთმანეთს, ვიდრე ახალი ნიშნების ნაკითხვად დაგვეზარება, ვიდრე განსხვავებული, კრიტიკული აზრი უზრდელობად აღიქმება, იქამდე ჩვენი საზოგადოება ვერ გადავა თვისებრივად

დახვეწილობის ახალ საფეხურზე, აღარაფერს ვამბობ კულტურულ პროცესებზე და სხვა მაღალ მატერიებზე.

ერთ-ერთ წერილში თქვენ შეეხეთ ქალი მწერლების პრობლემას. იქ საუბრობდით იმაზე, რომ ქალებმა შვილების ყოლა და ოჯახის ერთგულება დაისახეს მიზნად და ამით განვითარების ადრეულ საფეხურს დაუბრუნდნენ. სამზარეულოს გარდა სხვა საქმეში თავის გამოჩენა მათთვის ვულგარულობაა, პროფესიული უნიათობით იწონებენ თავს და დაავდეს წიგნი, კალამი და ასე შემდეგ. მასადადამე, ქალი მწერლების პრობლემა მათ არჩევანშია?

ცოტა ხნის წინ ჩემს ახალგამოსულ წიგნზე რომ ვაკეთებდი კომენტარს, იგივე თემას შევეხე. გასაგებია, რომ საქართველოში ფემინიზმის პრობლემა არსებობს, მსოფლიოშიც ამ მიმართულებით, გარკვეულწილად, სამუშაო კიდევ რჩება, თუმცა ის, რომ ჩვენ დღემდე ვერჩებით პატრიარქალურ საზოგადოებად, დიდწილად სწორედ ქალის უნიათობითაა გამოწვეული. სამზარეულოს სრულებით არ ვერჩი, პირიქით, ძალიანაც მიყვარს იქ ტრიალი და ექსპერიმენტული კერძებით თავის მოწონება, სხვაგვარად ვერც ვიცხოვრებ, როცა სამ შვილს ვზრდი... მაგრამ ის, რომ ქალი ერთადერთ სივრცედ სამზარეულოს ირჩევს, ერთადერთ საქმიანობად კი - დაისახლისობას, და დამაშვრალი სახით აცხადებს, რომ ოჯახს ემსახურება და მეტი არ ქნას, მგონია, რომ ის უბრალოდ ზარმაცია, უპასუხისმგებლოა და ოჯახით სპეკულირებს. ამით კი განვითარების პირველ საფეხურზე ბრუნდება, როცა კაცი ნადირობდა, მინას ამუშავებდა, ქალი კი საშინაო საქმეებს აკეთებდა. ორჯერ ორია, რომ ოჯახი ადამიანის უმნიშვნელოვანესი მისიაა, მაგრამ იცით, ცხოველიც როგორ ერთგულადად ოჯახს? ამას ნინათ ერთ ბიოლოგთან ინტერვიუ ნაკითხვებზე, რომელიც ორი წელი მგლების ხროვასთან ცხოვრობდა. არ ვი-

ცოდი, რომ მონადირე მგლები თავიანთ ჯგუფში მცხოვრებ ბებერ მგლებსაც ისევე უზიდავენ საკვებს და გადამუშავებული ლუკმებით კვებავენ, როგორც - ლეკვებს. ასე რომ, ოჯახზე ზრუნვით თავს ნუ მოვიზონებთ. ეს ელემენტარული რამაა... ბევრმა ქალმა მწერალმა საინტერესოდ დაინწყო, მაგრამ შემდეგ გათხოვდა და მხოლოდ ბავშვისთვის ფაფის ხარშვას დასჯერდა; შემდეგ გავიდა დრო, ბავშვი წამოიზარდა, ძიძაც ჰყავს, მაგრამ დედა ველარ წერს, თემებიც შემოელია, ყოფითმა კეთილდღეობამ თუ სტაბილურობამ სათქმელი დაუკარგა. თითქოს ფსიქოლოგიურად გარდაისახა... სიმშვიდემ და ბედნიერებამ შემოქმედებითობა ჩააცხრო. ისე არ გამოვით, თითქოს ბედნიერების წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ობიექტურად ასე ჩანს, რომ ტკივილებით მეტამორფოზებით, დაუკმაყოფილებლობის განცდით სავსე ადამიანები უფრო პროდუქტიულები არიან. უბრალოდ, სათქმელი გვიგროვდება, ჩვენში ვეღარ ეტყება და მუშაობას ვინცვით. თუმცა კი, ნაკითხული გექნებათ ეს მოგონება, ადრე, კომუნისტების დროს, ერთ ქართველ მწერალს, რომელიც ოპტიმისტური ლექსებით იწონებდა თავს, უთხრეს: ბარონი იყო ლორდი, უმდიდრესი, ულამაზესი, უნიჭიერესი და მაინც - უსიმისტი, შენ რამ გაგაოპტიმისტაო. იმის თქმა მინდა, რომ ზოგს ძალიან ცოტა ჰყოფნის, დაკმაყოფილდეს, თავისი პანანინა ნაჭუჭი იპოვოს და თავი გაიმართლოს. თუმცა კი, ეს ძალიან ინდივიდუალური, ინტიმური პროცესია. ვერავის დაადანაშაულებ და ავტორიტარული ვერ იქნები - ვინ სად იპოვის თავის სასრულს თუ მწვერვალის მაგიერ პატარა გორაკს, ეს მხოლოდ მისი გადასანწყველია, მისი ბედისწერაა ბოლოსდაბოლოს.

თქვენ, როგორც ლიტერატურული წერილების ავტორი, როგორ შეაფასებთ მწერალ ლელა კოდალაშვილს?

მე დავწერე ავტორეცენზია, რომელიც არ ვიცი, სად დავბეჭდო ან დავბეჭდო თუ არა. რეცენზია ჩემს პირველ წიგნზე - „არა, ვამბობ მე“ - დავწერე. მასში ექვსი მოთხრობაა შესული, მიჩნევა რომ ეროტიკული მიმართულების არის, დაახლოებით ასე შეაფასა ზურაბ ქარუმიძემ თავის მოკლე ანოტაციაში. ყველა მოთხრობაზე ამას ვერ ვიტყვი, თუმცა კრებულს ნამდვილად გასდევს ეროტიკული ხაზი. ავტორეცენზიაში მაქსიმალურად მკვეთრი შეფასებები გამოვიყენე, არ დავინდე საკუთარი ტექსტები... თუმცა ვცდილობდი, ზედმეტი არ მომხვლოდა, არ გამეშაოყვებინა ნაწერი. მოკლედ, ჩემი გადმოსახედიდან, ეს წიგნი არის ერთგვარი მოთელვა უფრო სერიოზულ პროზაში სამუშაოდ. რაც შეეხება ბოლო წიგნს, „ცოლები გეგმავენ ღელავს“, რომელიც სულ ახლახანს გამოსცა გამომცემლობა „საუნჯემ“, აქ აბსოლუტურად დაცლილი ვარ შემოქმედებითი ამბიციისგან. ჩემი პიესები კლასიკურ ფუნდამენტზე დგას. შეგნებულად უგულვებლევყავი თანამედროვე დრამატურგიული მხატვრული ინსტრუმენტები და მკითხველს შეეთავაზე თითქმის დოკუმენტური ტექსტები, სადაც ვცადე, წარმოქმინა ჩემი თაობის ქალების პრობლემები, არა იმედნად სექსუალური, როგორც ზოგიერთმა ჟურნალისტმა გააფორმა, არამედ უფრო მეტად ურთიერთობრივი, ფსიქოლოგიური. ვცადე, უკანა პლანზე გადავინა პატრიარქალური ნება, საზოგადოებრივი კლიშეები, დრომოჭმული ტრადიცია, მორალი და წინ დამეყენებინა ადამიანი, ქალი, როგორც ინდივიდი, როგორც ყველაზე წმინდა მორალის საკუთრივ თავის თავში გამოიმუშავებელი... თუ ამ ტექსტებით ერთ ქალს მაინც დავეხმარები, გაერკვეს საკუთარ პრობლემებში და იპოვოს გზა, მაშინ მე, ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე, ბედნიერად ჩავთვლი თავს.

ესაუბრა თამარ ჟურული

საჩუქრები მკითხველს

მწერალთა სახლში გრძელდება პროექტი „შეხვედრები საბას პრემიის ლაურეატებთან“. ამჯერად საზოგადოება წაირა გელაშვილს შეხვდა. მკითხველი დიდხანს ელოდა ამ შეხვედრას. გარდა იმისა, რომ კონკრეტული ღონისძიება ორჯერ გადაიდო, მწერალი თავის ნაწარმოებებზე სასაუბროდ საზოგადოებას არასოდეს შეხვედრია და არც წიგნის პრეზენტაცია გაუმართავს როდისმე, თუმცა საპრეზენტაციო მართლაც მრავლად ჰქონდა. ამის დასტურია წაირა გელაშვილის თხზულებათა ოცტომეული, რომელიც ფონდ „პორიზონის“ მხარდაჭერით გამოიცემა. 13 ტომი უკვე გამოსულია.

სალამოს დასაწყისშივე მრავალტომეულის შესახებ ინფორმაცია გააუფერა შეხვედრის მოდერატორმა გიორგი ლობჯანიძემ და იქვე დასძინა: „ამ ტომებისთვის მარტოდენ თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა თვალსაჩინო გახდეს, რამდენად მონუმენტურ ფიგურასთან გვაქვს საქმე და დავინახოთ, რამდენი იშრომა მწერალმა. ჩემთვისაც, პირადად, როგორც უმცროსი კოლეგისთვის, ქალბატონი წაირას შემოქმედება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს მწერალს თავისი საქმე, როგორ თავაუღებლად უნდა იშრომოს.“ გიორგიმ ისაუბრა მწერლის ნაწერებზე, მის ჟანრობრივად მრავალფეროვან ორიგინალურ ლიტერატურასა და, ასევე, თარგმანებზე.



ქალბატონ წაირას თავიდან აღვლევთ ეტყობოდა და თქვა კიდევ, დაძაბული ვარ, შეიძლება იმიტომ, რომ მსგავსი ღონისძიებები ზედმეტად მიმარჩნია, ამიტომაც ამ ასაკში პირველად ვხვდები მკითხველს, ვეცდები რაღაც მოვახერხო და ისეთი გითხრათ, რომ ჩვენი ერთად გატარებული საათი თუ საათნახევარი, დაკარგულ დროდ არ მიიჩნითო. ისე წავიდა ჩვენი ცხოვრება, რომ ლიტერატურაზე ლაპარაკს საერთოდ ვერ ვხვდები, დიდად არც მოთხოვნილება მაქვს ამისა, სამოქალაქო პრობლემებზე საუბარი უფრო მეადვილებათ.

მან ისაუბრა შემოქმედების პირველ წლებზე, თავის ნაწერებზე, ისაუბრა მისთვის ასე მნიშვნელოვან ინტონაციურ ველებზე ნაწერებში, ისაუბრა ოთხი პოემისგან შექმნილ ციკლზე, რელიგიურ მოტივებზე მხატვრულ ტექსტებში, ამ თემატიკის ასახვის ფორმებზე, ბიბლიური სინამდვილის განახლებულ განცდაზე თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში. თქვა, რელიგიურ თემაზე და სიყვარულზე წერა ყველაზე რთული არისო.

შეკითხვაზე, თუ შეგიძლიათ, გამოარჩიეთ რა გიყვართ ყველაზე მეტად თქვენი შემოქმედებიდანო, უპასუხა: „რა თქმა

უნდა, შემიძლია. ყველაზე მეტად მიყვარს ჩემი საბავშვო ზღაპარი „გოლიათების მწვანე კუნძული და ლტოლვილი გოგონა ნიანია“.

ძალიან საინტერესო იყო საუბარი ორი ჰიპოტეზის შერწყმაზე ადამიანში, არასაზოგადოებრივი და საზოგადოებრივი არსებისა. ეს თემა მოიტანა შეკითხვამ, როგორ ახერხებთ ამდენი იმუშაოთ მწერლობაში და თან ასე წარმატებით გაუძღვეთ ისეთ დიდ ორგანიზაციას, როგორიც კავკასიური სახლი არისო. დანტერესდნენ, აპირებდა თუ არა ხუდონჰესის მშენებლობასთან და სხვა თანამედროვე ეკოპრობლემებთან დაკავშირებით რაიმეს დაწერას. ტექნოკრატული ცნობიერების, ტექნოკრატული სიმლეგისა და მასთან დაპირისპირებული ადამიანური ცნობიერების გარშემო საუბრისას, მან შესანიშნავად დახატა თანამედროვე საქართველოს, როგორც მწვავე ეკოლოგიური პრობლემების წინაშე მდგარი ქვეყნის სურათი და მოუწოდა სხვა მწერლებსაც აქტივობისკენ.

ახალგაზრდა მწერლის შეკითხვაზე, რას ურჩევდა მათ, ვინც ახლა სინჯავს კალამს და პირველი ნაბიჯის გადადგმას აპირებს ლიტერატურაში, ქალბატონმა წაირამ ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსისა და მწერლის სიტყვებით უპასუხა: „თუ გრძნობ, რომ თუ არ დანერ არ მოკვდები, მაშინ ნუ დანერ“.

მარიამ ნიკლაურის ახალი კრებული „მზის დაუჯდომელი“ გამოცემლობა „საუნჯემ“ გამოსცა. წიგნის პრეზენტაციაზე მწერალთა სახლში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სტუმრები გუდამაყრის ხეობიდანაც კი ჩამოვიდნენ. სიმებიან კვარტეტ „ფორსანდოს“ შესრულებით უღერდა კლასიკური მუსიკა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხმრავლობის გამო ბევრმა მსურველმა არა თუ დარბაზში ვერ მოახერხა შესვლა, ვერანდაზეც ვერ მოძებნა თავისუფალი ადგილი და უნიგნოდ დარჩა, პოეზიის ხმა იმ სალამოს მაინც ყველგან აღწევდა, ყველაფერს ავსებდა.

ალბათ საგულისხმოა, რომ 17 მარტს, გალაკტიონის გარდაცვალების დღეს, მწერალთა სახლში სწორედ პოეზიის საღამო გაიმართა და ახალი კრებული ერთ-ერთმა გამორჩეულმა თანამედროვე პოეტმა წარადგინა. ძალზე მნიშვნელოვანი და ტრაგიკული თარიღი თავად მარიამ ნიკლაურმა წიგნის პრეზენტაციაზე ღირსეული აქციითა თუ მონაწილეობით აღნიშნა. თუმცა იქამდე, გალაკტიონი მწერალთა სახლმა გაიხსენა და ფეისბუქში, თავის ინტერნეტ გვერდზე წარმოადგინა „არტარეისთან“ ერთად მომზადებული პროექტი „17 მარტი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლია სტურუამ, გიორგი ლობჯანიძემ, გაგა ნახუცრიშვილმა, რეზო გეთიაშვილმა, დიანა ანდომიადიმ, ალექს ჩიღვინაძემ და პოეტის ლექსები წაიკითხეს.

რაც შეეხება მარიამ ნიკლაურის აქციას, ღონისძიების პირველი ნაწილი მან შეიძლება ითქვას, გალაკტიონის ხსოვნას მიუძღვნა და ორიგინალურად გაახსენა მისი ტრაგიკული აღსასრული სტუმართ. დაწყებამდე პოეტმა გაგვაცნო „ქართველ მწერალთა მიმართვა“, რომლის მიზანიც გახლავთ სამთავრობო და არასამთავრობო სტუქტურების, ასევე კერძო სექტორის ყურადღების მიპყრობა იმ მწერლებისადმი, რომელთაც უკიდურესად მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება და მოღვაწეობა. „მიმართვა“ ხელმოწერით შეუერთდა მრავალი ადამიანი, მათ შორის მწერლები, ლიტერატორები, ხელოვანები.

ამის შემდეგ „მზის დაუჯდომლის“ წარდგინების ვერიც დადგა.

წიგნის რედაქტორმა მზეო გოგოჭურ-



მა დამსწრე საზოგადოებას მარიამ ნიკლაურის სხვა შემოქმედებითი მხარეც გააცნო, აღმოჩნდა რომ წიგნის გარეკანის მხატვრობა სწორედ მარიამს ეკუთვნის.

გია მურღულიამ საინტერესოდ ისაუბრა „მზის დაუჯდომელსა“ და, ზოგადად, მარიამის პოეზიაზე: „მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის სულის კედლებზე მიხატული ფრესკები... ამ წიგნის კითხვისას ვგრძნობდი, რომ ყველა სტროფი, ყველა სტიქონი გაძეძგილია ამ-აღლებული ფიქრითა და მაღალი რანგის პოეზიით, აქ პოეზია არ ისვენებს... გამოგნებელია საგანთა, ფიქრთა, განცდათა იდუმალი, უცნაური კავშირი, სახეთა სიღრმე, მისი პოლიფონიურობა. მაგალითისთვის ესეც საკმარისია: „მიდის მდინარეც და ტანში უდგას სიცოცხლე, ლოდქვემ ქრელი ლოფსიტა“...

შემდეგ პოეტმა წაიკითხა ლექსები ახალი კრებულიდან.

17 მარტი მარიამ ნიკლაურის დაბადების დღეც იყო. როგორც ბატონმა გიამ ბრძანა, დაბადების დღეზე იუბილარს საჩუქრებს ჩუქნიან, მარიამმა კი, „მზის დაუჯდომლის“ სახით, დიდებული საჩუქარი მოგვიძღვნა მკითხველსო.

„დიდი ძუ დათვი“ (მთის ამბავი პროლოგითა და ეპილოგით) — ასე ჰქვია მიხო მოსულიშვილის წიგნს, რომელიც „საუნჯემ“ ახლახან გამოსცა. გამოცემას თან ერთვის დისკო, რომელზეც ავტორის მიერ წაკითხული ნაწარმოებია ჩანერილი. წიგნის პრეზენტაცია გაიმართა მწერალთა სახლში. ბატონ მიხოს ახალი რომანის გამოსვლა მიულოცეს მეგობრებმა, ახლობლებმა, ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებმა. როგორც მწერალმა თქვა, პირადად არავინ მიუწვევია პრეზენტაციაზე და გულითადი მადლობა გადაუხადა მწერალთა სახლს და იმ ადამიანებს — მეგობრებს, მკითხველს, ჟურნალისტებს, ვინც მწერალთა სახლის ინტერნეტ გვერდზე განთავსებულ მიწვევას გამოეხმაურა და ახალი წიგნის წარდგინებაზე დასასწრებად მივიდა. მადლობა გადაუხადა გამოცემლობა „საუნჯესა“ და არასამთავრობო კავშირს „ფშავი“ — ღონისძიების მხარდაჭერს. შემდეგ განმარტა კიდევ, თუ რატომ არ არის ხალხმრავალი ლიტერატურული პრეზენტაციების მომხრე: „ნაწარმოები უნდა უსწრებდეს მწერალს, მის სახელს. დღეს, ევროპული ინდუსტრია მწერლისგან ქმნის სახეს, პოპულარულ სახეს, ნაწარმოებს გაზვიადებულად აქებს და ასე ყიდის მილიონიან ტირაჟებს, არადა, პირიქით უნდა იყოს. მაგალითად, „სამმა მუშკეტერმა“ ალექსანდრე დიუმას სახელს გაუსწრო, თუმცა დიუმამ თავადაც პოპულარული, ცნობილი პროზვენება გახლდათ. ჩვენთან, საქათვე-

ლოს მთაში შეიძლება შეხვდეთ მწყემსს, რომელიც ზეპირად მოგიყვებათ „ალუდა ქეთელაურს“, მაგრამ ვაჟას ფოტო რომ აჩვენოთ, იქნებ ვერც გითხრათ ვინ არის. წიგნმა სახელი თვითონ უნდა მოიპოვოს, თავის თავს მოუაროს, იმოგზაუროს, შეარჩიოს მკითხველი“.

სალამოს დასაწყისში სტუმრებმა მოისმინეს ნაწყვეტი აუდიოჩანაწერიდან და იხილეს ფოტოკოლაჟი. ფოტოებსა და თხრობაშიც აისახებოდა ის სივრცე, რომელშიც იშვა ნაწარმოების შექმნის იდეა, აისახებოდა საქართველოს მთა, გეოლოგიური ექსპედიცია, ადგილობრივი ფშავლები, სახეები, ბუნება, ძველი, მაგრამ დღემდე ცოცხალი ლეგენდა-ამბები. და სალამოს განმავლობაში ბატონი მიხოს საოცარი თხრობით მონუსხული დარბაზის თვალწინ თითქოს ის რეალური თუ ნახევრადმითური სახეები წიგნის გმირებად იქცნენ, კავკასიონზე მდებარე სოფლის მცხოვრებლებად, შემდეგ საიდანლაც, ნისლიდან გამოჩნდა დიდი ძუ დათვი, გაუნადგურა მათ სიმინდის ყანები, დაუმტვრია სკები, დაერია ცხვარ-ძროხას... დანიყო დაუნდობელი ბრძოლა ადამიანსა და ბუნებას შორის. მსმენელის წინაშე სოფლის ადმინისტრატორი, ბიბლიური სახელით აქაბი, სოფლის მცხოვრებთა დახმარებით შეეცადა ძუ დათვის მოკვლას, მისგან გათავისუფლებას, თუმცა წარსულის აჩრდილს აბა, ვინ გაჰქცევია.



სალამოს განმავლობაში არაერთი ლიტერატორი გამოვიდა, მათსაინტერესოდ ისაუბრეს მიხო მოსულიშვილის ახალ წიგნზე, ზოგადად, მის ნაწერებზე, თუმცა თავად მწერლის მოსმენა, მაინც, ყველაზე სასურველი იყო, რადგან ბატონი მიხო მსმენელის თვალწინ აცოცხლებდა პერსონაჟებს, მათს, გატაცებით გვიხატავდა მათი მოქმედების არეალს, ნათლად და ხელეცახებდა წარმოაჩენდა რომანში დასმულ პრობლემას, თემატიკას, საუბრობდა მისი, როგორც გეოლოგის ცხრანლიან თავგადასავლაზე ფშავში, იქაურ სულზე, იქაურ ყოფაზე, იქაურ მეტყველებაზე, „მარადიულ ქართულ მეტყველებაზე“.

„დიდი ძუ დათვი“ კინო-რომანივითაა. კითხვაზე თუ რატომ მისცა ნაწარმოებს კინო-რომანის სახე, ავტორის პასუხი ამგვარი იყო: „მივიჩნევ, რომ თანამედროვე რომანი უნდა იყოს მოკლე, სხარტი და რაც შეიძლება ახლოს მისულ დღევანდელ ნერვულ, აჩქარებულ დროში მცხოვრებ ადამიანთან. ვისურვებდი რომ მომავალში, ჩემნაირად მოფიქრალი ადამიანების რომანი ფილმთან ერთად გამოდიოდეს და პრეზენტაციაზე მარტო მწერალი კი არა, რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები ისხდნენ, ლაპარაკობდნენ წიგნზე, ფილმზე, როგორც ერთიან პროდუქტზე“.

სალამო გვიანობამდე გაგრძელდა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ფოლკლორულმა ჯგუფმა „დები ნაყურები“.

მომზადა თამარ ჟურულმა

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზაძე
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com